სარბიელი

სპორტული გაზეთი | სამშაბათი 21 მაისი 2002 №90 (1612) | ფასი 50 თეთრი

ეროვნული ბიბლიოთეკა

დინამო ქუთაისში... 10:0 მერანს

„კოლხეთი“ — „ლოკომოტივი“ 1:3. ლოკომოტიველმა სულიკო დავითაშვილმა (შუაში) „კოლხეთს“ ორჯერ გაუტანა

ბადრი ქუთელაძის ფოტო

ხორვატულად ნაწრთობი „დინამო“ დაუნდობელიც ყოფილა – უბარაქო „მერანი“ ათი გოლით ამოქოლა. დღეს კი ათგზის ჩემპიონები ქუთაისის გზას დაადგნენ და შუადღისას იქ დასცემენ ბანაკს. დინამოელთა ხვალინდელმა მასპინძელმა „ტორპედომ“ ბათუმში მოიგო, ლიდერობა შეინარჩუნა და 26 მაისის თასის ფინალამდე კიდევ ერთი ფინალი აქვს სათამაშო, რა თქმა უნდა, საჩემპიონო, თანაც აწყვეტილ თბილისის „დინამოსთან“. და „ლოკომოტივი“, რომელმაც სულიკო დავითაშვილის და ზაზა ჯანაშიას გოლებით დასცა „კოლხეთი“ და საჩემპიონო დეპო ვინძლო თავისთვის მოიწყოს. ქვემორე ამბები კი ისე დატრიალდა, რომ „გორდამ“ სტუმრად არ დააჯაბნინა თავი არგავარდნისთვის მებრძოლ კონკურენტს და უმაღლესში დარჩენის შანსიც დაიტოვა. წყალტუბოელებს ახლა სტუმრად მოუწევთ იმერული დერბი და თუ „მეტალურგსაც“ ვერაფერი დააკლეს... მაგრამ ყველაფერი ამით როდი დამთავრდა – ფოთელთა უფულობამ ინტერტოტოსკენ გზა ქვეექვსეულის ლიდერს, „ვიტ ჯორჯიას“ გაუჭრა. ესეც თქვენი შეცვლილფორმატიანი ჩემპიონატის მორიგი ძღვენი...

იხილეთ მეორე-მესამე-მეოთხე გვერდები

...დინამო ბათუმში

მიეცით ნიჭს დრაფტი

ფაჩულიას და ცქიტიშვილს ამერიკაში დაუძახეს

მეთერთმეტე საკალათბურთო ეროვნულმა ამ უქმეებზე მოილია ხმაურიანი და დრამატიზმით გაჟღენთილი ნახევარფინალები. რუსთავის „აზოტთან“ მცირედით დახარჯულმა, ფინალში ზედიზედ მესამედ გასულმა ბათუმის „ბასკომ“ შაბათსღა შეიტყო მეტოქის ვინაობა. ხანგრძლივი თვლემის შემდეგ ელიტაში შებრუნებულმა „დინამომ“ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის გუნდს, სტუ-ს აჯობა და 1997 წლის შემდეგ პირველად უწია ფინალს, იქ კი „ბასკოა“, ოთხი შავკანიანი მობურთალით და რუსი თავკაცით. დრო იცვლება და მასთან მისი შვილებიც. ოდესღაც ქართული კალათბურთის ფლაგმანმა „დინამომ“ გაუძლო ჟამთასვლას და ცხრილის ფსკერიდან ამოყვინთული, ტახტის დღევანდელ მფლობელ „ბასკოს“ შეეცილება პირველობას.

ამასობაში კი, ცხრა მთისა და ცხრა ზღვის იქით, შორეულ და კაშკაშა ამერიკაში დულს პლეი ოფი. საჩემპიონო დავას ოთხი გუნდიღა შერჩენია, მაგრამ არც სხვები კარგავენ დროს. 26 ივნისი — 2002 წლის დრაფტის დღე ახლოვდება და ნბა გაფაციცებით ემზადება ნიჭის ახალი ნაკადის მისაღებად. ნბა-ს კლუბები გულმოდგინედ აკვირდებიან შიდაამერიკულ თუ დედამიწის სხვა კუთხე-კუნჭულებში დავაჟკაცებულ ბიჭებს და ნბა-სთვის სახეიროთა წინასწარი სიაც შეადგინეს. მათ შორის ორი ქართველია, ზაზა ფაჩულია და ნიკოლოზ ცქიტიშვილი. ამერიკა სადრაფტოდ უხმობს პატარა ქართველ გოლიათებს.

იხილეთ მეთერთმეტე გვერდი



ზაზა ფაჩულიას (ბურთით) ოკეანისგაღმელებმა თვალი დაადგეს

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი მეორე ეტაპი

9 ტური

I–VI ადგილები

დინამო	10
მერანი-91	0

თბილისი. ეროვნული. 18 მაისი. 17.30 საათი. 1 500 (ტევადობა 70 000)

დინამო 10:0 მერანი

1:0, 2:0 ბურდული (14, 24), 3:0 დარასელია (37), 4:0 კარლოსი (42), 5:0 დარასელია (44), 6:0 ბობოხიძე (70), 7:0 დარასელია (77), 8:0 გოგობერიშვილი (81), 9:0 ბობოხიძე (87), 10:0 ბურდული (90)

დინამო: ზოიძე (გვარამაძე 46), კანდელაკი, შაშიაშვილი, კარლოსი (მანწკავა 52), ამისულაშვილი, გოგობერიშვილი, ბურდული, დარასელია, ანჩაბაძე (ვაშაკიძე 65), მ. ბობოხიძე
სათადარიგონი: ხიზანეშვილი, შალამბერიძე, მაზნიაშვილი, გ. ვ. მიქაძე
მწვრთნელი: ივო შუშაკი

მერანი: ნაფყვეპია, გუჯაბიძე, ხიზანიშვილი, დეკვიძე, გ. ილურიძე, გაბიდაური, ბაჯელიძე, კოშკაძე (გრიგორიევი 46), დ. ფირცხალაიშვილი (ივეჩიანი 74), ი. შენგელია, დ. ბოლქვაძე (ჭინჭარაული 46)
სათადარიგონი: გ. გაბელია; საბაშვილი, კაკაშვილი, ა. შელია
მწვრთნელი: ოთარ გაბელია

მსაჯები: მ. მალალურაძე; მ. ელიკაშვილი, ლ. სილაგავა; ი. კახიანი (ყველა თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ა. მილრენკო

ჯარიმა: 13-მ; კუთხური: 5-4; კარისკენ დარტყმა: 5-7; კარში დარტყმა: 14-3; თამაშგარე: 1-3

ათში ერთი ბრაზილიური იყო

შუშაკის და გაბელიას სამადლობელი

კობა ინასარიძე

— გუნდიდან ნახევარზე მეტს გავუშვებ. რაც არ უნდა გიჭირდეს, ასეთი ანგარიშით არ უნდა წააგო. მეტი სათქმელიც არაფერი მაქვს — თქვა მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე „მერანის“ თავკაცმა ოთარ გაბელიამ.

— ჩემს ფეხბურთელებს მადლობას ვუხდი თავდადებული თამაშისთვის — „დინამოს“ მთავარმა მწვრთნელი ივო შუშაკი ცოტა გაკვირვებულიც კი იყო მეტოქის უსუსურობით.

ამას ოთარ გაბელიას ირონიული რეპლიკა მოჰყვა, მადლობა ჩემს ფეხბურთელებს გადაუხადეთო.

ივო შუშაკმა ეს, ცხადია, ვერ გაიგო, თუმც ვინც გაიგო, გაბელიას დაეთანხმებოდა.

ათივე გოლის, მით უმეტეს თამაშის აღწერას აზრი არა აქვს. „დინამომ“ „მერანს“ ერთი ამოსუნთქვით გადაუარა და სამარცხვინო ანგარიშით დაამარცხა. თუმც ერთ ფაქტს მაინც აღვნიშნავთ — ბრაზილიელმა კარლოსმა „დინამოსთვის“ თავისი პირველი გოლი გაიტანა და ქომაგთ წაუცეკვა კიდეც.

სტადიონზე მისულ მცირერიცხოვან მაყურებელს ხელთ თერთმეტი მორბენალი და ამდენივე უბადრუკი ფეხბურთელი შერჩა. „მერანი“ შეგეცოდებოდათ, თუმც ასეთი გუნდი შეცოდებას არც იმსახურებს...

ბურაგ დელანგაშვილის ფოტო

კარლოსის მარჯვენა მოჭნეულმა საქართველოში პირველი ბრაზილიური გამოაცხო

ასათიანმა ააცილა ჩააცილა

ბათუმი. ცენტრალური. 18 მაისი. 17.30 საათი. 2 500 (ტევადობა 20 000)

ბათუმი 0:1 ტორპედო

0:1 პოროშინი (60ჯ)

ბათუმი: ჭანტურია, ჩიჩუა, თურმანიძე, მინდაძე, კობიძე (ზუ. გვაზავა 79), ხუციძე, ქაცარავა, რომანაძე (კუნძულია 87), ტუღუში, დ. ჯანაშია, ბეღანიძე (ფურცხვანიძე 70)
სათადარიგონი: ი. ბალაძე; ინაიშვილი, იალამიდი
მწვრთნელი: ასლან ბალაძე

ტორპედო: სტურუა, ლ. ქელიძე, აბრამიძე (გ. კვარაცხელია 46), ხვადაგიანი, მასხვილაძე, თოდუა (ზ. ქუთათელაძე 56), დიდავა, ქემოკლიძე, მ. ასათიანი (შ. ბაბუნაშვილი 44), იონანიძე, პოროშინი
სათადარიგონი: ტოგონიძე; ახალკაცი, გამეზარდაშვილი, აკოფიანი
მწვრთნელი: რევაზ ძოძუაშვილი

მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); გ. ჩიგოგიძე (სამტრედია), ზ. ჯაფარიძე; ა. მუშკოვი (ორივე თბილისი)

სფფ-ის ინსპექტორი: ე. სილაგავა

ჯარიმა: 9-10, კუთხური: 3-6, კარისკენ დარტყმა: 5-10, კარში დარტყმა: 1-8, თამაშგარე: 4-6

იუზა კაციტაძე ბათუმიდან

გეხსომებათ, ოთხი წლის წინ „ბათუმმა“ ჩემპიონატის ვერცხლის მედლებთან ერთად ქვეყნის თასიც დაისაკუთრა, 1997-98 წლების სეზონი ყველაზე წარმატებული იყო გუნდისთვის. ამის შემდეგ ბათუმელებს ამბიციები გაუქრათ, მათ ორივე ფრონტზე მიიკოჭლეს და, უკვე აღარავის უკვირს, რომ ზღვისპირელები მორიგ გათამაშებასაც უსახელოდ ამთავრებენ. თუკი წინა ტურამდე „ბათუმი“ კიდევ ინარჩუნებდა მეოთხე ადგილზე გასვლის და ამასთან ინტერტოტოზე თამაშის შანსს, „კოლხეთთან“ ვერმოგებით ეს იმედიც დაიკარგა. ნამეტანი მოისუსტა მეორე ეტაპზე ასლან ბალაძის გუნდმა, ფაქტობრივად, სტატისტის როლში მოგვევლინა.

ბოლო შვიდ ტურში წარუმატებლად მოთამაშე ბათუმელები არც „ტორპედოსთან“ ელოდნენ ხეირს. კი, მართალია, იქადნებოდა ბალაძე, ქუთაისელებს ყოველგვარი დაძაბვის გარეშე დავხვდებით და გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთო, მაგრამ, ხომ იცით, თქმა ერთია და შესრულება მეორე.

ღმერთმანი, არ იყვნენ მასპინძლები ტორპედოელთა შემკავებელნი, მით უფრო, არჩვაძის (ტრავმა აწუხებდა), მახარაძის, ჩხაიძის, მაჭუტაძის, აფხაზავას გარეშე. მატჩში სამ ქულას „ტორპედოსთვის“ ოქროს ფასი ედო და, ცხადია, ქუთაისელებმა ყველა ღონე იხმარეს მიზნის მისაღწევად. სტუმრები მთელი 90 წუთი ფლობდნენ უპირატესობას, დინჯად აკონტროლებდნენ მოედანს და კინკილა, ისიც პენალტიდან გატანილს თუ დასჯერდნენ, ამით არც არაფერი დაშავებულა, მთავარია, სამი ქულა ჩაივიბეს და ბოლო ტურისთვის ლიდერობა შეინარჩუნეს.

„რატო“ არ იბრძოლაო, ვერავინ იტყვის, მაგრამ ისიც ცხადი გახლდათ, უფრო მონდომებული „ტორპედო“ იყო და „დინამოსთან“ საჩემპიონო ჯახის წინ კარგი ვარჯიშიც გამოუვიდა.

მატჩის დაწყებამდე სტადიონზე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს გამოჩენილი უკრაინელი მწვრთნელის ვალერი ლობანოვსკის ხსოვნას. თამაში სტუმართა სრული უპირატესობით მიმდინარეობდა და მათ პირველ ნახევარშივე შეეძლოთ დაწინაურება, მაგრამ ქემოკლიძეს, პოროშინს, თოდუას დარტყმები გაუცუდდათ, ლაშა ჭელიძეს ჭანტურიამ აუღო. ყველაზე რეალური საგოლე მომენტი შუა ტაიმში შეიქნა, ასათიანი მეკარესთან პირისპირ დარჩა, თუმც უხეიროდ დაჭკრა და ხარიხას გვარიანად გადააცილა. გატანის შესაძლებლობა ტორპედოელებს შესვლების შემდეგაც მრავალჯერ ჰქონდათ, ოღონდ სანამ მასპინძელთა მცველმა საკუთარ საკარიმოში დიდავა არ წააქცია, ჭანტურიას ცარს [illegible] მოარგეს. ალბათ, მიხვდით, პენალტიც დაშიშა. [illegible] ოთხ-ოთხ [illegible] „არბიტრის“ [illegible] მაგრამ მალევე დამშვიდნენ. პოროშინის დარტყმული უნაკლო გამოდგა. ჭანტურია ერთ კუთხეში გადახტა, ბურთი მეორეში შეგორდა, სხვათაშორის, ჩემპიონატის საუკეთესო სნაიპერს აქამდე ყველა თამაშიდან ჰქონდა გატანილი.

„ტორპედო“ წინ გავიდა, მთავარი ეს იყო. მერე კვარაცხელიამ ხარიხას გაარტყა, ქუთათელაძემ სულ ახლოდან კარის ზემოთ გააგზავნა. ჭანტურიამ „თავი გაიგიჟა“, რამდენიმე „მკვდარი“ ბურთი მოიგერია, გასამართლებლად ხომ ერთიც კმაროდა.

ბოლოს იმაზე, რაც ჩვენში კი არა, საერთოდ იშვიათი მოვლენაა. სტადიონზე თავშეყრილ „ბათუმის“ ქომაგებს სტუმრისა ბევრად სჭარბობდნენ. სტატუს კვო პირველი ტაიმის დამთავრებამდე ათიოდე წუთით ადრე დაირღვა. მართალია, ომახიანი „ტორპედო“ — „ტორპედო“ მანამდეც ისმოდა სტადიონზე, მაგრამ ეს რა იყო?! აღმოსავლეთ ტრიბუნას ზღვა ხალხი მიაწყდა, ათასორასამდე „ტორპედოს“ ფანმა დაგვიანებით, მაგრამ მაინც ჩამოაღწია ბათუმში, ერთხმად დაიქუხა და — ასე თამაშის ბოლომდე. უჩვეულო რამ იყო, „ტორპედოს“ ფანობამ, საკუთარ გუნდს რომ მხურვალედ ამხნევებდა, ბოლოსკენ „ბათუმი“ „ბათუმიც“ შემოსძახა და არც ტორპედოელი ნახევარმცველის უფროსი სეხნია და მოგვარე, ქუთაისის საკრებულოს ექსთავმჯდომარე მერობის კანდიდატი მალხაზ ასათიანი დაივიწყა, კაცი, რომელმაც ათას ორასი კაცის მგზავრობის ხარჯი გაიღო.

ილია ფაბაკაძე ბათუმიდან

„ტორპედოს“ უკრაინელმა მეგოლემ ანდრი პოროშინმა „ბათუმი“ შედეგიანი პენალტით დაამწუხრა

ოთხთა ტურნირი

ნახევარფინალი

იუგოსლავია 0:2 უკრაინა

0:1 პოპოვი (28), 0:2 მსალიტინი (78)

იუგოსლავია: ფეფერიჩი, მირკოვიჩი, კრსტაიჩი, დმიტროვიჩი (ბრნოვიჩი 46), ლაზეტიჩი (კორომანი 68), გავრანჩიჩი (დრაგუტინოვიჩი 46), მიხაილოვიჩი, ჯორჯევიჩი (ივიჩი 46), ილიჩი (პანოვიჩი 83), მილოშევიჩი (კოვაჩევიჩი 46), კიტმანი (მარკოვიჩი 83)

უკრაინა: შოტკოვსკი, პარფინოვი, ვაშჩუკი, ფიოდოროვი, პოპოვი (ზოტოვი 46), კორმილცევი (პოკლონსკი 66), გუსინი, შიშენკო (მსალიტინი 46), ვორობეი (სკაჩენკო 84), რებროვი (კალინჩენკო 82), ნესმაჩნი (სკრიპნიკი 76)

გოლები: მიხაილოვიჩი (62), სკაჩენკო (62)

რუსეთი 1:1 (პენ.4:5) ბელგია

0:1 ბელკევიჩი (15), 1:1 სოლომატინი (283)

რუსეთი: ნიგმატულინი, თეთრაძე (ხოხლოვი 46), ჩუგაინოვი, სენკოვი, სოლომატინი, დაცევი (ნიკიფოროვი 46), სემშოვი, არშავინი (ალენიჩევი 62), ლაკტიონოვი (კარიაკა 46), კერეკოვი (სემაკი 62), პიმენოვი

ბელგია: ტუმილეფჩი, შტანუკი, შენიკო (ხრაპკოვსკი 72), ოსტროვსკი, გურენკო (ობელიანუკი 76), ხაცკევიჩი (კოვი 73), რომაშენკო, კულიბ, ბელკევიჩი, გლები, კუტუზოვი (ვოლოდენკოვი 60)

მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

მატჩი მესამე ადგილისთვის

რუსეთი 1:1 (პენ.5:6) იუგოსლავია

0:1 კოვაჩევიჩი (54), 1:1 სიჩევი (87)

რუსეთი: ნიგმატულინი, კოტენკინ, სოლომატინი (სენკოვი 62), სმერტინი, ნიკიფოროვი, იზმაილოვი (სიჩევი 46), ონოპკო, კარპინი, ტიტოვი (ხოხლოვი 62), მოსტოვოი (სემშოვი 5; ალენიჩევი 79), ბესჩასტნიხი (კერეკოვი 46)

იუგოსლავია: ფეფერიჩი, მირკოვიჩი, დრაგუტინოვიჩი, ბრნოვიჩი (გავრანჩიჩი 60), კრსტაიჩი (ილიჩი 82), ფოდიჩი, მიატოვიჩი (მილოშევიჩი 72), დ. სტანკოვიჩი (ბორდევიჩი 75), ივიჩი (კორომანი 46), კოვაჩევიჩი (კეტმანი 76), მარკოვიჩი (ლაზეტიჩი 46; პიანოვიჩი 90)

მსაჯი: ვიქტორ კასაი (უნგრეთი)

12 000 მაყურებელი

ფინალი

ბელგია 2:0 უკრაინა

1:0 ბელკევიჩი (48), 2:0 გლები (63)

ბელგია: ტუმილეფჩი, კულიბ (კოვი 51), ოსტროვსკი, შენიკო, შტანუკი, გურენკო (იასკოვიჩი 90), ხაცკევიჩი (კუტუზოვი 80), ბელკევიჩი, რომაშენკო (ობელიანუკი 63), გლები (ვოლოდენკოვი 88), ხრაპკოვსკი

უკრაინა: შოტკოვსკი, ნესმაჩნი, გოლოვკო, ვაშჩუკი (სკრიპნიკი 60), დმიტრულინი (ზადორონი 80), ფიოდოროვი, კალინჩენკო, გუსინი (პოპოვი 70), მსალიტინი (შიშენკო 60), ვორობეი (ზოტოვი 76), რებროვი (კორმილცევი 56)

მსაჯი: პაულიუს მალზინსკასი (ლიტვა)

10 000 მაყურებელი

იტალია — ინგლისი. ბრიტანელები მარკო მაკარონემ (№9) ორი გოლით წააქცია

ფინეთი

V ტური

ჯაზი 2:2 კუოპიო

ნორვეგია

გადადებული მატჩი

სოგნდალი 3:2 ბრინი

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

A ჯგუფი. II ტური

პორტუგალია 0:2 შვეიცარია
იტალია 2:1 ინგლისი

რკინიგზული სიმღერა კოლხურ საკრავზე

ფოთი. ფაზისი. 18 მაისი. 17.30 საათი. 1 000 (ტევადობა 6 000)

კოლხეთი 1:3 ლოკომოტივი

0:1 დავითაშვილი (9), 0:2 ჯანაშია (41), 0:3 დავითაშვილი (43), 1:3 წივწივაძე (86ბ)

კოლხეთი: ქვაჩახია, გორგოზია, ტორჩინავა, ახვლედიანი (ქუტიძე 28), მ. ჭობულაძე, წივწივაძე, დოშვილი, კვირკველია (ქანტარიძე 72), გუჩუა, ნარსია, კვეტენაძე (დ. ოდიკაძე 46)
სათადარიგო: ჩემია; ფანშულიძე, ბაბავა
მწვრთნელი: სოსო ფილია

ლოკომოტივი: გ. ლომაია, ბალაშვილი, ორბელაძე, ლ. სალუქვაძე, ონიანი (ზ. ლაცაბიძე 53), გელა ქორიძე, ქიქვეიშვილი, კ. გოგიჩაიშვილი, სირაძე, დავითაშვილი (დათვაძე 54), ზ. ჯანაშია (კიდარაშვილი 71)
სათადარიგო: ივარდავა; მანჭავა, დავითნიძე, მორჩილაძე
მწვრთნელები: გია ჯიშკარიანი და სერგო კოტრიკაძე

მაძიებები: ქუტიძე (77)

მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ა. სამხარაძე (სოხუმი), გ. ცირდავა (გულრიფში); ს. კვარაცხელია (ზუგდიდი)

სწფ-ის ინსპექტორი: ა. დურსუნიშვილი

ჯარიმა: 10-20; კუთხური: 4-0; დარტყმა: 4-4; კარში დარტყმა: 3-6; თამაშგარე: 1-15

ბადრი ჯეიდელაძის ფოტო

ზაზა ჯანაშიამ (ბურთით) თავისი წილი გოლი „კოლხეთისაც“ გაუტანა

მამუკა კვანტალიანი ფოთიდან

„ფაზისზე“ სრულიად უმოტივაციო მასპინძელი (ფოთელებმა ინტერტოტოს საბოლოოდ უგანეს) საჩემპიონოდ შემართულ სტუმარს ხვდებოდა და შედეგიც საბოლოოდ ლოგიკური დაფიქსირდა. „კოლხეთი“ იმ სიმებმოშვებულ კოლხურ საკრავს ჰგავდა, რომელიც შაბათს „ლოკომოტივს“ ხელთ ეპყრა და თავიანთი საჩემპიონო სიმღერაც სანახევროდ დაუკრეს რკინიგზელებმა. სერგო კოტრიკაძის და გია ჯიშკარიანის სამწყსო ბოლო აკორდებს, ალბათ, 22 მაისს ააყღარუნებენ, მაგრამ მათი გაპირველებისთვის ეს საკმარისი არ იქნება. ქუთაისში ხომ იმავ დღეს ისტორიული „ტორპედო“ — „დინამოა“.

პარასკევს ეწვია სტუმარი ფოთს. მაქსიმალურად შესაფერის პირობებში მოემზადნენ რკინიგზელები პრინციპული მატჩისთვის, თუმც საფიქრალ-სადარდებელიც არაერთი გაჩნდათ. დავით სირაძეს საზარდული აწუხებდა, კახა გოგიჩაშვილს და დავით ჭიჭვეიშვილს აღრე ნატკენი ფეხი ვერ მოეშუშებინათ. გამოსავალი ერთი იყო და მათაც ტკივილგამაყუჩებელი საშუალებები დაიხმარეს.

საფიქრალი ჰქონდა სოსო ფილიასაც. მასპინძელთა თავკაცმა თამაშამდე ერთი კვირით ადრე იცოდა, ელდარ გვასალიას რომ მოისაკლისებდა, მაგრამ გელა ფანჩულიძის დაჭიმულმა კუნთმა „კოლხეთის“ გეგმები საბოლოოდ არია. ორივე ნახევარმცველი თითქმის შეუცვლელია ფოთელებისთვის. ამას კვირკველიას უხასიათობა, ახვლედიანის ნაადრევი ტრავმა დაემატა და „ლოკომოტივშაც“ იძალა.

მიუხედავად ამისა, მასპინძლებმა მაინც ძალიან სუსტად ითამაშეს, თუმცა ეს სულაც არ აკნინებს რკინიგზელთა მონდომებას და მიზანსწრაფულობას.

ერთი შეხედვით, დასაწყისში ორივე გუნდი ფრთხილობდა, თამაშის გამწვავებას ერიდებოდა, ბურთი მოედნის შუაგულში ტრიალებდა. ერთი ეგაა, სტუმრები საკუთარ ნახევარზე საიმედოდ თამაშობდნენ და მასპინძელთა ეული ფორვარდი ჰამლეტ წივწივაძეც ორბელაძისა და სალუქვაძის შუა ჩაკარგულიყო.

თამაში რომ ხურდებოდა და ფეხბურთელებიც ის-ის იყო გაიოფლნენ, ზაზა ჯანაშია დაუსხლტა მცველებს. რკინიგზელმა მეტოქის საჯარიმოდე ბურთიანად იარა და ყველას რომ ეგონა, შეტევის დაბოლოებას თავად ეცდებოდა, მოულოდნელად, საჯარიმოს შუაგულში ჩააგდო ბურთი. გოგიჩაშვილმა და დავითაშვილმა ერთმანეთში გაითამაშეს და წამის შემდეგ სულიკო ქვაჩახიას წინ იდგა. „აბრეზაბ“ აუღებელი დაარტყა და გაიხარეს რკინიგზელებმა.

გაშვებული გოლის შემდეგ „კოლხეთმა“ წინ გაიწია, თუმცა სტუმართა შუა და უკანა ხაზი ლომაიას ნერვიულობის საბაბს არ აძლევდა. მასპინძლებმა საგოლედ ერთხელაც ვერ გაიბრძოლეს და ბურთაობაში გართულებმა ტაიმის ბოლოს ორი გოლიც გაუშვეს.

ჯერ ზაზა ჯანაშიამ მიიღო გოგიჩაიშვილისგან ზუსტი პასი და ქვაჩახიასთან პირისპირ გაჭრილმა შორეულ კუთხეში გაიტანა, ხოლო ორ წუთში გელა ქორიძემ დავითაშვილი შეატოვა კოლხთა მეკარეს. სულიკომაც შორეულ კუთხეში შეაგდო.

მეორე ტაიმის პირველი წუთებიდანვე ცხადი გახდა, „კოლხეთი“ დამარცხებას შეგუებოდა. „ლოკომოტივიც“ უტევდა და რკინიგზელებმა თანამსაჯი გოჩა ცირდავაც გვარიანად დაღალეს, იმდენჯერ დარჩნენ თამაშგარედ. საგოლე მომენტებიც გვარიანად ფლანგეს სტუმრებმა და თამაშის ბოლოს გოლიც გაუშვეს. სალუქვაძის და წივწივაძის ორთაბრძოლისას ფოთელი საჯარიმოში წაიქცა. მესხსაც ბევრი არ უფიქრია, პენალტი დანიშნა, რომელიც წივწივაძემ აქცია გოლად.

მანამდე თანამსაჯ სამხარაძეს აუხირდა ფოთელი ქომაგი. „ტკბილი“ სიტყვები არ დაუკლიათ თანამსაჯისთვის. ორიოდ კენჭიც გაგორდა „ფაზისის“ მობიბინე სარბიელზე. მესხმა კი კოლხი ქუტიძე გააწითლა თანამსაჯის გინებისთვის. არა, ილოს სამხარაძისთვის ხმა არ გაუცია, რატომღაც ცირდავას გადაწყვეტილება არ მოეწონა და მესხსაც ბარათის ამოღებაში ხელს უშლიდა. ეს რომ არა, იქნებ ქუტიძე მხოლოდ გაფრთხილებას გამორჩენოდა.

მატჩისშემდგომ პრესკონფერენციაზე სტუმართაგან გია ჯიშკარიანი, ხოლო მასპინძლებიდან მამუკა მიქავა გამოცხადნენ. „კოლხეთის“ მწვრთნელმა გუნდის უმოტივაციობაზე და ტრავმირებულ მოთამაშეებზე დაიჩივლა, ხოლო „ლოკომოტივის“ ერთ-ერთმა თავკაცმა თავისი გუნდისთვის ფოთური დაპირისპირების პრინციპულობაზე ილაპარაკა.

ტორპედო	9	6	1	2	11:5	45
დინამო	9	8	1	0	20:0	44
ლოკომოტივი	9	6	1	2	13:5	44
კოლხეთი	9	2	2	5	8:12	26
ბათუმი	9	1	1	7	4:14	23
მერანი	9	1	0	8	3:23	20

ბომბარდირები

17 - ბოროშინი	ტორპედო
16 - დავითაშვილი	ლოკომოტივი
13 - წივწივაძე	კოლხეთი
მ. ბობოხიძე	დინამო
12 - ბურდული	დინამო
11 - ზ. ქუთათელაძე	ტორპედო
აფხაზავა	ბათუმი
ენდელაძე	მეტალურგი
ისიანი	სიონი

ბადრი ჯეიდელაძის ფოტო

ფოთში რკინიგზელთა სიხარულს სულიკო დავითაშვილის გოლმა დაუდო სათავე

VII–XII ადგილები

წყალტუბო. 26 მაისი. 17 მაისი. 17.30 საათი. 2 000 (ტევადობა 12 000)

სამგურალი 0:3 გორდა

სამგურალი: ბოდოკია, ფრანგიშვილი, შეგრილაძე, დ. ქელეძე, ი. ხაჭაპურიძე (ვაჩიბერაძე 46), კიკვიძე, შ. ლონღაძე, მ. ჯინჭარაძე (კოპალიანი 46), კ. ჯანაშია, დარსაძე, ხუნდაძე
სათადარიგო: ო. ბობოხიძე, ფხაკაძე, ნებიერიძე, ბანძელაძე, ლ. ქობულაძე
მწვრთნელი: გია გიკაბაძე

გორდა: ბალიაშვილი, კუდელაშვილი (თავბერიძე 70), ბერიძე, სილაგაძე, ზ. ცქიფურაშვილი, ზვ. ლაბაძე, გ. კილასონია, მელაძე, ალადაშვილი (ხმალაძე 87), ჯელაძე, დ. გოდერძიშვილი
სათადარიგო: ბეგლარაშვილი; ვ. კილასონია, ბუკია
მწვრთნელი: ვარლამ კილასონია

გამწვრთნელება: ქელეძე (37), ბალიაშვილი (56), შეგრილაძე (60), ჯელაძე (79)

მსაჯები: ზ. ანიაშვილი (გორი); ზ. მენთეშაშვილი, ზ. ხუციშვილი; ლ. ფანიაშვილი (სამეგრელო, თბილისი)

სწფ-ის ინსპექტორი: ბ. ქარქაშაძე

ჯარიმა: 16-25; კუთხური: 9-2; კარისკენ დარტყმა: 8-6; კარში დარტყმა: 0-1; თამაშგარე: 1-4

წყალტუბოში ახსოვთ: კილასონია და ვაჟა ფშაველა

ცოტა ქვა და ცოტა გინება

ვახტანგ ბზიკაძე წყალტუბოდან

წყალტუბოში გიორგი კილასონიას საჯარიმოები, შორეული გასროლები და გონივრული პასები ჯერაც კარგად ახსოვდათ. სხვებთან ერთად სწორედ კილასონიას კარგმა თამაშმა განაპირობა, გაიოზ დარსაძის გაწვრთნილი გუნდი ოთხი წლის წინ საქართველოს თასის ფინალში რომ გავიდა.

მას შემდეგ „სამგურალმა“ უმაღლესიდან გავარდნა და დაბრუნება მოასწრო. შაბათს კი ლიგათა მიჯნაზე ყოფნა-არყოფნის საკითხს ერთხელაც წყვეტდა. კილასონია ამჯერად მეტოქის ბანაკში იყო და ზემოთჩამოთვლილი თვისებებით რუსთავის „გორდას“ ეხმარებოდა. ამის მიუხედავად, „სამგურალის“ ქომაგობა ყველაზე ხშირად მის გვარ-სახელს იძახდა: კილასონია, არ დაგვღუპო! გია, არ გაიტანო!

საჯარიმოს შემსრულებელ გიორგი კილასონიას პუბლიკა იასონ კვირკველიას მარჯვენა ფეხზე შებმული წითელ ლენტივით უფრთხოდა.

მართლაც, ყველა იმ სტანდარტული მდგომარეობის შანსი, რომელიც არბიტრმა ზურაბ ანიაშვილმა „სამგურალს“ უხვად მისცა, უმცროს კილასონიას რომ ჰქონოდა, ოდნავ არეულ მიზანს, უთუოდ გაისწორებდა.

თუმცა რაღა არეულს, როცა ამ მატჩის ერთადერთი მწვავე და ზუსტი დარტყმა სწორედ მის ანგარიშზეა — 25-ე წუთზე, ისე, რომ ცენტრალურ რკალს არ გასცდენია, კილასონიამ საჯარიმო კარში დაარტყა და ბოდოკიას დაგვიანებული რეაქციის წყალობით „გორდას“ პირველი კუთხური მოინდირა. მეორედ კი კარიდან 30 მეტრში მყოფმა კილასონიამ მეურვე ღონღაძე დასცა და ბოდოკიას იგივეს გაკეთება აიძულა, რაც ათი წუთის წინ.

„სამგურალს“ კი ყველაზე ხელსაყრელი შანსი ამათ შორის მიეცა, მაგრამ შალვა ღონღაძის თავით დაგდებული ბურთი ნიკოლოზ კიკვიძემ კარს ააცილა.

იყო კიდევ ერთი, პირველი ტაიმის მიწურულს, როცა მარცხნიდან ჯანაშიას ჩაწოდებული ჯარიმა რომელიღაც რუსთაველისგან ასხლეტილი ხუნდაძეს მიუვიდა, რომელმაც მახვილი კუთხიდან ბადე კი შეარხია, მაგრამ გარედან. ამ მომენტს მასპინძელთა აპელაცია მოჰყვა, სტუმარმა ხელით ითამაშაო და, ცოდვა გამხელილი სჯობს, მეც ასე მომეჩვენა, მაგრამ ვის მოხვდა, მართლა მოხვდა თუ არა, ვერავინ დაიჩემებს. ანიაშვილმაც თამაშის გაგრძელება ბრძანა.

„გორდამ“ ტაიმნახევარი უფრო გამართულად ითამაშა. უკეთ მობილიზებული და საამმატჩოდ უკეთვე მომზადებული გუნდის შთაბეჭდილება დატოვა. მართალია, სტუმრებს მასპინძელთაგან განსხვავებით ფრეც ხელს აძლევდათ, მაგრამ იოლი არც მათი პროგრამა მინიმუმი იყო.

სამწვრთნელო ასპარეზზე ახალბედა ვარლამ კილასონიამ, ჩანს საკუთარი (როგორც მოთამაშის, ისე მწვრთნელის) შესაძლებლობები რეალურად შეაფასა. თამაშს გვერდიდან უყურა, თანაგუნდელები მატჩამდე თუ მატჩისას გონივრული დარიგებებით გამხნევა, დამშვიდა - პროვოკაციას ნურცერთი წამოეგებაო და კიდეც იხეირა.

შესვენებაზე გია გიგატაძის წყვილმა შეცვლამ „სამგურალი“ ისე გამოაცოცხლა, მეორე ტაიმში ორივე გუნდი ძნელი საცნობი იყო. მასპინძლებმა შტურმი შტურმზე მოაწყეს, რომელთა მოგერიებაც სტუმრებს ძალიან უჭირდათ. წყალტუბოელებს რომ ზედიზედ სამი კუთხური თუ სხვა უპირატესობანი გოლად ექციათ, მსაჯობაზე გული ტყუილად არ დასწყდებოდათ.

საერთოდ, თუ იმ პენალტს არ ჩავთვლით, რომელსაც „სამგურალი“ ითხოვდა, მასპინძლებს მსაჯობის მიმართ პრეტენზია წესით არ უნდა ჰქონოდათ. გორელმა არბიტრმა არცერთ რუსთაველს არ აპატია უმნიშვნელო დარღვევაც კი. ეს საჯარიმოთა რაოდენობაშიც აისახა: 16-25-თან. ანიაშვილმა „სამგურალს“ არც დრო დამადლა, მატჩს 4 წუთი წაამატა. „გორდას“ არც ეს გაუპროტესტებია, ადგა და, ნებსით თუ უნებლიედ, ხერხი იხმარა, რომლითაც დრო გაიყვანა. რუსთაველებმა შეცვლის ფურცელში ჯერ არმაზ ჯელაძის ნომერი „9“ ჩაწერეს, რომლის მოედნის კიდესთან მოსვლა მთავარმა მწვრნელმა ვარლამ კილასონიამ გაიკვირვა და მის ნაცვლად მოპირდაპირე ფრთიდან კახა ალადაშვილს უხმო. „სამგურალის“ სათადარიგოთა სკამზე ეს ამბავი შეუმჩნეველი არ დარჩენიათ, მაგრამ სტუმრებმა თავისი გაიტანეს, შეგვეშალაო. ეს ამბავი ყურადღებამისაქცევი უფრო იმიტომ იყო, რომ შეცვლასთან დაკავშირებული იაღლიში ანიაშვილი-ფანიაშვილის დუეტს პირუკუ სუბორდინაციით ორი კვირის წინ ქუთაისში „ტორპედო“ — „ლოკომოტივის“ მატჩისას შეემთხვა, რასაც ჩემპიონი დღემდე აპროტესტებს.

ერთი სიტყვით, „გორდამ“ მინიმუმ გადათამაშება გაინაღდა, „სამგურალი“ კი დამატებით მატჩს საბოლოოდ აარიდა: მოიგებენ წყალტუბოელები ზესტაფონში, უმაღლესს უდავიდარაბოდ შერჩებიან, წააგებენ და პირველ ლიგაში დაქვეითდებიან.

მატჩის მერე პოლიციას საქმე ბევრი ჰქონდა, ცოტა ქვა იყო, ცოტა გინება და კიდევ, გულდამწვარი „რატომ ვვარდებით“... „გორდაც“ და მსაჯებიც რაიონის გამგებელ მირზა ქორქაშვილის დავალებით პოლიციამ სამშვიდობოს გაიყვანა. იმერეთში სტუმარ-მასპინძლობა ყველას როდი ავიწყდება. „სამგურალის“ პრეზიდენტის ზაზა სოფრომაძის მიწვევით, შაბათსვე წყალტუბოს საკონცერტო დარბაზი „ივერია“ ქართული ესტრადის ვარსკვლავებს მასპინძლობდა.

ᲛᲘᲪᲮᲔᲗᲘ. არმაზი. 18 მაისი. 17.30 საათი. 150 (ტევადობა 3 000)

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ 0:0 ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ

ᲕᲘᲢ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ: მერლანი, ლ. ნოზაძე, კობიაშვილი, მუჯირი, გველესიანი, ვ. ბოჩაშვილი (იმედაშვილი 73), დიღმელაშვილი, ადამია (იაშვილი 65), ბესიკ თედორაძე, წულუნავა (ფეიქრიშვილი 61), მელქაძე
სათადარიგო: ჭურაძე, კვახაძე, სახოკია, მალიჩავა
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ჯანი კარნეველი

ᲛᲔᲢᲐᲚᲣᲠᲒᲘ: ა. ლაბაძე, მალლაკელიძე, ბაქრაძე, ორმოცაძე, კობესაშვილი, სულაკაძე, ლ. მერებაშვილი, გაბრიჭიძე, კაციაშვილი, კრავეიშვილი (ყარდიაშვილი 68), ენდელაძე
სათადარიგო: მერკვილიშვილი, ცნობილაძე, მ. ღონღლაძე, მემარნიშვილი, ჭიტნონელიძე, გურეშიძე
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: ზაურ ჩუბინიძე

ᲒᲐᲤᲠᲗᲮᲘᲚᲔᲑᲘ: ორმოცაძე (24), კობიაშვილი (54), ადამია (56)

ᲛᲝᲐᲯᲐᲒᲔᲑᲘ: ა. შალამბერიძე, ჯ. გაბრიაძე, ნ. რუსიშვილი; გ. კიკაჩეიშვილი (ყველა ქუთაისი)

ᲡᲦᲨ-ის ᲘᲜᲡ�პᲔᲥᲢᲝᲠᲘ: ნ. კაკულია

ᲯᲐᲠᲘᲛᲐ: 27-22; კუთხური: 2-3; კარისკენ დარტყმა: 6-4; კარში დარტყმა: 4-2; თამაშგარე: 3-6

ᲔᲡ ᲐᲠ ᲘᲧᲝ ᲤᲔᲮᲑᲣᲠᲗᲘ...

ᲒᲘᲝᲠ�გᲘ ᲕᲐᲨᲐᲙᲘᲫᲔ მცხეთიდან

ᲒᲣᲚᲜᲐᲢᲙᲔᲜᲘ გახლდათ ნამატჩევს ვეტერინართა თავკაცი ჯანი კარნეველი. კითხვაზე, თუ რა შეფასებას მისცემდა სინიორ ჯანი შეხვედრას, პირდაპირ მოგვიჭრა, თქვენი არ ვიცი, მაგრამ მე დღეს ფეხბურთი არ მინახავსო. მართალიცაა. შაბათს „არმაზზე“ ფეხბურთი ნამდვილად არ იყო. 90 წუთის განმავლობაში 22 კაცის „შემოქმედებას“ წვალება უფრო ეთქმოდა, ვიდრე თამაში.

უმოტივაციოდ დარჩენილი ვიტელები უფრო შორეული დარტყმებით ლამობდნენ ზესტაფონელთა მეკარე ლაბაძის შეწუხებას, სტუმრები კი, აშკარა იყო, ფრეზეც ყაბულს იყვნენ. კი თქვა „მეტალურგის“ მწვრთნელმა ზაურ ჩუბინიძემ, მოსაგებად ვთამაშობდითო, თუმცა ისიც დასძინა, მიღწეული შედეგითაც კმაყოფილი ვართო.

ერთი სიტყვით, „მეტალურგმა“ არ წააგო, მცხეთიდან ქულა ალალად წაიყოლა და ახლა ოთხშაბათის მოლოდინშია. სწორედ ხვალ გაირკვევა, „მეტალურგი“ თუ „სამგურალი“. ჰო-ჰო, ზესტაფონში ამბავი იქნება, ნუ იკითხავთ.

ცხადია, მეტალურგები თავს გამოიდებენ. მოგების შემთხვევაში ხომ უმაღლესში რჩებიან, მაგრამ ისიც ცხადზე უცხადესია, რომ წყალტუბოელებიც არაფერს დათმობენ. ალბათ, იკითხავთ ადრე თუ მცხეთური მატჩის მიმოხილვაა, „სამგურალი“ რაღა შუაშია, მაგრამ აღსაწერიც რომ არაფერია?

თამაშის შემდეგ „ვიტ ჯორჯიას“ პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ ოფიციალურად დაგვიდასტურა, იმ შემთხვევაში, თუ „კოლხეთმა“ ან ბათუმმა“ უარი თქვეს ევროპულ საგზურზე, ინტერტოტოს თასზე ჩვენ ვითამაშებთო. „ფედერაციას უკვე ვაცნობეთ და განცხადების ფურცელიც ვაახლეთ. ფოთელთა ან ბათუმელთა უარის შემთხვევაში ინტერტოტოს თასზე საქართველოს „ვიტ ჯორჯია“ წარადგენს“ — გვითხრა გურამ რუხაძემ.

ᲚᲐᲜᲩᲮᲣᲗᲘ. ეკვრაფი შევარდნაძე. 18 მაისი. 17.30 საათი. 150 (22 000 ტევადობა)

ᲒᲣᲠᲘᲐ 1:3 ᲡᲘᲝᲜᲘ

0:1 გაბისკირია (3), 0:2, 0:3 ისიანი (15, 57), 1:3 ნაროუშვილი (56)

ᲒᲣᲠᲘᲐ: ჩომახიძე (ქაფოძე 60), ქიქავა (ჩხარტიშვილი 46), განევი, ფვანია, ფაცურია, კუკულაძე, ლ. ჩხაიძე (ორგველიძე 46), სულაქველიძე, კიკაჩეიშვილი, ნაროუშვილი, გურამ ინანიშვილი
სათადარიგო: ჯიქიძე
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: რამაზ ფირცხალაიშვილი

ᲡᲘᲝᲜᲘ: ვოლკოვი, მინდიაშვილი, სიდამონიძე, ა. ბურნაძე, პაპიძე, კარიაული, ბ. შენგელია (ბარნოვი 60), ისიანი (კ. გოდერძიშვილი 75), გაბისკირია, ხუძუა, გიორგი ჭორიძე (მინაშვილი 46)
სათადარიგო: დალაქიშვილი
ᲛᲬᲕᲠᲗᲜᲔᲚᲘ: თემურ მახარაძე

ᲛᲝᲐᲯᲐᲒᲔᲑᲘ: ა. შილაკაძე, ზ. დოლიძე, ი. შალამბერიძე (სამივე თბილისი); ბ. დოგრაშვილი (ქუთაისი)

ᲡᲦᲨ-ის ᲘᲜᲡ�პᲔᲥᲢᲝᲠᲘ: რ. ჩილაჩავა

ᲯᲐᲠᲘᲛᲐ 14-13; კუთხური 3-4; კარისკენ დარტყმა 3-3; კარში დარტყმა 2-4; თამაშგარე 4-1

ᲜᲐᲑᲘᲯᲘ ᲨᲙᲐᲜ ᲒᲐᲣᲠᲙᲕᲔᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ

ᲒᲝᲩᲐ ᲯᲘᲐᲜᲐᲨᲘᲐ ლანჩხუთიდან

ᲨᲐᲑᲐᲗᲘᲡ „ეკვრაფი შევარდნაძეზე“ მისულმა „გურიას“ მცირეოდენმა უერთგულესმა ქომაგობამ თავისი გუნდის საცოდაობას უცქირა და ქვედა ლიგაშიც გზა ნაღვლიანად დაულოცა. თუმცა, გზასაც გაჩნია და საქმისადმი ასეთი მიდგომით რა ბედი მოელით გურულებს საკითხავიც სწორედ ეს არის.

საერთოდ, როცა რაიმე საქმეს ეჭიდები, კარგად უნდა აცნობიერებდე, გაწვდები თუ არა მას ბოლომდე. ეგ სიტყვები „გურიას“ მესვეურებზე ზედგამოჭრილია. ამ ხალხმა თავის დროზე უმაღლეს ლიგაში რიხით გადასვლა შუა სეზონში არარაობად აქცია და კიდევ ერთი სამარცხვინო ფურცლით „გაამდიდრა“ კლუბის ისტორია.

არადა, იმ შემადგენლობით და პირობებით, რომლითაც „გურიამ“ წლევანდელი სეზონი დაიწყო, ადვილი შესაძლებელი იყო ლიგაში დარჩენა. ყოველ შემთხვევაში, ლანჩხუთში ყველა ასე ფიქრობდა და ახლაც იგივე აზრზე არიან.

ერთადერთი რაც გურულებს „სიონთან“ შეხვედრაში შეეძლოთ კარის მიჯახუნება იყო, თუმცა ამის შესაძლებლობა და რაც უმთავრესია სურვილი მათ ქმედებაში ვერაფრით დავინახეთ. თავის მხრივ ბოლნისელებს რა ღმერთი გაუწყრებოდათ იგივე მიზნისთვის არ მიეღწიათ, რაც უკლებლივ ყველა გუნდმა მიაღწია ლანჩხუთში სტუმრობისას. ჰოდა, სულ იოლად აისრულეს სტუმრებმა საწადელი.

ამ უსახური თამაშიდან გეტყვით მხოლოდ იმას, რომ „სიონმა“ დასაწყისშივე შეძლო გატანა. გაბისკირიას შორიდან დარტყმული ბურთი სიძლიერით არ გამოირჩა, მაგრამ მეკარის წინ მიწიდან ასხლეტილი კარში აღმოჩნდა. მალე გაბისკირია ასისტენტობას დასჯერდა და სხვებისგან აშკარად გამორჩეულ ისიანს გაატანინა. მეორე ტაიმში ისიანმა თავისი მეორე გოლიც გაიტანა, რომელსაც ორ წუთში მასპინძელთა პრესტიჟისა მოჰყვა.

წლეულს ეს გოლი გურულებისთვის მესამე, ნაროუშვილისთვის კი სულაც პირველი გამოდგა.

ნამატჩევს სრულ გაურკვევლობაში იყო გულშემატკივარი. ამის მიზეზი „გურიას“ ირგვლივ შექმნილი უპერსპექტივობა გახლდათ და დიდი შანსია პირველ ლიგაშიც იგივე ბედი ეწიოს, ერთ დროს მდიდარი ტრადიციებით გაჯერებულ გურულთა საამაყო გუნდს.

ვიტ ჯორჯია	9	5	2	2	12:8	34
სიონი	9	5	0	4	18:13	28
მეტალურგი	9	4	2	3	13:10	24
სამგურალი	9	5	1	3	11:7	23
გორდა	9	4	3	2	15:11	22
გურია	9	0	0	9	4:24	8

ᲤᲝᲤᲝᲖᲔ ᲯᲝᲠᲯᲘᲐ ᲬᲐᲕᲘᲓᲐ

ᲠᲐᲡᲐᲪ ᲙᲝᲚᲮᲔᲗᲘ ᲓᲐ ᲑᲐᲗᲣᲛᲘ ᲣᲤᲠᲗᲮᲘᲚᲘᲗ, ᲕᲔᲢᲔᲠᲘᲜᲐᲠᲔᲑᲡ ᲕᲔᲠ ᲐᲪᲘᲜᲔᲑᲡ

ᲘᲜᲢᲔᲠᲢᲝᲢᲝᲡ გათამაშებაში მონაწილე ქართული გუნდის ვინაობა მეცამეტე ჩემპიონატის დასრულებამდე ტურით ადრე გაირკვა. ეს ამბავი ბეჭედდასმულია უეფასა და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის მიერ.

22 ივნისს ბელგიურ „ლოკერენს“ ეთამაშება არა ფოთის „კოლხეთი“, ვისაც წესისა და რიგის მიხედვით ეკუთვნოდა ინტერტოტოზე გამოსვლა. ეს არ იქნება არც „ბათუმი“, რომელიც კუდში მისდევდა „კოლხეთს“ და ვერაფრით წაართვა მეოთხე ადგილი, არამედ, იქნება თბილისური „ვიტ ჯორჯია“, საქართველოს ოდნდელი ვიცე-ჩემპიონი, რომელიც ქვეექვსეულის ლიდერია.

როგორც ირკვევა, ფოთელებს და ბათუმელებს უარი უთქვამთ ინტერტოტოზე. „ფაზისის“ მკვიდრთ ფინანსური მოსაზრებების გამო, ჩვენთვის მანდ მონაწილეობა ოდენ ხარჯიაო. „ბათუმის“ სტადიონი კი ფაქტობრივად დაშლილია, სხვაგან თამაში კიდევ დამატებითი ხარჯიაო, დაუკვნიათ აჭარელებს. „მერაწხე“ ხომ ზედმეტია ლაპარაკი, კლუბი, რომელსაც თავისი მოთამაშეები ვერ დაუკმაყოფილებია, უეფას 300 ათასიან გარანტიას როგორ აახლებდა?

დარჩა „ვიტ ჯორჯია“, რომელსაც, ობიექტურები თუ ვიქნებით, ზეექვსეულში თამაში კი ეკუთვნოდა, მაგრამ არსებულმა სისტემამ ლიგაში დასარჩენად ბრძოლაღა არგუნა.

ამ ფაქტის კომენტირება გუშინვე არ დაიზარა კლუბის პრეზიდენტმა გურამ რუხაძემ:

— ჩვენ წუთითაც არ გვიყოყმანია, როგორც კი შემოგვთავაზეს ინტერტოტოზე თამაში, მაშინვე თანხმობა განვაცხადეთ. „ვიტ ჯორჯიამ“ ზედიზედ ორჯერ ითამაშა ევროპულ ტურნირებში და გულით გვეწადა, ასევე გაგვეგრძელებინა. უწყვეტად ევროსარბიელზე გამოჩენა გუნდის იმიჯს აამაღლებს. „ვიტ ჯორჯია“ გაისადაც ეცდება საწადელს მიაღწიოს. ფინანსურ მხარეს არა აქვს მნიშვნელობა, ეს ის შემთხვევაა, როცა მიზანი ამართლებს ხარჯებს.

თუ მოვახერხეთ და ბელგიური ბარიერი გავიარეთ, შემდეგ წრეში ბუნდესლიგურ „შტუტგარტს“ ვეთამაშებით. გერმანელებთან გაჯიბრება კი დიდ გამოცდილებას შესძენს ახალგაზრდა ვიტელებს.

„ვიტ ჯორჯია“ 22 მაისის შემდეგ ერთ კვირას დაისვენებს, მერე ორი კვირა მცხეთაში ივარჯიშებს და 14-17 ივნისის შუალედში ბრიუსელში გაემგზავრება. „ლოკერენთან“ მატჩისთვის მზადების ბოლო ეტაპს იქ გავივლით. თბილისში კი 24-ში დავბრუნდებით.

სეზონი რომ დამთავრდება, რამდენიმე თამაშე გუნდიდან წავა, ჯერ მათ ვინაობას ვერ გაგიმხელთ, მაგრამ უკვე გადაწყვეტილი ამბავია. სხვა რადიკალური ცვლილებები კი „ვიტ ჯორჯიაში“ არ იქნება.

ᲗᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲓᲐᲕᲘᲗ ᲣᲘᲤᲘᲐᲜᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ

ᲗᲐᲡᲘ ᲐᲗᲘ ᲐᲗᲐᲡᲐᲓ ᲓᲐᲤᲐᲡᲓᲐ

26 ᲛᲐᲘᲡᲡ თასის ფინალში ზედიზედ მესამედ დაუპირისპირდებიან ერთმანეთს „ლოკომოტივი“ და „ტორპედო“. წინა ორი ფინალის შემდეგ ანგარიში თანაბარია — ჯერ „ლოკომოტივმა“ იმარჯვა პენალტებით „ეროვნულზე“, მერე კი „ტორპედომ“ იგივე ხერხით ახალთახალი სტადიონის საზეიმო გახსნის ცერემონიალი და სადღესასწაულო განწყობა ჩაუმწარა მეტოქეს.

ამჯერად მათი დაპირისპირება „ლოკომოტივისთვის“ კარგად დაცდილ „ეროვნულზეა“ დანიშნული, თუმც ქვენის ჯერ კიდევ უმთავრესი სარბიელი არც რიონისპირელთათვისაა მთლად უიღბლო. „ტორპედომ“ ხომ იქ წააქცია „სამგურალი“ და თასიც პირველად დაისაკუთრა.

როგორც ფედერაციაში გვაცნობეს, ფინალი 18 საათზე დაიწყება, თუმც არც ის არის გამორიცხული, გადამწყვეტი ორთაბრძოლის დაწყების დრომ ერთი საათით გვიან გადაიწიოს.

ყველაზე მთავარი ფედერაციის გენერალურმა მდივანმა — ვალერი ჩოლარიამ გვითხრა — თასის მომგები ჩვენგან 10 ათას ლარს მიიღებსო. ადრე მხოლოდ ჩემპიონი სარეკორდებოდა. პირველობისთვის კუთვნილ 150 ათას შვეიცარულ ფრანკს მეცამეტე ეროვნულის გამარჯვებულიც მიიღებს.

ᲗᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲕᲘᲡᲘᲐ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲘᲜᲐᲛᲝ?

„ᲓᲘᲜᲐᲛᲝ“ რომ დღემდე სადავო კლუბად ქცეულა, დიდი ხანია, ვიცით. აი, ის კი ნამდვილად ვერ გაგვიგია, რომელია ნამდვილი „დინამო“. არადა, „დინამო“ ერთია, რომელზეც პრეტენზიას ორი სუბიექტი აცხადებს. ერთი, „ვორლდ სპორტ პარტნერშიპი“ მას „დინამო თბილისად“ მოიხსენიებს, მეორე „ბერმუხა 92“ კი „თბილისის დინამოდ“. პირველის თავკაცის ვინაობა ჩვენთვის უცნობია, მაგრამ ერთ-ერთი მეწილე და პარტნიორი ბადრი პატარკაცი შვილია. „ბერმუხა 92“-ის სათავეში კი ჯონი გიგანი დგას.

სწორედ ჯონი გიგანის ჯგუფმა მოიგო გაწელილი სასამართლო დავა და აცხადებს, რომ კლუბი კანონიერ პატრონს უნდა დაუბრუნდეს.

გუშინ სასამართლოს გადაწყვეტილება და „ბერმუხა 92“-ის წერილი ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმაც მიიღო. ვალერი ჩოლარიამ ჩვენთან საუბარში ორი დღის ვადა ითხოვა — „კომენტარისგან ჯერჯერობით თავს ვიკავებ. ადრეც მოგიმართავთ ამ თემაზე შეკითხვებით და თავაზიანი უარით გისტუმრებდით. არც მქონდა პოზიციის დაფიქსირების უფლება, რადგან ჩემთვის ოფიციალურად წერილით ან საჩივრით არავის მოუმართავს. გავეცნობი წერილს და მერე ფედერაცია თავის პოზიციას დააფიქსირებს. ერთი რამ ნაღდია, ჩვენ აუცილებლად მოვახდენთ რეაგირებას.

არ გამოვრიცხავ, დავაში ფიფაც ჩაერიოს. ეს იმ შემთხვევაში, თუ მოდავე მხარეები ვერ მორიგდებიან და ჩვენს მიერ მიღებული გადაწყვეტილება არ დააკმაყოფილებთ“.

საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ „დინამოს“ ირგვლივ ატეხილი აურზაური კიდევ დიდხანს არ ჩაწყნარდება და სასამართლო გარჩევებიც გაგრძელდება.

ᲗᲐᲛᲣᲙᲐ ᲙᲕᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ

ᲑᲐᲓᲠᲘ ᲯᲘᲝᲜᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ. ფოტო

ჯონი გიგანმა საქმეში ფეხბურთის ფედერაცია ჩარია



ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ ᲣᲜᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲬᲘᲒᲜᲔᲑᲘ

ანტონ კათალიკოსის „ქართული ღრამმატიკა“ (1885) და „მზამეტყველება“ (1892), ვახუშტი ბატონიშვილის „საქართველოს გეოგრაფია“ (1904), პროფესორ ვუნდტის „ადამიანისა და ცხოველთა სული“ (ორ ტომად, რუსულ ენაზე, 1865, 1866) და სხვა. ასევე მოგვიანებით დასტამბული მნიშვნელოვანი გამოცემები. ტ. 30-75-81

ᲘᲧᲘᲓᲔᲑᲐ

ᲒᲐᲖ-2107 თეთრი ფერის, 1990 წელს გამოშვებული, კარგ მდგომარეობაში.

ᲯᲔᲚᲘ: 39-48-29 (11.00 19.00); 69-89-56 (საღამოს)

ᲙᲐᲮᲐ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ
ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲚᲘᲒᲐ
ᲛᲔᲝᲠᲔ ᲔᲢᲐᲞᲘ
13
9 ᲗᲣᲠᲘ

I-VI ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲪᲮᲘᲜᲕᲐᲚᲘ 0:2 ᲛᲘᲚᲐᲜᲘ

ᲗᲡᲣ 3:1 ᲓᲘᲚᲐ

ᲥᲝᲑᲣᲚᲔᲗᲘ 2:0 ᲚᲝᲙᲝᲛᲝᲢᲘᲕᲘ 3

მილანი	9	7	2	0	17:5	46
დილა	9	5	1	3	15:12	41
ქობულეთი	9	6	0	3	10:6	39
თსუ	9	5	1	3	12:10	39
ლოკომოტივი 3	9	2	0	7	13:16	26
ცხინვალი	9	0	0	9	3:21	18

VII-XI ᲐᲓᲒᲘᲚᲔᲑᲘ

ᲮᲝᲑᲘ 0:0 ᲓᲘᲜᲐᲛᲝ 2

ᲡᲐᲛᲒᲠᲔᲓᲘᲐ 2:3 ᲚᲐᲖᲘᲙᲐ

დინამო 2	7	5	2	0	13:4	31
ლაზიკა	7	3	1	3	14:9	23
ხობი	7	3	2	2	9:10	22
სამგრედია	8	2	1	5	8:14	17
მერანი 2	7	2	0	5	9:16	14

ჯორჯა–იაპონია 2002

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 10 დღე

კლოზე კლოსი ნუ გგონიათ, ის მხოლოდ გერმანულ სიფათებს ჭიმავს

REUTERS ლუციერუ ზენინდან

მიროსლავ კლოზემ ავსტრიელებს ფეხები ააწევინა

ამ მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე სტუმრად უელსთან დამარცხების (0:1) შემდეგ „ბაიარენაზე“ მრავალად მისულმა გერმანელებმა სახის კუნთები აქტიურ მოძრაობაში მოიყვანეს — ხალხმა, როგორც იქნა, გაიღიმა და დადებითი ემოციების ტალღამ მთელ გერმანიას გადაუქროლა.

გოლთაცვენაში „კაიზერსლაუტერნის“ მიროსლავ კლოზე გამოირჩა. ეს მისი მეორე ჰეთ თრიქი გახლდათ ბუნდესნაკრებში, პირველი კი თებერვალში იყო, როცა გერმანელებმა ებრაელები არ დაინდეს — 7:1.

— მსოფლიოს ჩემპიონატის წინ გოლების გატანა თავდაჯერებულობას მმატებს, მაგრამ ეს ავტომატურად არ მაჯავშნის ადგილს სასტარტოში, ამისთვის კიდევ მომიწევს ბრძოლა — თქვა ნამატჩევს კლოზემ.

სიტყვა, ცხადია, გერმანელთა დამრიგებელ რუდი ფიოლერსაც ერგო: ბუნებრივია, კარგი რამ არის, როცა შენი გუნდი ბევრ საგოლე მომენტს შექმნის და ექვს გოლს გაიტანს, მაგრამ არ შემიძლია, ასი პროცენტით კმაყოფილი ვიყო, რადგან დაცვის ხაზის კოორდინაციის მხრივ კვლავ პრობლემები ვერ მოვაგვარეთ. თუმც ისიცაა, რომ თავიანთი პრობლემები ყველა გუნდს აქვს.

უელსთან დამარცხების შემდეგ კარგ განწყობაზე მაინც არ ვარ, მაგრამ არც იმედგაცრუებული მეთქმის. ჩვენი პროგრამა-მინიმუმი მუნდიალზე ჯგუფიდან გასვლაა და მტკიცედ მჯერა, რომ ამას შევძლებთ“.

ავსტრიელთა თავკაცი, მოგეხსენებათ, ფიოლერზე არანაკლებ სახელგანთქმული ჰანს კრანკლი გახლავთ, რომელმაც 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონატზე, არგენტინაში, გფრ-ს ორი გოლი გაუტანა ტურინირის მეორე ეტაპზე და დასავლეთგერმანელებიც მედლების გარეშე დარჩნენ (ის მატჩი ავსტრიელებმა 3:2 მოიგეს).

REUTERS ლუციერუ ზენინდან

კარსტენ იანკერმა ჰარალდ ჩერნის ბურთი არ დაინება

„ექვსი გოლის გაშვება მართლაც სამარცხვინოა. მეტოქემ კარგად ითამაშა, ჩვენ კი ძალიან რბილები და გულუბრყვილონი ვიყავით“ — ბრძანა კრანკლმა.

და კიდევ, შეხვედრის მე-20 წუთზე სებასტიან დაისლერი ისე დაშავდა, რომ ტკივილისგან სახეზე ხელებაფარებული, მოედნიდან საკაცით გაიყვანეს. ეს 22 წლის ნახევარმცველი ამ დროისთვის ყველაზე ნიჭიერ გერმანელ ფეხბურთელად არის მიჩნეული და შარშან ოქტომბერში გაკეთებული ოპერაციის გამო ფაქტობრივად მთელი სეზონი გაუცდა. გაზაფხულზე ერთი ბუნდესლიგური მატჩი კი ჩაატარა, მაგრამ მერე ვარჯიშზე თეძოს კუნთი გაუწყდა. ახლა კი...

„დაისლერს არაფერი აქვს გატეხილი და გაწყვეტილი, მაგრამ ტკივილი ძალიან აწუხებს. იძულებულნი ვართ, მოვიცადოთ, რათა ზუსტად დავადგინოთ რამდენად სერიოზულია მისი ტრავმა“ — განაცხადა მატჩის მერე რუდი ფიოლერმა. გუშინ კი გერმანელთა ბანაკიდან ისეთი ცნობა მოვიდა, ცალკე აღნიშნას რომ იმსახურებს (იხ. მერვე გვერდი).

ბარემ იმასაც შეგახსენებთ, რომ ტრავმების გამო გერმანიის ნაკრებს სამუნდიალოდ აქამდე უკვე ოთხი ფეხბურთელი გამოაკლდა — მეჰმეთ შოლი, იენს ნოვოტნი, კრისტიან ვიორნსი და ალექსანდრ ციკლერი.

დავით თავგართიელაძე



REUTERS ტრიისდიდორვეიდან

რუდი ფიოლერმა ავსტრიელებს კალათბურთი ეთამაშა

გერმანია

გერმანია 6:2 ავსტრია

1:0, 2:0 კლოზე (15, 29), 3:0 ბოდე (36), 3:1 აუფბაუზერი (37), 3:2 ვალერი (46), 4:2 კლოზე (53), 5:2 ბოდე (70), 6:2 ბიროფკა (83)

გერმანია: კანი, ფრინგსი (რანი 85), მეცელდერი, ლინკე, ციგე (ბაინრიხი 46), იერემისი (ბაუმანი 73), ბოდე (ბიროფკა 80), ჰამანი, დაისლერი (ს. კელი 21), იანკერი (ბირჰოფი 73), კლოზე (ასამოა 67)

ავსტრია: გორიუში, ბაური, დოსპელი (ბოგატიცი 83), ფელდჰოფერი (ბარნერი 63), ჩერნი, აუფბაუზერი, ვალერი (კიცბიხლერი 67), მიდლიხი, ვისენბერგერი (ჰიდენი 75), ჰერეგი (ბრუნმაირი 52), ლანდერლი (ბანისი 46)

მსაჯი: მასიმო ბუსაკა (შვეიცარია)

21 500 მაყურებელი

სკოლარი: ო, რა კარგია!

REUTERS ბარსელონიდან

რონალდინიომ ვიქტორ ვალდესს ორჯერ გაუტანა

ბრაზილია

კატალონია 1:3 ბრაზილია

0:1, 0:2 რონალდინიო (22, 45), 1:2 ლუის გარსია (63), 1:3 ედმილსონი (76)

კატალონია: ვალდესი (არნაუ 64), ჯელი (მორალესი 73), კიკე ალვარესი, ტორტოლერო, რობერი, ლობო, მიგელ ანხელი (სელადესი 64), ალეხს ფერნანდესი, ტამუდო (ოსკარი 46), კრუიფი (მონტი 77), ლუის გარსია (კრუგატი 64)

ბრაზილია: მარკოსი, კაფუ (ბელეტი 77), ედმილსონი, როკე ჟუნიორი, ანდერსონ პოლგა, ჟუნიორი, ემერსონი (ვამპეტა 85), კლებერსონი (ფილბერტო სილვა 80), რონალდო (ლუისაო 69), რონალდინიო (ჟუნინიო 69), დენილსონი (ედილსონი 74)

მსაჯი: ხესუს ტელიესი (ესპანეთი)

97 000 მაყურებელი

ბარსელონაში, „კამპ ნოუზე“ დიდი სიხარული იყო. გახსოვთ იქაური ლოზუნგი: „კატალონია ესპანეთი არ არის“?

ჰოდა, ჰა, ბურთი და ჰა, მოედანი — კატალონიის დამოუკიდებელმა ნაკრებმა ბრაზილიისას უმასპინძლა, თუმცა 1:3 წააგო. ბრაზილიელთაგან გოლები რონალდინიომ და ედმილსონმა გაიტანეს. რონალდინიომ ორჯერ შეაგდო.

„პარი სენ ჟერმენის“ ფეხბურთელმა პირველი გოლი პირველი ტაიმის შუაში, ოსტატურად შესრულებული საჯარიმო დარტყმით გაიტანა, მეორე კი ინდივიდუალური ნავარდით, ზედ შესვენების წინ.

შესვენების შემდეგ, კატალონიელთა დამოუკიდებელმა ნაკრებმა სხვაობა შეამცირა — ლუის გარსიამ თავურით შეუგდო აკრობატულად გადამხტარ მეკარე მარკოსს, თუმცა ერთნი თვლიან, ბურთს ხაზი არ გადაუკვეთიაო.

ბოლო სიტყვა კი მაინც ტეტრაკამპეონებმა თქვეს: მასპინძლებმა კუთხურიდან ჩაწოდებული ბურთი ვერ მოიშორეს, რითაც ედმილსონმა ისარგებლა და კარში დაუმიზნა.

„ძალიან გამახარა გუნდის ასეთმა თამაშმა — განაცხადა ბრაზილიელთა მწვრთნელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ, რომელსაც, რა ხანია, კრიტიკის გარდა არაფერი ესმის — განსაკუთრებით ორი ფორვარდის, რონალდოსა და დენილსონის დაცვაში გაწეულმა სამუშაომ მომხიბლა. მეტოქეც ძლიერი იყო, გაკვეთილიც კარგი მივიღეთ და ტრავმებსაც ავცდით, თუმცა ვიცი, რომ იქ, მსოფლიოს პირველობაზე გაცილებით მკაცრი მატჩები გველის“.

შემდეგ, სკოლარიმ თქვა, რომ მომავალ შაბათს, მალაიზიასთან შეხვედრაში ძირითადად ამავე ფეხბურთელებს დატვირთავს.

მაგრამ, ისე ნუ იფიქრებთ, თითქოს მოედანზე ცალკარა მიმდინარეობდა. „კამპ ნოუზე“ შეკრებილმა 97 ათასმა ქომაგმა ნახა, რამდენჯერმე როგორ გადაარჩინა გუნდი ბრაზილიის ნაკრების მეკარემ, ზემოხსენებულმა მარკოსმა რაულ ტამუდო იერიშებისას.

რაც შეეხება რივალდოს, იგი მშობლიურ სტადიონზე წყნარად იჯდა საბადარიგოთა სკამზე. საქმეში კი მას, ალბათ, მალაიზიაში ვიხილავთ.

ბაბუნა კედია

REUTERS ჟიულიო ლუმბურიდან

კლებერსონმა და კაკაუმ საათები მალაიზიურად მომართეს

ამ ჩვენ ფეხებს დასვენება სჭირდებათ

სლოვენია

სლოვენია 2:0 ბანა

1:0 ზაპოვიჩი (25), 2:0 ნოვაკი (45)

სლოვენია: სიმეუნოვიჩი, გალიჩი (ეუგდალიჩი 38), მილინოვიჩი, ენაქი, კარიჩი, გბიზერი (საჭოვიჩი 46), ნოვაკი, პავლინი (ანიმოვიჩი 46), ზაპოვიჩი (ნ. ჩეხი 63), რუდონია, ციმერმანიჩი (ოსტერეი 46)

ბანა: კინგსტონი, ამპონსაჰი, ბაფური, მენსა (კარიმი 83), ესიენი, ბია (იბრაჰიმი 61), სულეი (რაჰმანი 68), ბლეი, ედუსეი, ოფორი-ჯუნე, დბოატენგი (ბანეილი 83)

მსაჯი: მიხალ ბენეში (ჩეხეთი)

7 000 მაყურებელი

სლოვენიასთან ჯგუფში სამხრეთაფრიკელები ბინადრობენ. აფრიკული საფეხბურთო სკოლის ახლოს გასაცნობად კი ევროპელებმა განელებთან წაიბურთავეს.

სრეჩკო კატანეცის გუნდს დიდად არ გასჭირვებია მეტოქის დამარცხება. პირველ ტაიმში მასპინძლები უდავო უპირატესობას ფლობდნენ, რაც ანგარიშზეც აისახა. ზლატკო ზაჰოვიჩმა შუაწელში, ხოლო ჯონი ნოვაკმა ტაიმის მიწურულს ორჯერ გამოატანინეს ბურთი კარიდან რიჩარდ კინგსტონს. ორბურთიანი სხვაობის შემდეგ სლოვენიელებს თავი აღარ შეუწუხებიათ, მით უმეტეს, ვარჯიშებისგან გვარიანად დაღლილნი ყოფილან.

სრეჩკო კატანეცი: „ჩვენთვის ნებისმიერი გამარჯვება მნიშვნელოვანია, თუნდაც ეს რიგითი ამხანაგური მატჩი იყოს. ბიჭები ძალიან მონდომებულნი არიან და კარგადაც ემზადებიან. იმედი მაქვს, მუნდიალზე თავს არ შევირცხვენთ. ამ მატჩში ფეხბურთელებისგან მაინცდამაინც ბევრს არ ვითხოვდი. ეს იმიტომ, რომ ვარჯიშებისგან არაქათგამოცლილებს დასვენება სჭირდებათ. ვფიქრობ, სამსოფლიოსჩემპიონატოდ ძალებს მაქსიმალურად აღიდგენენ“.

ჯონი ნოვაკიც გადაღლილობას უჩიოდა: „მეორე ტაიმში ვეღარ დავრბოდით, რადგან ფეხები აღარ გვემორჩილებოდა. ვგრძნობ, რომ დასვენება გვჭირდება“.

ვაჟა ხუციშვილი

სრეჩკო კატანეცი

იყიდება ან ქირავდება

შეღავათიან ფასში, ერთოთახიანი
იზოლირებული ბინა
სარაჯიშვილის მეტროსთან, ბუნებრივი
აირით და ტელეფონით
ტელ: 60-21-23



ჯორჯა–იაპონია 2002

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 10 დღე

თეო: მამიკოს გარეშე კაპიკია თქვენი ფასი

საფრანგეთი — ბელგია



REUTERS ბარი ზიდან

ულრიხ რამე და ფრანგები მსოფლიოს ჩემპიონატზე დამარცხებულები გაემგზავრნენ...

საფრანგეთი 1:2 ბელგია

0:1 დე ბოეკი (20), 1:1 სიმონსი (40ს.ჯ.), 1:2 ვილმოტსი (90)

საფრანგეთი: რამე, ტურამი (სანიოლი 46), ლებეფი, დესაი, ლიზარაზუ (კანდელა 46), ვიეირა, ე. პეტი, ჯორკაეფი (მიკუ 46), ვილტორდი (ბოგოსიანი 80), ტრეზეგე (ჯ. სისე 46), დიუგარი

ბელგია: დე ფლიგერი, ჯ. პეეტერსი (დეფლანდრე 64), დე ბოეკი, ვან ბუიტენი, ვან კერკჰოვენი, მ. ბეენზა (სონჯი 46), სიმონსი (ვანდერეგე 75), ვალემი (ენგლებერტი 80), გოორი (ბოფინი 46), ვერმეერენი, ვილმოტსი

მსაჯი: ვალენტინ ივანოვი (რუსეთი)

78 000 მაყურებელი

როგორ გამოემშვიდობა შორეული აღმოსავლეთის გზას შემდგარი საფრანგეთის ნაკრები საკუთარ გულშემატკივარს? ბელგიასთან 1:2 მარცხით. ბელგია კი ის გუნდია, რომელიც მსოფლიოს ჩემპიონატზე ფაქტია, უკვე რიხით გაემგზავრება.

დამატებითი ცნობა: საფრანგეთის ნაკრებს შინ სამი წელიწადი არ წაეგო.

...მსაჯის მიერ წამატებული წუთები მიმდინარეობდა, როდესაც ბელგიელმა მარკ ვილმოტსმა ჩინებული გოლი შეუგდო ერთობ უსახურად და მშრალად მოთამაშე „ლურჯებს". და რატომ თამაშობდნენ „ლურჯები" უსახურად და მშრალად? ერთი პასუხი ასეთია: მათ ზიდანი და ანრი აკლდათ. მეორე პასუხი კი უფრო სერიოზულია: ისინი ძველებურად ვეღარ თამაშობენ.

პირველ პასუხში, კაცმა რომ თქვას, მცირე შესწორების შეტანაც შეიძლება. კერძოდ, ანრი ანრია და მისი ოსტატობის დაკნინებას არ ვაპირებთ, მაგრამ სულაც არ არის გამორიცხული, რომ ფრანგები ზიდანის გარეშე და ფრანგები ზიდანთან ერთად ორი გუნდია, თან ცასა და დედამიწასავით განსხვავებული.

თუმცა, ეს ყველაფერი თეორიაა. პრაქტიკულად კი მსოფლიოსა და ევროპის ჩემპიონებმა მუნდიალამდე 13 დღით ადრე, შინ ბელგიელებთან 1:2 წააგეს.

ანგარიშიც სტუმრებმა გახსნეს. 22-ე წუთზე გამთამაშებელმა იოჰან გალემმა საჯარიმო ჩააწოდა, ხოლო მცველმა გლენ დე ბოეკმა თავურით გაიტანა — რამაზ შენგელიას გაჰქონდა ასეთი გოლები. შემდეგ მასპინძლებმა ანგარიში გაათანაბრეს — აქედანაც მცველის, ფრანკ ლებეფის დარტყმულმა მოიტანა შედეგი, ოღონდ ბურთი გზად ნახევარმცველმა ტიმი სიმონსმა აისხლიტა.

ზოგადად, მატჩის მეტწილი დროის განმავლობაში უპირატესობას „ლურჯები" ფლობდნენ, მაგრამ ბელგიელებს დაცვა ყრუ კედლად აღემართათ და შეტევებიც ამ კედელზე იმსხვრეოდა. ვინ იცის, კედელში ბზარის პოვნა თეორიულად შესაძლებელიც იყო, ოღონდ ამას, ალბათ, ზიდანის ფანტაზია სჭირდებოდა. ზიდანი კი სულ სხვა საქმით იყო დაკავებული: სამშობიაროსთან ატუზული, მესამე ვაჟის, თეოს ქვეყნად მოვლენას ელოდებოდა.

„ამ წაგებას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ვერ მივანიჭებ, თუმცა ფაქტია, რომ ბელგიელთა წინააღმდეგ უფრო სწრაფად თამაში გვმართებდა. მეტოქე დიდი მოწადინებით და მტკიცედ დაგვიდგა — თქვა მატჩის შემდეგ ფრანგთა თავკაცმა როჟე ლემერმა — დიახ, წაგება ყოველთვის მწარეა. თან, დღეს, მსოფლიოს ჩემპიონატზე გამგზავრების წინ. ბუნებრივია, მოგება ორმაგად გვესიამოვნებოდა. შემდეგი მატჩის მოგების სურვილი ახლა, წესით, უნდა გაგვიათკეცდეს".

რობერ ვასეფი, ბელგიის ნაკრების მწვრთნელი: „ფრანგებზე ვერაფერს გეტყვით. არ მსურს მათზე ლაპარაკი, ჩვენ კი თავი ძალიან კარგად დავიცავით".

ბაბუნა კედია

REUTERS ჯგოშიმიდან

– ფრანგთა კაპიტან მარსელ დესაის და როჟე ლემერს კორეელები ხელგაშლილნი დახვდნენ

REUTERS ბრაზილიიდან

ჯენარო გატუზო ტომაშ როსიცკის მაინც ვერ გადაიტა

ისუნთქეთ ღრმად, მოდუნდით, გახალისდით!

იტალია

ჩეხეთი 1:0 იტალია

1:0 შმიცერი (26)

ჩეხეთი: კინსკი (ვანიაკი 46), ფუკალი (ლ. დოშეკი 46; სტაინერი 89), ბოლფი, იოპანა, იანკულოვსკი, პობორსკი (პეტროშე 88), გალაშეკი, იაროშიკი, როსიცკი (კოლუშეკი 81), შმიცერი (სიონკო 46), კოლერი (ტ. დოშეკი 75)

იტალია: ბუფონი (ტოლდო 46), ფ. კანავარო (ოულიანო 46), ნესტა, მალდინი (მატერაცი 46), ანმბროტა (დი ლივიო 71), გატუზო, დი ბიაჯო (დელვეკიო 71), ჯ. ანეტი (ტომაზი 46), კოკო (ბანური 46), ვიერი (ბონტელა 46), ფ. ინძაგი (დელ პიერო 46)

მსაჯი: მიხაელ ფროილიხი (გერმანია)

15 077 მაყურებელი

„სკუადრა აძურამ" პრაღაში, ჩეხებთან 0:1 წააგო და ისე დაადგა იაპონიისკენ მიმავალ გზას. შეხვედრის ერთადერთი გოლი ლივერპულელმა ვლადიმირ შმიცერმა გაიტანა.

იტალიელებს ფრანჩესკო ტოტი აკლდათ და, როგორც ამბობენ, ცუდი ფეხბურთი (განსაკუთრებით პირველ ტაიმში) სწორედ ამიტომ ითამაშეს.

შესვენების შემდეგ „სკუადრა აძურას" თავკაცმა, ჯოვანი ტრაპატონიმ ერთბაშად თუ თანდათანობით, ორის, ალესანდრო ნესტას და ჯენარო გაზუტოს გარდა მთელი გუნდი გამოცვალა. თავდასხმაში გამოჩნდნენ ალესანდრო დელ პიერო და ვინჩენცო მონტელა, ხოლო დამიანო ტომაზიმ კრისტიანო ძანეტის ნაცვლად იკისრა ბურჯობა. ამან გუნდის თამაში თითქოს გამოაკვეთა, მაგრამ ის, რომ უფრო სახიფათონი მაინც ჩეხები იყვნენ, ფაქტია — მეკარეს, ფრანჩესკო ტოლდოს გვარიანი გარჯა მოუხდა, განსაკუთრებით იმ ეპიზოდში, კარელ პობორსკი პირისპირ რომ შევიდა.

მატჩის შემდეგ ტრაპატონიმ დაიჩივლა, ჩემი ფეხბურთელები მძიმედ თამაშობდნენ, ფორვარდებმა მიუხედავად მისა, რომ პერსონალურად არავინ მეურვეობდათ, სივრცეებით ვერ ისარგებლეს და საერთოდაც, ბევრი წუწუნებდა, რომ კუნთები გადაეღალა, მოძრაობაში შეზღუდულია და სუნთქვა უჭირსო. და ეს ყველაფერი, დასძინა ტრაპატონიმ, მხოლოდ და მხოლოდ, ოთხდღიანი ერთობლივი ვარჯიშის შედეგო.

„უახლოეს ორ კვირაში ყველაფერი უნდა გამოსწორდეს. მახსოვს, არგენტინასთანაც ასე წავაგეთ, მაგრამ სწორი დასკვნები გამოვიტანეთ და მდგომარეობა გავაუმჯობესეთ" — თქვა დონ ტრაპამ.

მსოფლიოს ჩემპიონატზე პირველ შეხვედრას იტალია 3 ივნისს, ეკვადორთან გამართავს.

ბაბუნა კედია

ამერიკამ ათი იკმარა

REUTERS ფოტობანკიდან

ამერიკელთა მეკარე კეისი კელერს ტრავმის კვალიც აღარ ეტყობოდა

აშშ

აშშ 0:2 ჰოლანდია

0:1 მაკაი (45), 0:2 ვან დერ მეიდე (76)

აშშ: ფრიდელი (კელერი 46), რეგისი (ჯ. მური 81), აგოსი (ბერჰალტერი 41), პობი, სანე, ჯ. ობრაიენი, ჯ. რეინა, ე. სტეიარტი (ჯოუსი 73), ბქსლი (ე. ლუისი 87), მეტისი (დონოვანი 56), მაკბრაიდი (ვოლფი 65)

ჰოლანდია: ვატერეუსი, რაიციგერი (რეკენი 35), სტამი (ოიერი 81), ფ. დე ბური, ნეიანი, ლანდაატი, ვან დერ მეიდე, დავიდსი, კოკუ (ბოსველტი 75), მაკაი (ვან ჰოიდონკი 75), ზენდენი (ვ. სიკორა 75)

მსაჯი: არმანდო არჩუნდია (მექსიკა)

40 000 მაყურებელი

ჰოლანდიამ სტუმრად ფოქსბოროში აშშ-ს ნაკრები დაამარცხა და იანკებს 10-მატჩიანი წაუგებელი საშინაო სერიაც შეაწყვეტინა, მაგრამ: „ვფიქრობ, ძალიან ბევრი შანსი მივეცით, უფრო სერიოზული მეტოქე ამას აუცილებლად გამოიყენებდა" — განაცხადა ნამატჩევს ჰოლანდიელთა მწვრთნელმა დიკ ადვოკაატმა.

„იერიშების დასრულებისას სიზუსტე გვაკლდა, თორემ ყველაფერი სხვაგვარად იქნებოდა. უნდა ვაღიარო, რომ ჰოლანდიელთა მეკარემ ბრწყინვალედ ითამაშა" — დაიჩივლა ამერიკელთა დამრიგებელმა ბრიუს არენამ.

ეს მატჩი მართლაც რონალდ ვატერეუსის ბენეფისად იქცა. უკვე პირველ ტაიმში ეინდჰოვენელმა ობრაიანის, მაბრაიდის, რეინასა და პოუპის დარტყმები მოიგერია, ტაიმის მიწურულს კი ედგარ დავიდსის პასით როი მაკაიმ აშშ-ს პირველი გოლი გაუტანა.

მეორე ნახევარში მოედანზე იამაიკელებთან ტრავმამიღებული მეკარე კეისი კელერი გამოჩნდა და 62-ე წუთზე ვან დერ მეილესგან მეორე გოლიც მიიღო. აღსანიშნავია, რომ მაკაიმ და ვან დერ მეილემ თავიანთი პირველი სანაკრებო გოლები გაიტანეს. ამერიკელები კი მაინც არ ნებდებოდნენ, თუმც მას შემდეგ, რაც 75-ეზე ვატერეუსმა კობი ჯონსსაც აუღო, ბრიუს არენას შეგირდების ენთუზიაზმი ნელ-ნელა ჩაცხრა.

სერგი ტორიძე

ნიგერია

ნიგერია 1:0 იამაიკა

1:0 ობიორა (48)

ნიგერია: შორუნმუ (ენიმბა 46), სოდეკე, უდეზე, ეიოფორი (აფოლაბი 46), ვესტი, კრისტოფერი (შიტუ 46), იკედია (იობი 46), აიეგბენი (ბაიტა 46), ლავალი (ო. კანუ 46), ოგბეჩე (ადებაიორ 46), უგალი (ობიორა 46)

10 000 მაყურებელი

იყიდება სასწრაფოდ!

შავი ანტიკვარული როიალი „ბეხშტეინი", ნახევრადსაკონცერტო, მე-19 საუკუნის, დამზადებულია შეკვეთით. ფასი შეთანხმებით

ტელ: 22-23-15

ᲨᲔᲤᲔᲠᲛᲐ ᲨᲔᲘᲤᲔᲠᲐ

ᲓᲐᲜᲘᲐ

ᲓᲐᲜᲘᲐ 2:1 ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ

10 მეტომი (20ა.ჯ), 20 ტომსონი (59პ), 21 მბამი (74)

ᲓᲐᲜᲘᲐ: სორენსენი, პედერსენი, ჰენრიკსენი, ლუსტუ, ჰაინცე (ნ. იენსენი 87), ტოფტინგი (ბ. ნიელსენი 65), გრავესენი, იორგენსენი (კ. იენსენი 46), რომედალი (მიკაელსენი 80), ტომსონი, გრონვალერი (ლოვენკრანდსი 46)

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ: ალიუმი, ჩუისე, სონგი (ნჯანკა 46), მეტომი (რ. კალა 46), ვომე, ჯემბა, ალნუიდი (ჩატო 46), ოლემბე (კომე 46), მბამი (ფიუშინი 83), ეპალე (ნდო 76), ფობი (კიოიო 46)

მაყური: რუნე ჰედერსენი (ნორვეგია)

34 571 მაყურებელი

ᲐᲛᲡᲬᲐᲒᲣᲠᲘ მატჩი კამერუნელებისთვის ავტოგოლით დაიწყო. ლუსიენ მეტომომ მეოცე წუთზე ბურთი საკუთარ კარში ჩააჭრა. შემდგომ მეტოქენი უგოლოდ ჯაჯგურობდნენ და ტაიმიც მიილია.

მეორეში მასპინძლებმა თერთმეტმეტრიანი მოინადირეს. დარტყმა უეფას თასის მფლობელმა, იონ დალ ტომასონმა უნაკლოდ შეასრულა. აფრიკელები არ გამტყდარან და ტომას სორენსენის კარში ერთი საპასუხო მაინც შეაგდეს — თამაშის დასრულებამდე თხუთმეტი წუთით ადრე სხვაობა მოდესტე მბამომ შეამცირა.

ნამატჩევს კამერუნის გერმანელმა მწვრთნელმა ვინფრედ შეფერმა 23 რჩეული დაასახელა. მიუხედავად გატანილი გოლისა, მოდესტე მბამო მათ შორის ვერ მოხვდა. მუხლის ტრავმის გამო ნაკრები არ ეღირსა ვეტერან ჟან დიკა დიკას, რომელიც პორტუგალიის მეორე დივიზიონში ბურთაობს. მის ნაცვლად მაისურას პორტსმუთელი პიერ ნჯანკა ბიკა მოირგებს. გუნდს დაამშვენებენ ცნობილი სახელები: პატრიკ მბომა, ჟოზეფ ჟობი, სამუელ ეტოო და ლორენი. კაპიტნის სამკლავურს კი ძველებურად კიოლნელი რიგობერტ სონგი მოირგებს.

ვინფრედ შეფერმა შანსებზე და თანამემამულეებზე ორიოდ სიტყვაც თქვა: „პირველი მატჩი უმნიშვნელოვანესია. ირლანდია სრული სერიოზულობით უნდა შევაფასოთ. ფავორიტებს შორის კი, გერმანიასაც დავასახელებ, მიუხედავად ბოლო ხანს მათი უსახური თამაშისა. ვიმედოვნებ, რომ ფიოლერის შეგირდები პირველ ორ მატჩში მოაგვარებენ ჯგუფიდან გასვლის პრობლემებს, რამეთუ ბოლოს ჩვენ გვხვდებიან. მე არ ვაპირებ მათ დანდობას, ან რისამე ჩუქებას. თუ შანსი გვექნება, გერმანიის ნაკრების ჯგუფში ჩატოვებასაც ვეცდებით“.

ᲕᲐᲟᲐ ᲮᲣᲪᲘᲨᲕᲘᲚᲘ

კამერუნის ნაკრების განაცხადი:

ᲛᲔᲙᲐᲠᲔᲑᲘ: ბუკარ ალიუმი (სამსუნსფორი, თურქეთი), ჟაკ სონგო (მეცი, საფრანგეთი), კარლოს კამენი (იუვენტუსი, იტალია);

ᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ: რიგობერტ სონგი (კიოლნი, გერმანია), რაიმონ კალა (ესტრემადურა, ესპანეთი), პიერ ვომე (ბოლონია, იტალია), ლუსიენ მეტომო (მანჩესტერ სიტი, ინგლისი), პიერ ნჯანკა (სტრასბური, საფრანგეთი);

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲛᲪᲕᲔᲚᲔᲑᲘ: ბილ ჩატო (მონპელიე, საფრანგეთი), ნიკოლა ალნუდი (რიზესფორი, თურქეთი), ერიკ ჯემბა (ნანტი, საფრანგეთი), მარკ-ვივიენ ფოე ლიონი, საფრანგეთი), ლორენ ეტამაირი (არსენალი, ინგლისი), ჟოზეფ სირილ ნდო (ალ ხალე ?), დანიელ კომე (ნუმანსია, ესპანეთი), ჯერომი ნჯიტაპი (რეალი, ესპანეთი), სალომონ ოლემბე (მარსელი, საფრანგეთი), ჟოელ ეპალე (პანჰაიკი, საბერძნეთი);

ᲗᲐᲕᲓᲐᲛᲡᲮᲛᲔᲚᲔᲑᲘ: სამუელ ეტოო (მალიორკა, ესპანეთი), პატრიკ მბომა (სანდერლენდი, ინგლისი), პიუ ნდიეფი (სედანი, საფრანგეთი), პატრიკ სუფო (შეფილდ უნაიტედი, ინგლისი), ჟოზეფ დეზირე ჟობი (მეცი, საფრანგეთი)

ᲙᲐᲛᲔᲠᲣᲜᲘ

ᲞᲝᲠᲢᲣ�გᲐᲚᲘᲐ–ᲘᲐᲞᲝᲜᲘᲐ 2:0:2

ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘᲡ ᲓᲐᲬᲧᲔᲑᲐᲛᲓᲔ ᲓᲐᲠᲩᲐ 10 ᲓᲦᲔ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘᲡ ᲣᲙᲕᲘᲠᲐᲡᲘ: ᲠᲘᲗᲘ ᲐᲛᲐᲧᲝᲑᲡ ᲔᲜᲒᲚᲘ?

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ 1:0 ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ

1:0 ჟურავსკი (56)

ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ: მიდანი (მატშეკი 46), ჰაიტო (კლოსი 46), ვალდეზი (ზიელინსკი 46), ი. ბაკი (ზურავსკი 87), კოზმინსკი (სობიკი 57), კრეინოვეკი (კლოვაცკი 89), კალუჟნი (ა. ბაკი 63), სვეჟრჟევსკი (კუბარსკი 69), რეასა (მიხალ ჟველაკოვი 46), კრიშალოვიჩი (ჟურავსკი 46), ოლისადებე (მარჩინ ჟველაკოვი 46)

ᲔᲡᲢᲝᲜᲔᲗᲘ: ფოომი, ალასი, სტეპანოვი, პიიროია, სავიაუკი, ლეეტმა, ჰაავისტუ (ანისტე 73), კრისტალი, ვიკნიე (ზელინსკი 67), ოპერი, ტერეხოვი (როო

ჯორჯა-იაპონია 2002

მსოფლიოს ჩემპიონატის დაწყებამდე დარჩა 10 დღე



REUTERS ხერხებიდან

სანტიაგო კანისარესი

ტრავმის სურნელი

კანისარესი კოვწიაოზამ შნომროდ დატოვა

ესპანეთი

სანტიაგო კანისარესი, ესპანელთა უპირველესი მეკარე, ტრავმამ მსოფლიოს ჩემპიონატის მიღმა დატოვა, მაგრამ ტრავმაც არის და ტრავმაც...

შაბათს, ვარჯიშის მერე, საღამოს ათის ნახევარზე, კანისარესი თავის ოთახში შევიდა, ოდეკოლონის დასხმა მოინდომა და ტრაგიკომიკური შემთხვევაც მაშინ მოხდა — ოდეკალონის ბოთლი ხელიდან გაუვარდა, მარჯვენა ფეხის ცერა თითზე დაეცა, გატყდა და მყესი გადაუჭრა. ამაზე სულელური ტრავმა, ალბათ, ძნელი წარმოსადგენმია...

ვალენსიელი მეკარე, ცხალია, დაუყოვნებლივ საავადმყოფოში წაიყვანეს და ოპერაციაც წარმატებით გაკუეთეს. ოღონდ ისიც დანვმარტოთ, ნაკრების ექიმი ხენარო ბორასი „წარმატებულში" რას გულისხმობს: „როგორც კი ნაკერები შეუხორცდება, კანისარესი უპირობლემოდ შეუდგება ვარჯიშს, ამისთვის კი სამი-ოთხი კვირაა საჭირო".

მსოფლიოს ჩემპიონატს კი, მოგეხსენებათ, სამი-ოთხი კვირით ვერავინ გადადებს, ასე რომ...

ნაკრებში კანისარესის ნაცვლად, მესამე მეკარედ, მალაგელი პედრო კონტრერასი მიიწვიეს, პირველობა კი ჩემპიონთა ლიგის ფინალის გმირს, რეალიც ივერ კასილიასს ერგება.

კანისარესის თავს (ფეხს) გატეხილ ამბავთან რა მოსატანია, მაგრამ ნაკრებში მეკარეთა ნომრების საკითხიც ჯერჯერობით გაურკვეველია. კანისარესს №1 მაისური უნდა ჩაეცვა, კასილიასს კი №13. ახლა პირველი ნომერი ან რეალელს შეხვდება ან მალაგელს. საერთოდ კი ნომრები ასე განაწილდა:

მეკარეები

1 ან 13 იკერ კასილიასი (რეალი)
13 ან 23 რიკარდო (ვალიადოლიდი)
1, 13 ან 23 პედრო კონტრერასი (მალაგა)

მცველები:

2 კურო ტორესი (ვალენსია)
3 ხუანფრანი (სელტა)
5 კარლოს პუიოლი (ბარსელონა)
6 ფერნანდო იერო (რეალი)
15 რომერო (დეპორტივო)
20 მიგელ ანხელ ნადალი (მალიორკა)

ნახევარმცველები:

4 ივან ელგერა (რეალი)
8 რუბენ ბარახა (ვალენსია)
11 ხავიერ დე პედრო (სოსიედადი)
14 დავიდ ალბელდა (ვალენსია)
16 გაისკა მენდიეტა (ლაციო, იტალია)
17 ხუან კარლოს ვალერონი (დეპორტივო)
18 სერხიო (დეპორტივო)
19 ხავი (ბარსელონა)
21 ლუის ენრიკე (ბარსელონა)
22 ხოაკინი (ბეტისი)

თავდასმხმელები:

7 რაული (რეალი)
9 ფერნანდო მორიენტესი (რეალი)
10 დიეგო ტრისტანი (დეპორტივო)
12 ალბერტ ლუკე (მალიორკა)

REUTERS ხერხებიდან

ესპანელები ვარჯიშობენ და ლაღობენ: გაისკა მენდიეტა ალბერტ ლუკეს (მარჯვნივ) რაგბის ეთამაშება, ფერნანდო იერო იკერ კასილიასს ელექტრომობილით ასეირნებს, რაულს კი ძაღლმა ბურთი დაუგლიჯა

REUTERS ხერხებიდან

REUTERS ტრანსფერებიდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვახ, დაისლერ, რა ზნე გჭირსა?!

მეხუთე რაიხი ფიოლერისთვის

ზორისდებული ზუსტად შეარჩიეთ და გული მოიოხეთ — სებასტიან დაისლერი კორეა-იაპონიაში გერმანიის ეროვნულ ნაკრებს ვერ გაჰყვება.

22 წლის დაისლერი შაბათს საბედისწეროდ დაშავდა — ის და ავსტრიელთა შემტევი როლფ ლანდერლი ისე შეეჯახნენ ერთმენეთს, რომ გერმანელმა მარჯვენა მუხლი იტკინა...

დაისლერი მიუნხენის კლინიკაში გაქანეს, სადაც მას გუშინ ექიმებმა გერმანული ფეხბურთის ქომაგთათვის გულდამთუქავი დიაგნოზი დასვეს — ფეხბურთელს მუხლის მყესები არ გაუწყვეტია, მაგრამ ისე საშინლად აქვს დაზიანებული, რომ მყესი მყესს აღარ ჰგავს და საგულდაგულო მკურნალობა სჭირდება.

— მბეჟუტავი იმედი კი გვქონდა, მაგრამ ახლა უკვე მნიშვნელოვანი ისაა, დაისლერის ჯანმრთელობაზე ვიფიქროთ და არა იმაზე, რომ ის მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერ მოდის. მე ისღა შემიძლია, მას სწრაფი გამოჯანმრთელება ვუსურვო — ასეთი გახლდათ გერმანიის ეროვნული გუნდის თავკაცრუდი ფიოლერის გუშინდელი კომენტარი.

ეს სეზონი სებასტიან დაისლერისთვის ნამდვილი საშინელება გამოდგა. ჯერ იყო და ოქტომბერში სწორედ ამ მარჯვენა მუხლზე ოპერაცია გაიკეთა აშშ-ში. პაუზის შემდეგ პირველად აპრილში მოუწია შეცვლაზე თამაშმა „ჰამბურგის" წინააღმდეგ, მაგრამ მომდევნო ბუნდესლიგური მატჩი ვედარ ჩაატარა — ვარჯიშზე თეძოს კუნთი გაუწყდა და მას შემდეგ „ჰერტაში" აღარ უთამაშია. თუმც ნაკრების ბოლო სამ ამხანაგურ შეხვედრაში მონაწილეობდა კუვეიტის, უელსის და ავსტრიის წინააღმდეგ.

მომავალი ბაიერნელი სებასტიან დაისლერი უკვე მეხუთე ფეხბურთელია, ვინც ტრავმის გამო გერმანის ნაკრებს სამუნდიალოდ მოაკლდება. მანამდე ჯანმრთელობამ მეჰმეთ შოლს, ალექსანდრ ციკლერს, იენს ნოვოტნის და კრისტიან ვიორნს უმუხთლა.

კარგი მოთამაშეებით ისედაც მწირ გერმანიას კიდევ ეს უნდოდა?!

ფიოლერის გუნდს შოლისა და დაისლერის იძულებითი მოკვეთით ერთი ხეირიანი დრიბლიორიც აღარ შერჩა...

დავით თავართქილაძე

გავალ, მოვწევ და მოვალ

იაპონიაში მწეველებს უსიამოვნო სიურპრიზი ელით. იქურმა საორგანიზაციო კომიტეტმა სტადიონზე სიგარეტის მოწევა, ხოლო სტადიონის ტერიტორიაზე თამბაქოს ნაწარმის გასაღება აკრძალა. თუ, ვთქვათ, ვინმე ტრიბუნაზე მჯდომმა გაბედა და მაინც გააბოლა, ყველაზე ახლოს მდგომი პოლიციელი მას ტუჩებში შემოსცხებს. ცხადია, მთლად ასე არ იქნება, მაგრამ არც იმას ამბობენ, წესისდამრღვევთ რა ფორმით დასჯიან. სამაგიეროდ, ქომაგებს გასაგები ენით აუხსნიან, რომ ფილტვების შებოლვა მხოლოდ საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში შეიძლება.

ორგანიზატორებმა მსოფლიოს ეს ჩემპიონატი ანტინიკოტინურ კამპანიად მონათლეს. კო იამაგუჩი, საორგანიზაციო კომიტეტის წევრი: „ფიფა და ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია შეთანხმდნენ, ერთად ებრძოლონ მავნე ჩვევას. მათ მოგვმართეს თხოვნით, რომ უსიგარეტოდ ჩაგვეტარებინა ჩემპიონატი, რაზეც სიამოვნებით დავთანხმდით".

დავუშვათ, მაყურებლებმა მართლაც შეიკავეს თავი და 90 წუთის განმავლობაში ტრიბუნაზე არ მოწიეს, მწვრთნელებს რა ბედი ეწევათ? იგივე ოლეგ რომანცევი თითებშუა გაჩხერილი მბოლავი სიგარეტის გარეშე ძნელი წარმოსადგენია. ორგანიზატორები მწვრთნელებს მხოლოდ და მხოლოდ მოუწოდებენ, მოწევისგან თავი შეიკავონ.

ფიფას პრესმდივანი, კეიტ კუპერი იმედოვნებს, ნაკრებთა თავკაცები ამ კამპანიას შეუერთდებიანო: „ფიფამ 32-ვე ნაკრების მწვრთნელს თხოვნით მიმართა, უარი თქვან მატჩის დროს გაბოლებაზე. რა თქმა უნდა, ისიც ვიცით, რომ ამას ყველა ვერ შეძლებს. 1998-ში მსგავსი პრაქტიკა უკვე გავიარეთ. მაშინ მეოთხე მსაჯი მწვრთნელებს თავშეკავებას სთხოვდა და ბევრმა შეისმინა კიდეც. თუ განერვიულებული მწვრთნელი სიგარეტის ამოსაღებად ჯიბისკენ ხელს წაიღებს, ტელემაყურებლები ამას ვერ ნახავენ, ისევე როგორც მოწევის მომენტს. მატჩების ტრანსლაციის პროდიუსერებთან ყველაფერი შეთანხმებულია.

ოლეგ რომანცევი სიგარეტს როგორ შეელევა

სხვათა შორის, შარშან, ერთმა სამხრეთკორეულმა ფირმამ სიგარეტის წარმოება დაიწყო, რომელსაც „თიმ 2002" ჰქვია, კოლოფებს კი ცნობილ ფეხბურთელთა გამოსახულება ამშვენებს. ამის გამო კორეულმა ფირმამ ფიფას წყრომა დაიმსახურა.

ლუდის მწარმოებლებს უფრო გაუმართლათ, მათ თავისი წყურვილისმომკვლელი სითხის გასაღების საშუალება ექნებათ, ოღონდ მკაცრად განსაზღვრული დოზით.

ვაჟა ხუციშვილი

მორჩა: რივერი ყველანაირად ჩემპიონია

არგენტინა

კლაუსურა

30-ე ტური: ურაკანი — ხიმნასია ლა პლატა 2:2; ესტუდიანტესი — სან ლორენსო 4:1; რასინგი — ელეს სარსფილდი 0:1; არგენტინოს ხუნიორსი — ლანუსი 0:2; ბანფილდი — ინდეპენდიენტე 2:1; უნიონი — კოლონი 0:0; ტალერესი — ჩაკარიტა ხუნიორსი 2:2; ბოკა ხუნიორსი — ნიუელს ოლდ ბოიზი 1:0; როსარიო სენტრალი — რივერ პლეიტი 2:3; ნუევა ჩიკაგო — ბელგრანო 2:1-ზე ჩაიშალა

როგორც იქნა, არგენტინის ფეხბურთის ფედერაციამ ოფიციალურად მიაკუთვნა „რივერ პლეიტს" ის სამი ქულა, გუნდმა ალალად რომ მოიპოვა კლაუსურას მეორეადგილოსან „ხიმნასია ლა პლატასთან" ერთი თვის წინ გამართულ მატჩში, რომელიც ლა პლატელ ხულიგანთა გამოისობით ჩაიშალა 89-ე წუთზე.

პრესა და ხალხი ისედაც გამარჯვებად უთვლიდა იმ თამაშს რივერელებს, მაგრამ ფედერაცია დუმდა და ოფიციალურ ცხრილში, ბოლოსწინა ტურამდე, „რივერი" მხოლოდ ერთი ქულით უსწრებდა გიმნაზიელებს, რაც მეტად ძაბავდა ვითარებას. ცხადია, გიმნაზიელებს გადათამაშების იმედი ჰქონდათ, მაგრამ წინა კვირაში მიღებულმა გადაწყვეტილებამ და კლაუსურას ბოლო ტურს საჩემპიონო ჭიდილისთვის აზრი დაუკარგა, რადგან „რივერის" ოთხქულიანი მარაგი ოფიციალურად აღდგა.

ამ ბოლო ტურში კი გიმნაზიელებმა ისედაც დაკარგეს ქულა „ურაკანთან" მატჩში, „რივერმა" კი კვლავ მოიგო. უწლოვანმა ფერნანდო კავენაგიმ პენალტი გაუტანა „როსარიოს" და „მილიონერებმა" კიდევ ერთხელ აღნიშნეს თავიანთი ჩემპიონობა.

„ხიმნასია" მაინც მეორე ადგილზე გავიდა და საგაისოდ ლიბერტადორესის თასზე დაიბევა ადგილი. „ბოკამ" მშობლიურ „ლა ბომბონიერაზე" „ნიუელს ოლდ ბოიზი" დაამარცხა და მესამე ადგილზე დარჩა. „ბოკასთვის" სეზონის მიწურული უიღბლო გამოდგა: გუნდი ლიბერტადორესის თასს გამოეთიშა და ეს პირველადაა ბოლო 10 წლის განმავლობაში, რომ ლიბერტადორესის თასის ნახევარფინალში არგენტინული კლუბი ვერ გავიდა. თანაც, „ბოკას" ტოვებს ხუან რომან რიკელმე, რომელიც გაისად მადრიდის „ატლეტიკოში", ან „ბარსელონაში" ითამაშებს.

ლიგაში დასარჩენად კი ლამის ერთდროულად იბრძოდნენ „ბანფილდი", „ურაკანი", „ნუევა ჩიკაგო", „ინდეპენდიენტე", „ლანუსი" და „უნიონი".

„ურაკანი" გიმნაზიელებთან ფრემ იხსნა. „ბანფილდმა" „ინდეპენდიენტეს" დამარცხებით დაიხსნა თავი, ჩიკაგოელები ფედერაციის გადაწყვეტილებას ელიან. ისინი „ბელგრანოს" ამარცხებდნენ და შეხვედრის დასასრულამდე 2 წუთიღა რჩებოდა, როცა მოედანზე ხალხი გადმოვიდა და თამაში ჩაიშალა. ფედერაციის გენერალურმა მენეჯერმა რაულ სტეიმბერგმა ჯერჯეროობით მხოლოდ ის თქვა, რომ „ნუევა ჩიკაგო" გადასასვლელ პლეი-ოფში ჩაერთვება. იგი „ურაკან დე ტრეს არიოსს" შეხვდება. „უნიონი" კი ასეთსავე მატჩს გამართავს B ლიგის სხვა ბინადარ „ხიმნასია ი ესიგმა დე კონცეპსიუნ დელ ურუგვაისთან".

გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად კი განვმარტოთ, რომ არგენტინული წესებით, ბოლო სამ სეზონში უარესი ჯამური შედეგის მქონე გუნდები ვარდებიან.

ირაკლი გამყრელიძე

რივერ პლეიტი	19	13	4	2	39:13	43
ხიმნასია	19	11	4	4	33:23	37
ბოკა ხუნიორსი	19	10	5	4	25:17	35
ურაკანი	19	9	3	7	27:24	30
ბანფილდი	19	8	6	5	21:19	30
რასინგი	19	8	5	6	19:17	29
ოლდ ბოიზი	19	8	4	7	26:25	28
ესტუდიანტესი	19	7	6	6	34:27	27
ველესი	19	7	5	7	27:20	26
ლანუსი	19	6	8	5	20:18	26
სან ლორენსო	19	6	8	5	24:23	26
კოლონი	19	6	6	7	24:23	24
ჩაკარიტა	19	4	9	6	21:22	21
ნუევა ჩიკაგო	18	5	6	7	14:20	21
უნიონი	19	5	6	8	20:27	21
როსარიო	19	5	5	9	20:26	20
არგ. ხუნიორსი	19	5	5	9	20:32	20
ბელგრანო	18	5	3	10	15:22	18
ტალერესი	19	5	2	12	14:31	17
ინდეპენდიენტე	19	3	6	10	14:28	15

ფერნანდო კავენაგიმ რისარიოელებს „რივერის" ჩემპიონობისა გაუტანა

გერმანია

ჩრდილოეთ რეგიონალლიგა XXXIV ტური

დოუსელდორფი — აუე 3:0; ფრუზფენი — ლიუბეკი 3:2; ფორტუნა — ოსნაბრიუკი 1:3; ბადერბორნი — ბაგდებურგი 1:1; ვურდერი (ბ) — ფერლი 3:3; მიუნსტერი — ესენი 1:3; კილი — ლეგერკუზენი (ბ) 1:2; ბრაუნშვაიგი — ვატენშაიდი 2:1; ქემნიცი — იოჰანგენი 4:4

სამხრეთ რეგიონალლიგა XXXIV ტური

ტრიერი — მანჰაიმი 2:3; კაიზერსლაუტერნი (ბ) — ერფურტი 1:0; დარმშტადტი — კიკერსი 0:2; ვეპენი — რეგენსბურგი 0:1; ბურგჰაუზენი — ზიგენი 0:2; ანსბახი — ოფენბახი 3:1; ბაღენი — ფულდა 2:0; შტუტგარტი (ბ) — ელვერსბერგი 1:2; ბაიერნი (ბ) — ჰოფენჰაიმი 2:2

პოლონეთი

ლიგის თასი. ნახევარფინალი საპასუხო მატჩები

ლეგია 2:0 რადომსკო (1:0)

ვისლა 3:0 კატოვიცე (2:2)

ფინალში 22 და 26 მაისს ერთმანეთს ეარშავის „ლეგია" და კრაკოვის „ვისლა" შეხვდებიან

ჰოლანდია

KNVB

გადასასვლელი პლეი ოფი

A ჯგუფი. IV ტური

როზენდალი 2:2 დენ ბოსხი

კამბური 4:2 ემენი

როზენდალი	4	3	1	0	10:4	10
დენ ბოსხი	4	2	1	1	9:7	7
ემენი	4	1	0	3	8:10	3
კამბური	4	1	0	3	6:12	3

B ჯგუფი. IV ტური

ეიძელსიორი 1:1 დენ ჰაააგი

სპარტა 1:3 ვოლენდამი

ეიძელსიორი	4	2	1	1	7:5	7
სპარტა	4	2	1	1	8:7	7
დენ ჰააგი	4	1	2	1	9:6	5
ვოლენდამი	4	1	0	3	6:12	3

რეკლამა სარბიელ-ში

Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი

ეროვნული ბიბლიოთეკა

პორტუგალიელმა მიგუელმა იტალიელ მანუელე ბლაზის ფეხი ააფარა

ძველი სიმღერა: მომენტები რომ გამოგვეყენებინა...

A ჯგუფი. II ტური

იტალია 1:1 პორტუგალია

0:1 პოსტიგა (48), 1:1 ბონაცოლი (57)

იტალია: ბელიცოლი, ბონერა, ბელინი, ფერარი, ჰ. კანავარო (ნაბალი 58), მარკიონი, ბრიგა, მაკარონე (კარაჩოლო 75), პირლო, ბონაცოლი, ბლაზი

მწვრთნელი: კლაუდიო ჯენტილე

პორტუგალია: სერგიო ლეიტე, ვასკუ ფაისკა, ტონელი, ფორეე რიბეირუ, ედნილსონი (ბრიგუელი 58), კანდიდუ კოშტა, უგო ვიანა, პოსტიგა (მაკუკული 78), ტიაგო, მიგუელი (ტეიშეირა 87), პაულუ ფერეირა

მწვრთნელი: აგოსტინიუ ოლივეირა

გაფრთხილება: ფორეე რიბეირუ, ბლაზი, ბელინი, ტიაგო, მიგუელი, ბონერა, ფორეე რიბეირუ

გაძევება: ფორეე რიბეირუ (53)

მსაჯი: ბერნარდ ბრუგერი (ავსტრია)

20 000 მაყურებელი

საკმაოდ მოსაწყენი გამოდგა მოქმედი ჩემპიონატის, იტალიისა და მაროად ნიჭიერ-პერსპექტიული პორტუგალიის ნაკრებების შეხვედრა. ეს უფრო პირველ ტაიმზე ითქმის, მეორეში კი გუნდებმა შედარებით გახსნილი ფეხბურთი ითამაშეს.

პირველ 45 წუთში ბურთაობა ძირითადად მოედნის ცენტრში იყო და სახიფათო მომენტებიც თითქმის არ შექმნილა. მეტოქენი ფრთხილობდნენ...

48-ე წუთზე პორტუელმა ელდერ პოშტინიამ იმარჯვა და ივან პელიცოლის შანსი არ დაუტოვა. იტალიელებმა ამას შეტევებით უპასუხეს და მალე კაპიტანმა ანდრეა პირლომ იხეირა. მან 55-ე წუთზე ემილიანო ბონაცოლის კუთხური გოლად აქცია.

იტალიელებს ამის მერეც ჰქონდათ გოლის გატანის შესაძლებლობა, თუმც ვერ ვარგეს.

— ფერაროსა და ბონაცოლის მომენტები რომ გამოეყენებინათ, აუცილებლად მოვიგებდით. გარდა ამისა, ერთ ეპიზოდში მსაჯს პენალტიც უნდა დაენიშნა ჩვენს სასარგებლოდ — დაიწუწუნა მატჩის შემდეგ „სკუადრა აძურას" თავკაცმა კლაუდიო ჯენტილემ.

მას მხარი მილანელმა ანდრეა პირლომაც აუბა, გამარჯვება ჩვენ გვეკუთვნოდაო, რასაც პორტუგალიელთა მწვრთნელმა აგოსტინო დე ოლივეირამ მშვიდად უპასუხა: „ცუდად დავიწყეთ, თუმც მერე დავლაგდით და შეტევებსაც ვუხშირეთ. ვფიქრობ, შედეგი კანონზომიერია. ახლა მომავალ მატჩებზე უნდა ვიფიქროთ".

ინგლისი 2:1 შვეიცარია

1:0 დეფო (3), 2:0 კრუში (53), 2:1 ფრეი (58)

ინგლისი: ჰ. რობინსონი, იანგი, კარეტერი, დეფოსი (პრატონი 34), ბერი, დანი, დეფო (ბარკერი 65), ბენანტი, რიგბი, ა. სმიტი, კრუში (ამუობი 78)

მწვრთნელი: დეივიდ პლატი

შვეიცარია: ბენეი, მაიერი, მანინი, გრიხტინგი, ჟეკერი, ფრიდელი (რაიმონდი 80), მელუნოვიჩი, ზანი (გიგატსი 69), კაბანასი, ფრეი (ბილი 79), ბერნში

მწვრთნელი: ბერნარ შალანდესი

გაფრთხილება: დეფოსი, ზანი, პრატონი, რობინსონი

მსაჯი: ატილა პანაშეკი (უნგრეთი)

30 000 მაყურებელი

გამარჯვებით დაიწყო ევროპის ჩემპიონატი კიდევ ერთმა ფავორიტმა ინგლისმა. წარსულში ცნობილი ფეხბურთელის, დეივიდ პლატის შეგირდებმა თავიდანვე მწვავედ შეუტიეს ტურნირის მასპინძლებს და უკვე მესამე წუთზე ანგარიშიც გახსნეს. თავი დეივიდ ბექემის სასიძომ, ჯერმენ დეფომ გამოიჩინა. ამან შვეიცარიელები დააბნია და ინგლისმაც გაილაღა. მთელი პირველი ტაიმის ბრიტანელები მძლავრობდნენ და არაერთი სახიფათო მომენტიც შექმნეს.

52-ე წუთზე „ასტონ ვილას" შემტევმა დანმა 25 მეტრიდან ულამაზესი საჯარიმო გაიტანა. შვეიცარია თითქოს საბოლოოდ უნდა გატეხილიყო, თუმც გულშემატკივრებმა გამოაფხიზლეს და ხუთ წუთში შედეგიც მიიღეს — ალექსანდრ ფრეიმ მეტოქეს ასევე ჩინებული საჯარიმო დარტყმით უპასუხა და ანგარიში შეამცირა. ჩემპიონატის მასპინძლებმა მყისვე მეორე გოლის გასატანადაც გაიწიეს, თუმც „ლიდსის" სათადარიგო მეკარემ, დეივიდ რობინსონმა მეტის გაშვება ცოცხალი თავით არ ინება.

შვეიცარიელებს ყველაზე რეალური შანსი 72-ე წუთზე ჰქონდათ, როცა ფრეი ურტყამდა სახიფათოდ — რობინსონმა უხეიროდ მოიგერია, და ბურთი კარის ხაზიდან ლუკ იანგმა გამოიტანა.

მატჩის შემდეგ დეივიდ პლატმა აღიარა, აშკარად გაგვიმართლა და იმედი მაქვს, ფორტუნა მომავალ მატჩებშიც არ დაგვაღალატებსო.

ინგლისი	1	1	0	0	2:1	3
იტალია	1	0	1	0	1:1	1
პორტუგალია	1	0	1	0	1:1	1
შვეიცარია	1	0	0	1	1:2	0

II ტური, წუხელ: პორტუგალია — შვეიცარია და იტალია — ინგლისი
(მატჩების შედეგები ცხრილში შეტანილი არაა და იხ. მეორე გვერდზე)

B ჯგუფი. II ტური

საბერძნეთი 1:3 საფრანგეთი

0:1 არმანი (37), 0:2, 0:3 ფრაუ (40, 61), 1:3 პაგაგოლლუ (84)

საბერძნეთი: კოტლისი, პაგაგოლლუ, კირიაკოსი, ამანატიდისი, თეოდორიდისი (გიტასი 46), ვალასი, ნასტოსი, კაგურანისი (კირიაზისი 47), ხარისტიასი, პიეოსი, აგრიტისი (კაზანეცისი 67)

მწვრთნელი: ანდრიას მიხალოპულოსი

საფრანგეთი: ლანდრო, ეს.კუდე, ბუმსონგი, სორლინი (დელპიერი 67), სანტე, არმანი (დი ტომასო 46), ფრაუ, მეკსეში, პედრეტი (მატისი 47), მერიმი, შაპუი

მწვრთნელი: რაიმონ დომენეკი

გაფრთხილება: გიტასი, ვალასი, დელპიერი

მსაჯი: ფრანც-ხავიერ ვაკი (გერმანია)

15 000 მაყურებელი

საფრანგეთის ახალგაზრდულმა ნაკრებმა ზედიზედ მეორე შეხვედრაშიც იმარჯვა და ჯგუფს კენწეროში მოექცა. ფრანგთა მორიგი მსხვერპლი საბერძნეთი გამოდგა. ბერძნებმა პირველ მატჩშიც მარცხი იწვნიეს ბელგიისგან და ვერც ახლა დაუპირისპირეს მეტოქეს რაიმე. ფრანგთა გამარჯვება კი პიერ-ალან ფრაუმ გამოჭედა.

ნათქვამია, გამარჯვებულ შემადგენლობას არ ცვლიანო, თუმც „ლურჯთა" თავკაცმა სხვაგვარად განსაჯა და პირველი მატჩის შემადგენლობიდან ექვსი ფეხბურთელი შეცვალა. პიერ-ალან ფრაუც მისი ექსპერიმენტის ერთ-ერთი ნაწილი იყო და საკმაოდ ნაყოფიერიც.

ბერძენთა დამარცხებას საფუძველი სილვენ არმანმა ჩაუყარა. 37-ე წუთზე არმანის შორეული მახვილი კუთხიდან გასროლილი ბერძენთა მეკარე კოცოლის მა ვერ შეაჩერა — 1:0. სამიოდ წუთში იმავ არმანმა უკვე საგოლე პასით გამოიჩინა თავი და ფრაუმაც თანაგუნდელს გარჯა დაუფასა, კოცოლისს აუღებელი თავური დაურტყა.

მეორე ტაიმი კვლავაც ფრანგებისა იყო, რისი შედეგიც ფრაუს მეორე გოლი გამოდგა. ეს 61-ე წუთზე მოხდა. ორსახელიანმა ფრანგს ჰეთ თრიქის შესრულებაც შეეძლო, თუმც მეკარესთან პირისპირ გასულმა ვერ ივარგა.

84-ე წუთზე ბერძნებმა ხელი გამოიღეს და ანგარიში „დაასველეს" — ხრისტოს პაცაგოლლუმ საჯარიმო დარტყმით გაიტანა, თუმც ამით აღარაფერი შეცვლილა.

ბელგია 0:1 ჩეხეთი

0:1 ჟირანეკი (19)

ბელგია: ფილე, დე როიკი, მარტენსი, ვან დეიკელი, ტეეფენი, ტურაკი, რეიდელი (სოტერსი 46), შატელე (ჟრანკენი 46), ვან დოორენი (დე ვილდე 67), დუფერი, დიერდენი

მწვრთნელი: ეან-ფრანსუა დე სარი

ჩეხეთი: ჩეხი, ჟირანეკი, ვორიშეკი, გრიგერა, კობილიკი, ზელენკა (პოლაკი 46), ვახუშეკი (პოსპიშილი 55), იუნი (ბაროში 84), ბიტაკი, როზენალი, ჰრდლიჩკა

მწვრთნელი: მიროსლავ ბეერანეკი

გაფრთხილება: ვან დეიკელი, ვახუშეკი, დე როიკი, ვორიშეკი, პოლაკი

მსაჯი: ფელიქს ტანგგიგირიმა (ზიმბაბვე)

15 000 მაყურებელი

პირველ ტურში ამ გუნდებმა განსხვავებულ შედეგებს მიაღწიეს, ახლა კი ისე მოხდა, რომ ერთმანეთს როლები გაუცვალეს.

არადა, გამარჯვების შემთხვევაში ბელგია ნახევარფინალის საგზურს ჯიბეში ჩაიდებდა, თუმც აბა, პეტერ ჩეჰს და მის თანაგუნდელებს ჰკითხეთ...

მიროსლავ ბერანემა სასტარტო შემადგენლობაში პირველად ათამაშა ტომაშ იუნი და ტომაშ ჰრდლიჩკა, რომლებმაც დიდწილად განაპირობეს კიდეც ჩეხთა გამარჯვება.

ერთადერთი გოლი მარტინ ჟირანეკმა მე-19 წუთზე გაიტანა. თუმც უფრო საინტერესო საგოლე კომბინაცია იყო. მარჯვენა ფლანგიდან დავიდ კობულიკის ჩაწოდებულ კუთხურს ზდენეკ გრიგერამ თავი წაჰკრა, ბურთს ტომაშ ჰრდლიჩკა შესწვდა და ასევე თავით დაუგდო ჟირანეკს, რომელსაც გატანა არ გასჭირვებია.

გოლის შემდეგ ჩეხები კვლავაც აქტიურობდნენ და შეკვლაზე შესულმა მილან ბაროშმა ბელგიელებს მეორე გაუტანა, მაგრამ მსაჯმა თამაშგარე აღნიშნა.

ძალა შალამბერიძე

საფრანგეთი	2	2	0	0	5:1	6
ბელგია	2	1	0	1	2:2	3
ჩეხეთი	2	1	0	1	1:2	3
საბერძნეთი	2	0	0	2	2:5	0

III ტური, დღეს: ჩეხეთი — საბერძნეთი; ბელგია — საფრანგეთი

ლადისლაუ კუბალა

გარდაიცვალა ყველაზე დიდი კატალონიელი

სამოცდათოთხმეტი წლისა, რამდენიმეთვიანი ავადმყოფობის შემდეგ, ბარსელონაში გარდაიცვალა ლადისლაუ კუბალა, ესპანეთის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი და „ბარსას“ ლეგენდარული ფეხბურთელი, აღიარებული კლუბის საუკეთესო მოთამაშედ მის საუკუნოვან ისტორიაში.

კუბალას გარდაცვალება ბარსელონელებმა ახლად დანიშნული მწვრთნელის, ლუის ვან გაალის პრეზენტაციაზე შეიტყვეს და იქავე, წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს მის ხსოვნას.

წარმოშობით უნგრელი კუბალა 1999 წელს, კლუბის იუბილეზე დასახელდა „ბარსელონას“ საუკეთესო ფეხბურთელად, თავად გულშემატკივართა გამოკითხვით.

„ჩვენ ოჯახის წევრი დავკარგეთ — თქვა კატალონიური კლუბის პრეზიდენტმა ხუან გასპარმა — ხელიდან გამოგვეცალა ჩვენი ისტორიის შემქმნელი.“

„ძნელია, გაზომო კუბალას გავლენა ბარსელონურ ფეხბურთზე. ის მართლაც იყო აქაური სათამაშო სტილის ერთერთი შემქმნელი — განაცხადა ძველმა ვარსკვლავმა და ასევე ნაკრების ყოფილმა მწვრთნელმა, ლუის სუარესმა — მან რევოლუცია მოახდინა ესპანურ ფეხბურთში.“

კუბალამ რთული საფეხბურთო გზა განვლო: ბუდაპეშტის „ფერენცვაროში“ 1950 წელს მიატოვა და კომუნისტური უნგრეთიდან იტალიაში გაიქცა. უნგრეთის ფედერაციამ ფიფას სთხოვა, ახალგაზრდა ფეხბურთელისთვის სანაკრებო თამაში აეკრძალა. კუბალამ და სხვა აღმოსავლეთევროპული ქვეყნებიდან გახიზნულმა ფეხბურთელებმა გუნდი შეადგინეს და ტურნე წამოიწყეს. ასე მოხვდა კუბალა ბარსელონაში, სადაც დარჩა კიდეც, თუმცა ერთი წელიწადი მაინც გაუცდა, სანამ კატალონიური კლუბი ბიუროკრატიულ პრობლემებს მოაგვარებდა მის ყოფილ სამშობლოსთან. მისი მოხვლა დაემთხვა „ეკიპო დე ლას სინკო კოპას“, სხვანაირად ხუთი თასის მოგების ჭერიოდს, როცა „ბარსამ“ 1951-53 წლებში ხუთი ესპანური ჯილდო მოიგო (ორჯერ პრემერადივიზიონი, სამჯერ სამეფო თასი).

კუბალა უაღრესად ტექნიკური, ფიზიკურად ძლიერი ფეხბურთელი იყო, რომელიც საუცხოოდ ურტყამდა კარში. „ბარსელონამ“ კუბალასთან ერთად ოთხჯერ მოიგო ჩემპიონობა, ხუთჯერ ქვეყნის და ორჯერ ბაზრობათა (უეფას) თასები.

კუბალა 1962 წელს გამოეთხოვა „ბარსას“, 10 წელიწადში 329-ჯერ ითამაშა და 256 გოლი გაიტანა.

ის ერთადერთი ფეხბურთელია, სამი ქვეყნის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთისა და ესპანეთის ნაკრებებში რომ უთამაშია. ამ უკანასკნელის მაისურა 19-ჯერ ეცვა და 11 გოლიც გაიტანა.

1963 წელს წვრთნიდა „ბარსას“, მაგრამ მალევე დაითხოვეს და ქალაქის მეორე კლუბში, „ესპანიოლში“ გადავიდა მოთამაშედ, სადაც მასავით პენსიონერ ალფრედო დი სტეფანოსთან ერთად გაატარა სეზონი.

კუბალა ყველაზე დიდხანს, 11 წელიწადს (1969-1980) წვრთნიდა ესპანეთის ნაკრებს, მხოლოდ 5 თვეს „ბარსელონას“ და ასევე საუდის არაბეთისა და პარაგვაის ეროვნულ გუნდებს.

ის 12 თებერვალს მიიყვანეს საავადმყოფოში სისხლში კალციუმის მომატების დიაგნოზით და სისხლის დაავადებამაც იმსხვერპლა.

ირაკლი ბამყრელიძე

სიტყვა დღეს, შაბაში შაბათს

ბავარიული ზეგუნდი ზე რობერტოს ზეიმობს

მიუნხენის „ბაიერნი“ დარწმუნებულია, რომ მესამე სოლიდურ შენაძენსაც გამოჰკრავს ხელს. პირველი ორი სებასტიან დაისლერი და მიხაელ ბალაკი გახლავთ, ახლა კი ზე რობერტოს ჯერია.

ჯერაც ლევერკუზენელი ზე რობერტო ბრაზილიის ეროვნული გუნდის დამრიგებელმა ლუიშ ფელიპე სკოლარიმ აითვალწუნა და კორეა-იაპონიას განარიდა. სამაგიეროდ, „ბაიერნმა“ ბასრად ამოიჭრა გულში მისი გადაბირება და თუ რამ გაუთვალისწინებელი არ მოხდა, ზე რობერტო მომავალი სეზონიდან ბაიერნელი იქნება.

„ბაიერნმა“ უკვე ოფიციალურად განაცხადა, რომ კლუბსა და ფეხბურთელს შორის თანხმობა მიღწეულია, ხოლო შაბათს კლუბები, „ბაიერნი“ და „ლევერკუზენი“ მიუსხდებიან მაგიდას ტრანსფერის დეტალების შესათანხმებლად. ხელშეკრულების ვადაც გაცხადდა — ზე რობერტო სამწლიან კონტრაქტზე მოაწერს ხელს.

ზე რობერტო, ბალაკი და დაისლერი — აი, ასე შთამბეჭდავად გაძლიერდება „ბაიერნის“ ნახევარდაცვა, რომელსაც შტეფან ეფენბერგი აღარ ეყოლება.

თავდასხმისთვის ბავარიელები ამერიკელი კლინტ მეტისის ყიდვას რომ აპირებენ „ნიუ იორკ-ნიუ ჯერსი მეტროსტარზისგან“, აღრეც გაუწყეთ.

ახლა კი „ბაიერნმა“ დაცვის ხაზისთვისაც განიზრახა ახალი სისხლის გადასხმა. კლუბის პრესატაშის თქმით, გერმანიის უტიტულოვანეს გუნდს საფრანგეთის ჩემპიონ „ლიონის“ ბრაზილიელი მცველი ედმილსონი სურს, ხოლო ბრემენის „ვერდერიდან“ ბოსნიელი მლადენ კრსტაჯიჩის გადაბირებას გეგმავს.

„ბაიერნი“ მართლაც დაფაცურებულია. ამ სეზონში ხომ ის უტიტულოდ დარჩა, რაც 1995 წლის აქეთ არ დამართნია.

დავით თავართქილაძე

კლაუს ტოპმიოლერი და ზე რობერტო დღე-დღეზე გაიყრებიან

ესპანეთი

II დივიზიონი. XXXVI ტური

ფეროლი 2:0 ალბასეტე
1:0 დიავარა (19), 2:0 მენდესი (71)

ეიბარი 2:1 კორდობა
1:0 გერერო (37), 1:1 ელი (79), 2:1 ელედერი (83)

სალამანკა 1:2 სპორტინგი
0:1, 0:2 ვილა (3, 28პ), 1:2 რობერტი (48)

რასინგი 1:0 ატლეტიკო
1:0 მორა (76)

ლევანტე 0:1 ბადახოსი
0:1 ტეიშეირა (90)

ხაენი 0:1 ელჩე
0:1 რაულ ივარსი (59)

ესტრემადურა 1:1 პოლი ეხიდო
1:0 მოია (6), 1:1 ბორდი (53)

ოვიედო 0:2 ხიმნასტიკი
0:1 კუელიარი (9), 0:2 დანი მარინი (90პ)

უელვა 2:1 ხერესი
0:1 კალე (8), 1:1, 2:1 სორიანო (42, 73)

ბურგოსი 0:1 მურსია
0:1 ხუანმა (58)

ლეგანესი 0:1 ნუმანსია
0:1 ინიაკი (31)

სეზონის დასრულებამდე ერთი ტურით ადრე სამივე იმ გუნდის ვინაობა გაირკვა, გაისად პრემერადივიზიონში რომ ითამაშებენ. უფრო სწორად, ადრევე აღზევებულ მადრიდის „ატლეტიკოსა“ და სანტანდერის „რასინგს“ ამ უქმეებზე უძველესი ესპანური კლუბი, 122 წლის „უელვა“ შეემატა.

არადა, როგორი საქმე იყო, „უელვა“ ბერნდ შუსტერის გაწვრთნილ „ხერესს“ ხვდებოდა (ამ კლუბში შტეფან ეფენბერგის გადასვლაზეც არის ლაპარაკი), რომელსაც ასევე ჰონდა პრემერაში აღზევების შანსი და მე-8 წუთზე დაწინაურდა კიდეც. მაგრამ 135 ათასიანი ქალაქის გუნდმა პირველი ტაიმის მიწურულს ჯერ გაათანაბრეს, მერე კი ზუსტად შესრულებული პენალტით გამარჯვებაც მოიპოვა. ამ პენალტს ხერესელი მეკარე რამონის გაძევებაც უძღვოდა.

ცხრილის ბოლოში კი ორი გასავარდნი გუნდის ვინაობა დარჩა გასარკვევი.

ატლეტიკო	41	23	9	9	67:43	78
რასინგი	41	19	14	8	58:36	71
უელვა	41	18	15	8	46:32	69
ელჩე	41	17	13	11	52:39	64
ხერესი	41	18	9	14	40:41	63
სპორტინგი	41	16	13	12	54:46	61
ოვიედო	41	13	19	9	40:38	58
ეიბარი	41	14	15	12	41:27	57
ალბასეტე	41	15	11	15	42:39	56
ფეროლი	41	16	7	18	57:59	55
სალამანკა	41	13	14	14	49:51	53
კორდობა	41	14	10	17	45:50	52
ბადახოსი	41	15	7	19	41:50	52
ბურგოსი	41	12	15	14	30:36	51
ნუმანსია	41	13	12	16	44:51	51
ლეგანესი	41	12	14	15	38:45	50
მურსია	41	11	16	14	34:38	49
ეხიდო	41	11	14	16	40:47	47
ლევანტე	41	11	14	16	39:53	47
ხიმნასტიკი	41	11	13	17	42:48	46
ესტრემადურა	41	10	13	18	36:47	43
ხაენი	41	11	9	21	30:49	42

იტალია

სერია A, XXXVI ტური

ბარი 3:1 მესინა
1:0 ა'ალესანდრო (44), 1:1 ფანუჩი (71), 2:1 ანაკლერიო (85), 3:1 ფინეზი (90)

კალიარი 2:1 კოზენცა
1:0 ფასეროტი (43), 2:0 სუაზო (45), 2:1 კოლაუტო (80ს.კ.)

ჩიტადელა 1:1 სიენა
1:0 სტურბა (103), 1:1 ფედა (30)

კროტონე 2:3 ტერნანა
0:1 ბუკი (73), 1:1 პორკა (21), 1:2 ლუკინი (42), 2:2 დეფლორიო (77), 2:3 ნიკოლა (85)

ემპოლი 1:0 ვენეზია
1:0 ბრუშანო (50)

მოდენა 0:0 ანკონა

ნაპოლი 3:1 პისტოიეზე
1:0 ვილა (29), 2:0, 3:0 რასტელი (72, 90), 3:1 ბელინი (90)

პალერმო 1:1 სალერნიტანა
1:0 გვიდონი (18), 1:1 დელ გროსო (50)

რეჯინა 2:0 ვიჩენცა
1:0 საგოლდი (15), 2:0 ლეონი (55)

სამპდორია 2:1 კომო
1:0 ფლაკი (57), 2:0 ბეგა (85ს.კ.), 2:1 ნაპი (90)

მოდენა	36	19	12	5	53:19	69
კომო	36	20	8	8	47:31	68
ემპოლი	36	19	10	7	57:30	67
რეჯინა	36	19	10	7	48:30	67
ნაპოლი	36	16	13	7	46:35	61
სალერნიტანა	36	14	11	11	53:51	53
ვიჩენცა	36	12	12	12	48:49	48
პალერმო	36	12	12	12	43:48	48
ბარი	36	12	11	13	39:48	47
ჯენოა	36	10	15	11	38:35	45
კალიარი	36	10	15	11	34:34	45
სამპდორია	36	11	12	13	41:45	45
ანკონა	36	12	8	16	37:48	44
ტერნანა	36	8	18	10	44:47	42
მესინა	36	9	14	13	37:41	41
სიენა	36	10	11	15	32:43	41
კოზენცა	36	11	8	17	42:54	41
ჩიტადელა	36	8	10	18	44:58	34
პისტოიეზე	36	7	12	17	33:48	33
კროტონე	36	5	10	21	42:64	25

სერია C1
პლეი ოფი. I მატჩები

ტრიესტინა — სპეცია 2:0; ტრევიზო — ლუკეზე 0:1; პესკარა — კატანია 1:0; ლანუანო — ტარანტო 3:2

პლეი აუტი. I მატჩები

არეცო — კარარეზე 1:2; ალბანო — რეგანა 2:1; სორა — დი სანგრო 1:0. ნოჩერინა — ბენევენტო გადაიდო

ფინეთი

30-ნ ტური: ჰაკა — ვაასა 2:1; ინტერი — ალიანსი 1:0; იარო — ტამპერე 2:0; მიუპა — ლაჰტი 3:1. ჯაზი — კუოპიო გვან გაიმართა (იხ. მე-2 გვერდი) და მისი შედეგი ცხრილში შეტანილი არაა

მიუპა	5	4	1	0	12:4	13
იარო	5	2	3	0	6:3	9
ჰიკ	5	3	0	2	7:6	9
ჰაკა	5	3	0	2	6:5	9
ინტერი	5	2	2	1	6:3	8
ალიანსი	5	2	1	2	8:7	7
ტამპერე	5	1	3	1	2:3	6
ჯაზი	4	1	1	2	2:2	4
კუოპიო	4	1	1	2	6:9	4
ლაჰტი	5	1	1	3	2:7	4
ვაასა	5	0	3	2	5:8	3
ჰამენლინა	5	0	2	3	3:8	2



იყიდება
სასწრაფოდ!
ლაზერული
პრინტერი
LASERJET 5000N
ნახმარ მდგომარეობაში
ტელ. 38-11-14, 39-48-29
ფასი შეთანხმებით

სამკურნალო-დიაგნოსტიკური ცენტრი
კარდიოექსპრესდიაგნოსტიკა
გულის დაავადებების თანამედროვე
სრულფასოვანი არაინვაზიური დიაგნოსტიკა
- ყველაფერი ერთ ადგილზე
- გულის ტრანსეზოფაგული და ტრანსთორაკალური ექოსკოპია, ფერადი დოპლერი, სტრესექოსკოპია
- ფიზიკური დატვირთვის ტესტი ტრედმილით
- ტრანსეზოფაგული ელექტროფიზიოლოგიური კვლევა და სტრეს-ტესტი
- გულის რიტმის 24-საათიანი მონიტორირება (ჰოლტერის მეთოდით)
- არტერიული წნევის 24-საათიანი მონიტორირება
- ელექტროკარდიოგრაფია
- ლაბორატორიული კვლევა
- ულტრათანამედროვე აპარატურა, მონაცემების კომპიუტერული დამუშავება
თბილისი, ვაჟა-ფშაველას 83/11 (III და IV კვარტალს შორის, №1 სამკურნალო პროფილაქტიკური ცენტრის შენობა)
☎ 53-73-00; 95-00-33

საქართველოს ჩემპიონატი

პლეი ოფი ნახევარფინალი, სამ მოგებამდე

დინამო ფინალში დოლ-გარმონით გავიდა

დინამო	**3**
სტუ	**2**

18 მაისი. სპორტის სასახლე

დინამო 81:78 სტუ

18:21, 17:14, 21:28, 25:15

დინამო: ჟღენტი (19), ნაცვლიშვილი (2), ტურაშვილი (8), მუპე (7), ოგანესიანი (13); წონელია (6), ჯაფარიძე (16), ჩუბინიძე (3), ჩხეიძე (8)

სტუ: აბრამიძე (2), ხოშტარია (21), დავითულიანი (1), მინაშვილი (13), შენგელია (4); ბაბიაშვილი (29), ოთიურიძე (8), გაგნიძე, ლოსაბერიძე

მსაჯები: ზაზა მაჩალაძე, დავით ბერეკაშვილი

კომისარი: მურმან ქურიძე

ირაკლი პერტაია

„დინამო“ — სტუ-ს ბოლო საპლეიოფო-სასეზონო მატჩს ფინალისტი უნდა გაერკვია, ასე რომ, სასწორზე ბევრი რამ იდო. ჰოდა, ბრძოლაც შესაფერი გამოვიდა, ფინალი კი დრამატული...

...40-წუთიანმა ქიშმმა მატჩის დამთავრებამდე 8 წამით ადრე „დინამოს“ 3-ქულიანი უპირატესობა მოიტანა. ბურთი გვერდიდან სტუ-ს შემოაქვს და საყოველთაო ყურადღება ცნობილ მიზეთა გამო ხოშტარიასკენაა (ვისაც „დინამოსთან“ მატჩებში ამგვარ სიტუაციაში არაერთხელ უხსნია თავისი გუნდი). სტუდენტები სწორს აკეთებენ, როცა გადამწყვეტ სროლას დინამოელთაგან ლამის ბორკილდადებულ ხოშტარიას ნაცვლად მამუკა აბრამიძეს ანდობენ და... ვაჟა აზარაშვილის „დინამო, დინამო...“-ს ჯერიც დადგა. თბილისის „დინამო“ პირველი ჩემპიონატის შემდეგ 10 წლის თავზე პირველად გადის ფინალში. მაშინ ლევან მოსეშვილის გუნდმა მომავალი ჰეგემონი თბილისის „ვითა“ დაამარცხა და იჩემპიონა, ხვალიდან კი ამავე ტიტულის ამჟამინდელ მფლობელ ბათუმის „ბასკოსთან“ მოუწევს ფინალური სერიაში ჩაბმა.

მიუხედავად საბოლოო შედეგისა, დიდი შანსი იყო, ფინალში სტუ გასულიყო და არა მარტო იმიტომ, აბრამიძეს ზემოთ ნახსენები სამიანი რომ ჩაეგდო. ნუგზარ ჭეიშვილის გუნდი სათამაშო დროის მეტი წილი წინ იყო, ბოლო მეოთხედში ათი ქულითაც ლიდერობდა, მაგრამ გამოჩნდა, რომ სტუდენტებს უპირატესობის შენარჩუნება ისე არ გამოსდით, როგორც დეფიციტის აღმოფხვრა. „დინამომ“, რომელიც თითქოს განწირული ჩანდა, მოახერხა ძალთა მობილიზება და თამაშის ჩარხის თავისკენ შეტრიალება. აი, ჩამორჩენილი სტუ კი სულ სხვა იყო. სტუდენტებმა ბოლო წუთებში თითქოს უიმედო სიტუაციიდან დაიძვრინეს თავი, გადამწყვეტ სროლამდეც მიიყვანეს საქმე, მაგრამ...

მატჩის მნიშვნელობამ დებიუტში ორივე გუნდს დაცვითი თამაში უკარნახა. „დინამოცა“ და სტუ-ც თავს არ იკლავდნენ ერთმანეთის მძლავრი დაცვითი კედლის რღვევით და ხეირს საშუალო და შორ სროლებში ეძებდნენ, თუ ვერ ჩააგდებდნენ, დაცვაზე გადაწყობა არ უჭირდათ, რამაც კონტრშეტევათა სიმწირით გამოარჩია პირველი ათწუთეული. ანგარიში 3-ქულიანით სტუ-ელმა ირაკლი ხოშტარიამ გახსნა, რასაც მამუკა ტურაშვილმა იგივეთი უპასუხა. საერთოდაც, ამ ორის პაექრობა სხვებზე მეტად იყო თვალში საცემი. უფრო კი ტურაშვილი ცდილობდა ხოშტარიას შებორკვას, რასაც კარგადაც გაართვა კიდეც თავი და პირველ მეოთხედში მხოლოდ ნახსენები სამქულიანი აკმარა.

ზვიად ბაბიაშვილმა მუპე-ოგანესიანთან ფარქვეშ შეტოქებას მიზნის იმედად ყოფნა არჩია, რაშიც გაუმართლა კიდეც. სწორედ მისი სროლების ხარჯზე იყო, სტუდენტებმა მეოთხედის მიწურულს 8-ქულიან უპირატესობას რომ მიაღწიეს, რამაც ლევან მოსეშვილი აიძულა, წინა მატჩებში ტრავმის გამო უთამაშებელი ირაკლი ჯაფარიძე გამოეყვანა. ახალშემოსულმა სცადა ფარზე გაბატონება, მაგრამ რომ არ გამოუვიდა, ექვს მეტრს მიღმიდან გაისროლა და მანამდე არჩილ ჟღენტის მიერ ნახეირები „დინამო“ ორწუთიან შესვენებაზე მინუს 3-ქულით გავიდა — 18:21.

მეორე მეოთხედში მთავარი ბრძოლები ფარის შორიახლოს გაჩაღდა. თავიდან ჯაფარიძემ იძალა შენგელიაზე, სტუელი ვახტანგ მინაშვილის ფარქვეშ შმაგმა ბრძოლამ კი კაუჩუკივით მოქნილ-მოხტუნავე აჰმედ მუპე ოდენ მოხსნების ამარა დატოვა. ათწუთეულის შუაწელში ჯაფარიძემ ანგარიში გაათანაბრა (26:26), თუმც შემდეგ მეტოქეთაგან შეიბორკა და მის ნაცვლად მოედანზე არმენ ოგანესიანი დაბრუნდა, რომელმაც, თუ არ ჩავთვლით წინა მეოთხედის ერთ ეპიზოდს, „დინამო“ პირველად დააწინაურა — 33:32. მალე შენგელია მეოთხე პერსონალურს იღებს და 35:35 დამთავრებული პირველი ტაიმის შემდეგ „დინამოს“ მომავალი უფრო ვარდისფრად უჩანს, თუმცა-თამაშის განახლება და ზვიად ბაბიაშვილის აშვება ერთი იყო. „ბაბომ“ ორ წუთში სწრაფი გარღვევებით 4-ჯერ იხეირა, მინაშვილიც აგრძელებდა ფარზე ჩაუქმას და რომ არა არჩილ ჟღენტის სიმარდე და სიზუსტე, „დინამო“ ბოლო მეოთხედის წინ გვარიანად ჩამორჩებოდა. მცირე ხნით ირაკლი ჯაფარიძემ ბაბიაშვილის განეიტრალება მოახერხა, მაგრამ მეოთხედის ბოლოსკენ სტუელი თავდამსხმელი კვლავ შეუჩერებელი შეიქნა. ამჯერად მან მიყოლებით ორი სამქულიანი ჩააგდო და მესამე მეოთხედის დამთავრებამდე სტუ 60:48 დაწინაურდა. სწორედ აქ გამოიღო ხელი ჟღენტმა, ვისი სწრაფი გარღვევების წყალობით სხვაობა 5 ქულამდე შემცირდა, თუმც ვასილ ოთიურიძის მიერ მესამე ათწუთეულის საფინალო სირენასთან ერთად ჩაგდებულმა სტუ დაიიმედა — 63:56.

მატჩის განახლებამ სტუ-ს საქმაგოდ დოლ-გარმონით მოსულ სტუდენტობას საფინალო იმედები კიდევ უფრო გაუღვივა, ვასილ ოთიურიძის ზურგსუკანა ულამაზესი პასით ხოშტარიამ ორქულიანი ჩააგდო, თან ერთი ჯარიმაც მოინაგრა და 66:56. ეს უპირატესობა საკმარისი იყო, შეტევებში გართული სტუდენტები დაცვაში გადაბარგებულიყვნენ და მიღწეულის შენარჩუნება მეტოქის შეტევების ჩაშლით ეწყოთ, მაგრამ სტუ ტემპის დაგდების ნაცვლად ნიადაგ „დინამოს“ ფარისკენ მიილტვოდა, დაცვაზე კი ნაკლებად ზრუნავდა. ბაბიაშვილსა და ოთიურიძეს აქამდე გამართული მიზანი აერიათ, კონტრშეტევების ოსტატმა დინამოელმა ჟღენტმა კი ამით მყის ისარგებლა და სტუ-ს აწყობილი საქმე წაუხდინა. ნახსენები 10-ქულიანი ჩამორჩენის შემდეგ ლევან მოსეშვილის სამწყსომ 4-წუთიანი მონაკვეთი 17:3 მოიგო და 73:69 დაწინაურდა.

სტუდენტთაგან მინაშვილი გამოერკვა და ფარქვეშიდან ჩააგდო, მაგრამ იშტაზე მოსულმა „დინამომ“ სროლა არ გააცუდა და თამაშის დამთავრებამდე 3 წუთით ადრე გოჩა წოწელიას სამქულიანით დინამოელები 78:72 დაწინაურდნენ, მაგრამ ნუგზარ ჭეიშვილის გუნდს შანსი კვლავ ირაკლი ხოშტარიამ შეუნარჩუნა, რომელმაც შესვლაზე ჩააგდო, თან ისე, დინამოელი აჰმედ მუპე პერსონალურების გამო მოედნიდან გაისტუმრა — 75:78. მომდევნო შეტევაში არმენ ოგანესიანის ბოლო წუთის დაწყებასთან ერთად ჩაგდებული 2-ქულიანის შემდეგ სხვაობა კვლავ 5 ქულა გახდა. კახა შენგელიას ნასროლმა სხვაობა 2-ით შეამცირა, რასაც დინამოელმა ზურაბ ჩუბინიძემ ზუსტი საჯარიმოთი უპასუხა. დამთავრებამდე 10 წამით ადრე საჯარიმოს ხაზზევე აღმოჩენილი ხოშტარიას 4 ქულით ჩამორჩენილი სტუ სასწაულის იმედად იყო. „ხოშტარამ“ პირველი ზუსტი სროლით სხვაობა სამამდე შეამცირა და მეორე განზრახ გააცუდა. ასხლეტილისთვის ბრძოლაში ბურთმა მოედნის ფარგლები სტუ-ს სასარგებლოდ დატოვა და ის ეპიზოდიც მოხდა, წერილის დასაწყისში რომ მოგითხრეთ... ხოშტარია „დინამოს“ მაქსიმალური ყურადღების ცენტრშია, მაგრამ ექვსმეტრიან ნიშნულთან სტუელი მამუკა აბრამიძე იღებს ბურთს, სროლა და... „დინამო, დინამო...“-ს აგუგუნებამ სპორტის სასახლეში შეკრებილ არცთუ ცოტა ქომაგს ლევან მოსეშვილის გუნდის ფინალში გასვლა აუწყა.

არჩილ ჟღენტის (№9) „დინამო“ ფინალში გავიდა

ფოტო: დიმიტრი ბერეკაშვილის

ამერიკამ კარი ქართულად აპრჩალა

ზაზა ფაჩულია: ამერიკაში მოვიფიქრებ

ნიკა ცქიტიშვილი: ჯერ არ დამკავშირებიან

საქართველოს ნაკრების წევრები ზაზა ფაჩულია და ნიკა ცქიტიშვილი კარგა ხნის წინ შეამჩნიეს ოკეანგაღმელმა მზვერავებმა, დიდხანს და გულმოდგინებით აკვირდებოდნენ, აფასებდნენ... ხოლო, როდესაც სხვაგან გამოწრთობილთათვის ნბა-ს ჭიშკრის გაღების ანუ დრაფტის დრო მოახლოვდა, ამერიკელ სკაუტებს არც ჩვენებურები დავიწყებიათ. დაუკავშირდნენ და წინასადრაფტო შეკრება-ვარჯიშებზე ჩასასვლელადაც შეითანხმეს. ამის შესახებ ზაზა ფაჩულიამ გვითხრა, რომელსაც გუშინ სტამბოლში შევეხმიანეთ. ველაპარაკეთ ნიკა ცქიტიშვილსაც

ზაზა ფაჩულია

— ამერიკელთა წინასადრაფტო შეკრებაზე მიწვევის წერილი და ერთგვარი კონტრაქტი ჩემი აგენტის მარკ ფლეიშერისგან მივიღე. მატყობინებს, რომ დრაფტისთვის შესაფერის უცხოელ კალათბურთელთა სიაში ვარ, არაა გამორიცხული მეორე წრეში ამირჩონ. დრაფტი 26 ივნისს გაიმართება, ხოლო წინა დღეებში მასში მონაწილეთა ვარჯიშები ჩატარდება. მთხოვდნენ, ხელმოწერით დამედასტურებინა ვარჯიშებზე მონაწილეობის სურვილი და მეც ცხადია, თანხმობა გავუგზავნე.

— გამოდის, თქვენი დრაფტში მონაწილეობა გადაწყვეტილი ამბავია...

— დიახ, მათ არჩევანი უკვე გააკეთეს და ახლა ჩემზეა დამოკიდებული, დავთანხმდები თუ არა.

— უარს ხომ არ იტყვით ნბა-ში მოხვედრაზე?

— ერთი შეხედვით, კარგია დრაფტში მონაწილეობა და შესაბამისად ნბა-ს რომელიმე გუნდთან დაკავშირება, მაგრამ სიმართლე გითხრათ, ჯერ არ გადამიწყვეტია, გადავდგამ თუ არა ამ ნაბიჯს. ჯერ ახალაგზრდა ვარ და სასწავლიც ბევრი მაქვს. მინდა, კიდევ უფრო მოვუმატო და ნბა-ში მომზადებული მივიდე.

— დრაფტში მონაწილეობა ნბა-ში თამაშს ჯერ არ ნიშნავს...

— ცხადია, რომელი გუნდიც აგიყვანს, იმის კუთვნილება ხდები, მაგრამ კონტრაქტს როცა მოისურვებს, მაშინ გაგიფორმებს. მაგალითად, იუტელ ანდრეი კირილენკოს დრაფტში არჩევიდან 3 წლის შემდეგ გაუფორმეს კონტრაქტი. ამაში ცუდი არაფერია, პროფესიული ლიგის კლუბს ეკუთვნი და სხვაგან თამაშიც შეგიძლია. ვნახოთ, გადაწყვეტილებას ამერიკაში, ვარჯიშების დროს მივიღებ.

— იქ როდის მიემგზავრებით?

— ჯერ არ არის ცნობილი, პირველი ვარჯიში როდის გაიმართება. მისი დაწყება ნბა-ს სეზონის დასრულებასთანაა დაკავშირებული. ალბათ, ასე ათი ივნისისთვის წავალ, 19 ივნისს კი ამერიკელებმა უნდა იცოდნენ, ვინ მიიღებს დრაფტში მონაწილეობს.

— თუ დათანხმდით, დრაფტშს რომელი ნომერი იქნებით?

— ალბათ მეორე წრეში ამირჩევენ, სხვა არაფერი ვიცი.

— ამერიკელთა მიერ გამოქვეყნებულ სიაში თქვენთან ერთად ნიკა ცქიტიშვილიცაა, მისგან ხომ არაფერი შეგიტყვიათ?

— არა და სიმართლე გითხრათ, მე იმ სიას არც გავცნობივარ. მხოლოდ ის შევიტყვე, რომ ჩემნაირად წინასადრაფტო შეკრებაზე მიწვევა სტამბოლის „დარუშაყაკს“ მოთამაშე ჰაკან კოშეულლუმაც მიიღო.

— „ულქერში“ რა გამოხმაურება მოჰყვა ამ ფაქტს?

— ჯერ არაფერი, გაზეთებმა ეს ამბავი ამ დღეებში დაწერეს და ჩემს გუნდშიც, ალბათ, ახლაღა შეიტყვეს, რადგან მანამდე არავისთვის მითქვამს ამის თაობაზე.

— საქმე რომ წასვლაზე მიდგეს, წინ ხომ არ დაგიდგებიან?

— კონტრაქტში წერია, რომ თუ ნბა-ს გუნდი ჩემი დაინტერესდება, კლუბს უფლება არ აქვს, შემაფერხოს.

ამის შემდეგ იტალიაში ნიკა ცქიტიშვილსაც შევეხმიანეთ.

— თქვენ და ზაზა ფაჩულია, იმ 14 უცხოელს შორის მოხვდით, ამერიკელებმა დრაფტში მონაწილეობისთვის საკმარისად მომზადებულად რომ მიიჩნიეს.

— ამის შესახებ ჯერ არაფერი მსმენია. ჩემი მენეჯერი მარკ ფლეიშერი ჯერჯერობით არ შემხმიანებია. ერთი ისაა, რომ ტრევიზოს „მაიამი ჰითის“ მწვრთნელის პატ რაილის თანაშემწე სტუმრობს და რაც ეს კაცი იტალიაში ჩამოვიდა, დაახლოებით ბოლო ათ მატჩში უთამაშებელს მაიკ დანტონი იტალიის საპლეიოფო შეხვედრებში ზედიზედ მათამაშებს.

— შენს დასაზვერად ხომ არ ჩამოსულა?

— გადაჭრით არაფერი ვიცი. ის და დანტონი მეგობრები კი არიან, მაგრამ რაიმე მისიით თუ სტუმრობს ტრევიზოს, არ გახმაურებულა. ისე, ყური კი მოვკარი, რომ მოედანზე მისი წყალობით გავდივარ. ალბათ, ჩემი თამაშის ხილვა სურს.

— და ალბათ თავი არ შეირცხვინეთ...

— „ტრიესტთან“ მეოთხედფინალური სერიის პირველ შეხვედრაში 15 წუთში 15 ქულა ჩავაგდე, მეორეში კი 12 წუთში — 4 ქულა. ჩემი თამაშით ყველა კმაყოფილი დარჩა, მათ შორის, შეიძლება, რაილის თანაშემწეც.

ირაკლი პერტაია

სარბიელი ᲙᲠᲝᲙᲘ

წარმოგიდგენთ

			1	X	2	1-X	1-2	X-2
		ჰოლანდია. პლეი-ოფი						
		22 მაისი						
22:00	030	როზენდალი-ემენი	1,3	4,0	7,0	1	1	2,5
22:00	031	დენ ბოსხი-კამბური	1,3	4,0	7,0	1	1	2,5
22:30	032	ექსელსიორი-სპარტა	2,3	3,2	2,5	1,3	1,1	1,4
22:30	033	დენ ჰაგი-ვოლენდამი	1,55	3,4	5,0	1,05	1,15	2
		ბელგია. პლეი-ოფი						
		23 მაისი						
23:00	038	ინგელმუნსტერი-მონსი	1,55	3,4	5,6	1,05	1,2	2,1
23:00	039	სერკლი-პეუსდენი	1,9	3,1	3,5	1,15	1,2	1,6
		ნორვეგია. IX ტური						
		25 მაისი						
22.00	042	ვოლერენგა-რუსენბორგი	3,3	3,2	2,0	1,6	1,2	1,2
		26 მაისი						
21.00	043	ბოდიო გლიმტი-ლილესტრიომი	2,3	3,2	2,7	1,3	1,2	1,45
21.00	044	ბრანი-ოდ გრენლანდი	1,9	3,3	3,4	1,2	1,2	1,65
21.00	045	ბრინი-მოსი	2,0	3,2	3,3	1,2	1,2	1,6
21.00	046	სოგნდალი-ვიკინგი	2,8	3,3	2,2	1,5	1,2	1,3
21.00	047	სტარტი-მოლდე	3,3	3,2	2,0	1,6	1,2	1,2
		27 მაისი						
22.00	048	სტაბეკი-ლინი	2,1	3,3	3,0	1,25	1,2	1,55
		ამხანაგური მატჩები						
		21 მაისი						
15.00	401	კორეა-ინგლისი	3,6	3,1	1,85	1,65	1,2	1,15
23.30	402	სან მარინო-ესტონეთი	4,7	3,3	1,6	1,9	1,15	1,05
		22 მაისი						
21.00	403	ფინეთი-ლატვია	1,4	3,8	7,0	1	1,15	2,45
23.00	404	ნორვეგია-ისლანდია	1,55	3,4	5,6	1,05	1,2	2,1
		23 მაისი						
11.45	405	ჰონგ კონგი-შოტლანდია	5,0	3,4	1,55	2	1,15	1,05
14.00	406	ს. აფრიკა-თურქეთი (ნეიტრ.)	2,9	3,0	2,2	1,45	1,2	1,25
15.00	407	ეკვადორი-სენეგალი (ნეიტრ.)	2,3	3,0	2,9	1,3	1,25	1,45
		25 მაისი						
15.00	408	მალაიზია-ბრაზილია	10,0	5,0	1,05	3,3	1	1
15.20	409	იაპონია-შვედეთი	2,5	3,0	2,5	1,35	1,2	1,35
16.45	410	ჩინეთი-პორტუგალია	3,6	3,1	1,9	1,65	1,2	1,15
		26 მაისი						
10.00	411	ბელგია-კოსტა რიკა (ნეიტრ.)	1,85	3,1	3,8	1,15	1,2	1,7
11.00	412	დანია-ტუნისი (ნეიტრ.)	1,75	3,1	4,2	1,1	1,2	1,75
11.00	413	ინგლისი-კამერუნი (ნეიტრ.)	1,85	3,1	3,8	1,15	1,2	1,7
13.00	414	კორეა-საფრანგეთი	5,0	3,2	1,65	1,9	1,2	1,05
		ევროპის ჩემპიონატი (21 წლამდე)						
		21 მაისი						
23.30	415	ჩეხეთი-საბერძნეთი	1,7	3,2	4,0	1,1	1,15	1,75
23.30	416	ბელგია-საფრანგეთი	3,8	3,3	1,7	1,75	1,15	1,1
		კალათბურთი ნბა პლეი-ოფი						
		21 მაისი						
05.30	501	ნიუ ჯერსი-ბოსტონი	1,5	12,0	2,0			
		ჰოკეი. ნჰლ პლეი-ოფი.						
		21 მაისი.						
04.00	506	ტორონტო-კაროლინა	1,85	3,6	3,0			

2002 წლის 2 ივნისი

თბილისის საკრებულოს არჩევნები

901. ვინ მიიღებს ქვემაზე მეტ ხმას (18.00)

მრეწველები	3.0
ნაციონალისტები	3.2
ახლები	3.2
ლეიბორისტები	3.5
აღორძინება	5.0
სოციალისტები	7.0
ტრადიციონალისტები	10.0

მოგებები გაიცემა ცენტრალური საარჩევნო კომისიის მიერ ოფიციალურად გამოცხადებული შედეგის შემდეგ

ჯილდო ათწლოვანი «კროკოსგან»

„კროკოს“ ათწლოვან იუბილესთან დაკავშირებით საგანგებო წესით შევსებული ბილეთის მომგები მოგებული თანხის გარდა ჯილდოდ მიიღებს ახალთახალ „რენო მეგანს“

ჯილდოს დაწესების შესახებ ყოველი ტირაჟის გამოქვეყნებისთანავე გამოცხადდება

გადაბმით ერთმანეთს 12 მატჩი და თუ თითოეულის კოეფიციენტი იქნება არანაკლებ 1,7, ხოლო ერთ თორმეტმატჩა ვარიანტზე ჩახვალთ ფსონს არანაკლებ 5 ლარისა, ოპერატორს მოსთხოვეთ ბილეთზე საგანგებო ბეჭდის დასმა და მოგებული თანხის გარდა მიიღეთ ჯილდო

ახალთახალი «რენო მეგანი»

საქართველოში „რენოს“ ოფიციალური იმპორტიორის საფირმო მაღაზიიდან

მისამართი: ვაჟა ფშაველას 58

საგანგებო ბილეთით მოგებული თანხა „კროკოს“ წესების თანახმად გაიცემა „კროკოს“ ნებისმიერ ოფისში, ჯილდოს მისაღებად კი მიმართეთ ცენტრალურ ოფისს ტელეფონებზე: 34-41-84, 34-79-81, 92-38-93

სარბიელი

სპორტული ლატარია

CROCO

BOOKMAKERS

კროკო

ამჟამად კროკოს ბიუროები მუშაობს მხოლოდ აქვე მითითებულ მისამართებზე და არსად სხვაგან. ყველა სხვა ქალაქში ან დასახელებული ქალაქების სხვა მისამართზე კროკოს სახელის, სიმბოლიკის, კოეფიციენტების გამოყენება უკანონოა, შპს კროკოს არ ეხება და მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ისჯება.

კროკოს ბიუროთა მისამართები

თბილისი	ფურცელაძის ქუჩა №10	კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში
	ალმაშენებლის გამზირი	№2 ცენტრალური ფოსტამტი
	გლდანი	I სავაჭრო ცენტრი
	ვაჟა ფშაველას გამზირი №46	მეტრო „ვიქტორ გოცირიძესთან“ (ყოფილი „დელისი“)
	წინამძღვრიშვილის ქუჩა №200	ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში
	გურამიშვილის გამზირი №50	მეტრო „ღრმაღელესთან“
	წერეთლის გამზირი, კორპუსი №11	
	ჭავჭავაძის გამზირი № 41	
	გამსახურდიას გამზირი № 3	
	ვაჟა ფშაველას გამზირი №91	
	იოანე პეტრიწის ქუჩა №13	დიდი დიღომი, მეორე მიკრორაიონი
	ხუდადოვის ქუჩა №4	
	დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი	
ქუთაისი	პუშკინის ქუჩა№16	ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში
	ფალიაშვილის ქუჩა№ 27	
	ჭავჭავაძის № 67	ცენტრალური ავტოსადგური
გორი	ცხინვალის გზატკეცილი №11	წმინდაწყლის დასახლება
	სტალინის ქუჩა №14	
	მშვიდობის გამზირი №11	
თელავი	კოსტავას ქუჩა №23	
რუსთავი	შარტავას ქუჩა №7	
	კოსტავას გამზირი №23	
ბათუმი	მემედ აბაშიძის ქუჩა №21	ყოფილი სტალინის ქუჩა
	ერას ქუჩა №66	ყოფილი გორკის ქუჩა
	ჯავახიშვილის ქუჩა №78	
	ჭავჭავაძის ქუჩა № 113	
	ალმაშენებლის ქუჩა № 21	(სავაჭრო ცენტრი ალამი 1)
	ჭავჭავაძის ქუჩა № 13	
ხელვაჩაური	ალმაშენებლის ქუჩა № 50	
მარნეული	რუსთაველის ქუჩა №39	
ოზურგეთი	გურიის ქუჩა №23	
გურჯაანი	დავით გურამიშვილის ქუჩა №28	
ფოთი	რკალი, რუსთაველის №18	
საგარეჯო	დავით ალმაშენებლის №30	
სამტრედია	რუსთაველის გამზირი №27	
ხაშური	რუსთაველის ქუჩა №16	
წნორი	სტალინის ქუჩა №1	
ბორჯომი	რუსთაველის ქუჩა №145	
ახმეტა	ჩოლოყაშვილის ქუჩა №49	

გაიხსნა კროკოს ახალი ბიურო

თბილისი, დიღომი, III მიკრორაიონი, გრიგოლ რობაქიძის გამზირი, I კორპუსი

NBA PLAYOFFS **პლეი ოფი** კონფერენციის ფინალები, ოთხ მოგებამდე

თურქი, ნბა და მათემატიკა

გამოვთვალოთ, გადავთვალოთ, დავითვალოთ...

აღმოსავლეთი

ნიუ ჯერსი 1:0 ბოსტონი

19 მაისი. ისტ რეზერფორდი. 20 048 მაყურებელი

ნიუ ჯერსი 104:97 ბოსტონი

ნიუ ჯერსი: კიდი (18 ქულა, 13 მოხსნა, 11 პასი), კიტლზი (14), ვან ჰორნი (14), მარტინი (9), მაკალოფი (14); ჯეფერსონი (10), ა. უილიამსი (10), ჰარისი (10), ჯონსონი (5), კოლინზი

ბოსტონი: ანდერსონი (12), ე. უილიამსი (10), პირსი (27), უოლკერი (27), ბათი (6 ქულა, 11 მოხსნა); დელკი (8), როჯერსი (7), ბლუნტი, სტრიკლენდი

არც ერთს აკლდა შემართება, აღმოსავლური ფინალური სერიის პირველ მატჩში ნიუჯერსელებიც და ბოსტონელებიც ამ სიმაღლეზე პირველად ამოცოცებულთა აზარტით ცდილობდნენ უფრო წინ წაწევას. შედეგად „ნიუ ჯერსის“ ფართე და იშვიათადგავსებად დარბაზში ჩაპრესილმა ორმა ათეულმა ათასმა ისტრეზერფორდელმა პლეი ოფის ასეთი რანგის მატჩებისთვის შეუფერებლად გახსნილი, შეცდომებიანი და, ერთი სიტყვით, ცოცხალი კალათბურთი იხილა. მაგრამ თამაში მხოლოდ ზედაპირულად იყო „ცოცხალი“ გამარჯვებისკენ სწრაფვის სურნელით გაჟღენთილი „ცოცხალი“ მატჩი მათემატიკის ზეიმი გამოდგა. გაიმარჯვა მან, ვინც მეორეზე უკეთ გამოთვალა მეტოქის ჩანაფიქრი და ამოხსნა მრავალუცნობწევრიანი განტოლება. „ნიუ ჯერსის“ თავკაცმა ბაიონ სკოტმა შეგირდები ნამატჩევს იმისთვის შეაქო, რომ მათ „ბოსტონის“ ლიდერ პოლ პირსს მესამე და არა მეოთხე მეოთხედის დასაწყისში მიაღებინეს მეოთხე პერსონალური. ვფიქრობთ, სკოტის ბოსტონელი კოლეგა ჯიმ ობრეინი მატჩის განხილვისას შეგირდთა ყურადღებას მიაქცევს დაცვაში ნაკლებპროდუქტიულ მოძრაობას და თავის ბიჭებს მოსთხოვს, შემდეგ შეხვედრაში სროლების 49 პროცენტის ნაცვლად 42 ჩააგდებინონ „ნიუ ჯერსის“. დაახლოებით ეს იქნება ბოსტონელთათვის შემდეგსამატჩო ამოცანა, რომლის ამოხსნის შემთხვევაში, მათი გამარჯვების შანსი 30 პროცენტიდან 70-მდე გაიზრდება.

რაც შეეხება რომანტიკას, მისი ადგილი კარგა ხანია, აღარ არის საკალათბურთო ფიცარნაგებზე. ბოლო დიდი რომანტიკოსი, ალბათ, „ბოსტონის“ ოდინდელი ლიდერი ლარი ბერდი იყო, ხოლო დღევანდელის, პოლ პირსის სახით ამ თამაშში თავისუფალი შემოქმედების სული გაჭეჭყა ახმახი ბიჭების ბეჭებს შორის.

ბაირონ სკოტმა საგანგებოდ დაუხაზ-აუხსნა და ნიუჯერსელებმა მის გარეშეც შესანიშნავად იცოდნენ, რომ თუ პირსს გალაღების უფლებას მისცემდნენ, თავს წააგებდნენ. ასე მოხდა რეგულარულ სეზონშიც, რომლის ოთხ თამაშშიც პირსმა საშუალოდ 37 ქულა ჩაუგდო „ბადეებს“. ამჯერად ნიუჯერსელებმა მისი პროდუქტიულობა ათი ქულით დასცეს, რაც შეტევაში და არა დაცვაში აქტიურობის წყალობით შეძლეს. პირსმა მალე აკრიფა პერსონალურები და მეორე ნახევრის დიდი ნაწილი სკამიდან ყვირილში გაატარა. არადა, მისი ქულები ჰაერივით სჭირდებოდათ სტუმრებს. პირსმა მარტო პირველ მეოთხედში გააკეთა 14 ქულა. მესამე მეოთხედის დასაწყისში, როდესაც იგი მეოთხედ დაჯარიდდა და სკამზე გადავდა, „ნიუ ჯერსი“ 18:8 გაიქცა, ხოლო მეოთხე მეოთხედში ერთხანს 17 ქულითაც დაწინაურდა, რაც უკვე გამარჯვებას ნიშნავდა.

დიდქალაქ ნიუ იორკის ნიუჯერსელ გარეუბანში ვინძლო ძეგლიც დაუდგან „ნეთსის“ ამყვავებელ ჯეისონ კიდს. ეს 193-სანტიმეტრიანი თეთრი ბიჭი თანამედროვე „მათემატიკურ“ კალათბურთს შეგუებული სტანდარტული მონაცემების, მაგრამ სხვებზე გონიერი კალათბურთელია. ჩახედავ მატჩის ოქმს და როცა აღმოაჩენ, კიდს 18 ქულა, 13 მოხსნა და 11 პასი გაუკეთებიაო, იოლად და შეუცდომლად ასკვნი, რომ მან შესანიშნავად ითამაშა, გააკონტროლა მატჩის მიმდინარეობა, ტემპი და „მდაბიო“ გუნდი „ნიუ ჯერსი ნეთსი“ მისთვის პირველი საკონფერენციო ფინალის პირველი მატჩის მოგებამდე მიიყვანა.



REUTERS ისტ რეზერფორდიდან

ბოსტონელმა პოლ პირსმა „ნიუ ჯერსისთან“ ვერ გაილაღა

დასავლეთი

საკრამენტო 0:1 ლეიკერსი

18 მაისი. საკრამენტო. 17 317 მაყურებელი

საკრამენტო 99:106 ლეიკერსი

საკრამენტო: ბიბი (19), კრისტი (13), თურქოღლუ, ვებერი (28 ქულა, 14 მოხსნა, 8 პასი), დივაცი (12 ქულა, 11 მოხსნა); ჯეკსონი (21), პოლარდი (4), ვოლეში (2)

ლეიკერსი: ფიშერი (11), ბრაიანტი (30), ფოქსი (9), ჰორი (18), ონილი (26); ჯორჯი (9), ჰანტერი (3), უოლკერი, შოუ



REUTERS საკრამენტოდან

კობი ბრაიანტი „საკრამენტოს“ ფართან შინაურულად იყო

თურქი ფრთა ჰიდაიეთ თურქოღლუ ორი წელია, ოკეანგაღმეთში ბურთაობს და იქაურებს თავზე დადებითი შთაბეჭდილებებიც შეუქმნა. ჰედოს თავის გამორჩენის კარგი შანსი აქვს, მისი გუნდი კონფერენციის ფინალშია, თან სასტარტო ხუთეულელი პრედრაგ სტოიაკოვიჩი დაშავდა და თურქმა დამწყებ ხუთეულში ამოყო თავი.

საზოგადოდ ნიჭის უკმარისობას არ განიცდის, მაგრამ ამჯერად კი ჩაფლავდა თურქოღლუ. მან ვერ მიაწია სტოიაკოვიჩისთანა სტაბილურობას და კანტიკუნტად და არა ყველა თამაშში ახერხებს 20-25 ქულის ჩაგდებას. ამჯერად ჰიდაიეთმა ვერაფერი მოინაგრა. „საკრამენტოს“ მარცხის უმთავრესი მიზეზიც ესაა. „ლეიკერსს“ გამართულად და სრულ სვლაზე მომუშავე გუნდები ვერ უგებენ და „საკრამენტო“ რაღას დააკლებდა, რომელსაც ხუთეულში ბურთის ვერჩამგდები კაცი ჰყავდა.

თურქოღლუმ რვაჯერ ესროლა და ყველა ააცილა. ვინძლო მეტის სროლის სურვილიც ჰქონდა, მაგრამ შეეშინდა, ვაითუ, კიდევ ავაცილო და 12 სროლიდან 12 აცილებული უფრო იყვირებს მატჩის ოქმში, ვიდრე რვიდან რვაო და შეჩერდა. სპეციალისტთა აზრით, ეს უფრო დიდი შეცდომა იყო, ვიდრე ვერჩაგდებული ბურთები. ოკეანგაღმელ მცოდნეთ ღრმად სწამთ, რომ დიდი მოთამაშეები პირველი ათის აცილების შემდეგ მეორე ათის სროლას არ შეუშინდებიან და ამათგან ხუთს ჩააგდებენ (ბოლომ აუცილებლად უნდა გადაწყვიტოს მატჩის ბედი).

სხვა სიტუაციებში თურქოღლუ მეტსაც ესვრის, მაგრამ ამჯერად რვით შემოიფარგლა. ალბათ, შეეშინდა და იმიტომ, ხოლო ამერიკული სტანდარტებით (და არამარტო ამერიკული) მშიშარა კაცი ვარსკვლავი ვერ იქნება. მომავლისთვის თურქოღლუ იქნებ შორს წავიდეს, მაგრამ სადღეისოდ ის დასავლეთის ფინალში პირველად გასული და „ლეიკერსზე“ თავის შემკვლელი „საკრამენტოს“ მარცხის მიზეზია. დაახლოებით განისაზღვრა ძისი სტატუსიც, თურქოღლუ შორს დგას ბრწყინვალებისგან. მის მშობლიურ თურქეთსაც გაუნელდებოდა უკიდეგანო სიამაყის შეგრძნება, აგე, ჩემი შვილი სად თამაშობს და როგორ თამაშობსო.

ირაკლი ფირაჯგვილი

სათურქეთო ნაკრებს თამაზ ანთაძე მოძღვრავს

მიწისძვრამ ხელბურთელებიც დააზარალა

ჯაბუკ ქართველ ხელბურთელებს მაის-ივნისში ორ მნიშვნელოვან საერთაშორისო შეჯიბრებაში ასპარეზობა ელით. პირველია 21-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი, რომელიც ამ დღეებში თურქეთის ქალაქ კასტამონუში გაიმართება, ივნისის მეორე ნახევარში კი ორი წლით უმცროსები მოსკოვში, დსთ-სა და ბალტიის ქვეყნების ჭაბუკთა თამაშებში გამოვლენ.

უფროსთა ნაკრებს საქართველოში ხელბურთის ერთ-ერთი პიონერი თამაზ ანთაძე თავკაცობს, უმცროსებს — ოთხმოციანი წლების თბილისის „ბურევესტნიკის“ მოთამაშე ლევან აბესაძე. მათ, შესაბამისად, რევაზ ჭანტურია და ბექა ორჯონიკიძე ეხმარებიან. პატარების ნაკრები დაკომპლექტებულია ხელბურთის სპეციალიზებული სკოლის გუნდ „მართვეს“ წევრებით, რომელთაგან რამდენიმეს მეორე ფრონტზეც, უფროსთა ტურნირშიც მოუწევს ხელის გაქნევა.

საევროპო ტურისთვის თბილისს უნდა ემასპინძლა, მაგრამ მიწისძვრამ კვალი სპორტის სასახლესაც დააჩნია — დაზიანდა განათების სისტემა და რადგან საერთაშორისო სტანდარტს ვეღარ შეესაბამება, ევროპის ხელბურთის ფედერაციამ ამ გარემოების გათვალისწინებით შეჯიბრება მეზობლად, თურქეთში გადაიტანა.

— რა თქმა უნდა, ჯობდა ტურნირი თბილისში გამართულიყო, ბიჭებს ქომაგობა არ მოაკლდებოდათ და გათამაშების შემდგომ ეტაპზე გასვლის ბევრად უკეთესი შანსიც გვექნებოდა, მაგრამ რას ვიზამთ — წუხს თამაზ ანთაძე — მზადებისას შეძლებისდაგვარად კი დაგვეხმარა სპორტის დეპარტამენტი და ხელბურთის ეროვნული ასოციაცია, აგრეთვე კონცერნ „შევრონის“ საქართველოს წარმომადგენლობა (პრეზიდენტი დავით ხუროძე), მაგრამ მაინც ვერ მოვახერხეთ კრასნოდარის ტურნირში მონაწილეობა, ხოლო სათამაშო პრაქტიკის გარეშე წარმატებაზე ფიქრიც წარმოუდგენელია.

გუნდი თურქეთში ავტობუსით დღეს გაეშგზავრა. მგზავრობის ხარჯები გაიღო თბილისის მერიის სპორტისა და ტურიზმის საქალაქო სამსახურმა (უფროსი დავით ჭელიძე). 24 მაისს ჩვენები მასპინძლებს შეხვდებიან, შემდეგ — შვედ და ჩეხ თანატოლებს. მეტოქეები მეტად ძლიერი გვყავს, ჯგუფიდან კი მხოლოდ პირველადგილოსანი გადის.

არც ლევან აბესაძეს ულხინს, მის ბიჭებსაც ძლიერ კონკურენტებთან, მოსკოვის, ლიტვისა და რუსეთის ჩრდილო-დასავლეთ რეგიონის გუნდებთან მოუწევთ შებრძოლება. მართალია, ჯგუფიდან ორი გუნდი გააგრძელებს ასპარეზობას, მაგრამ ჩვენებისთვის ეს პერსპექტივა სათუოა, ისევ და ისევ ვაიმომზადების გამო: „ჩვენც დიდების ყოფაში ვართ — ვერ შევძელით ბაქოში სათამაშოდ გამგზავრება და თითქმის ორთვიანი მოსამზადებელი პერიოდი თბილისში გავატარეთ. მაღლობა მინდა გადავუხადო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის კლუბ „შევარდენის“ ხელმძღვანელობას, რომელმაც ამ ხნის მანძილზე უსასყიდლოდ დაგვითმო თავისი დარბაზი სავარჯიშოდ. თურქეთიდან წამყვანი მოთამაშეების დაბრუნების შემდეგ აქვე დავსრულებთ მზადებას, მერე კი მოსკოვის დროც მოვა“.

გია ახალაძე

მოსკოვში ბიჭებს ლევან აბესაძე გაუძღვება

ᲔᲕᲠᲝᲠᲘᲡ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ ᲛᲐᲠᲘᲑᲝᲠᲘ

ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲔᲑᲘᲡ ᲫᲐᲚᲐ ᲔᲠᲗᲝᲑᲐᲨᲘᲐ

ᲩᲕᲔᲜᲔᲑᲛᲐ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲓᲐᲐᲒᲣᲜᲓᲐᲕᲔᲡ

ᲡᲚᲝᲕᲔᲜᲘᲣᲠᲘ მარიბორის 3000-იან „ტაბორ ჰოლში“ ძიუდოისტთა ევროპის ჩემპიონატი დასრულდა და ქართველები სამშობლოში ჩინებულ გუნებაზე ბრუნდებიან.

დებიუტანტი დავით ქევხიშვილი (73კგ) ვიცე-ჩემპიონი გახდა, ზურაბ ზვიადაური (90კგ) და ნესტორ ხერგიანი (60კგ) მესამეობას დასჯერდნენ. ტურნირში 38 ქვეყანა მონაწილეობდა, მედალთა მონაგარით ჩვენებურებმა მე-9 ადგილი დაიკავეს გუნდურ ჩათვლაში. მთავარი კი ის არის, რომ საქართველოს ნაკრებმა გუნდური პირველობა მოიგო, რაც აქამდე არ მომხდარა.

შოთა ხაბარელის გუნდმა ჯერ თურქთა, მერე უკრაინელთა ბარიერი გადალახა და ფინალში ორი მოგებით დაწინაურებულ ბელარუსებს მოუგო. სანამ ქართველები გუნდურ პირველობაში იჩემპიონებდნენ, მანამდე პირადი პირველობის ბოლო, მძიმე წონით კატეგორიაში გამოვლინდნენ პრიზიორები. ალექსი დავითაშვილს შეეძლო, ქართული ყულაბა კიდევ ერთი მედლით გაემდიდრებინა, მაგრამ მეოთხედფინალში პორტუგალიელ პედრო სოარესთან წააგო და მერე ველარც რეპეჟაჟში იხეირა, ჰოლანდიელ ვან დერ გესტთან დათმო ბრინჯაო.

სიტყვამ მოიტანა და აქვე ვთქვათ, რომ სლოვენიაში ჰოლანდიელები მართლაც რომ ივარგეს. მათმა ფალავნებმა ორი ოქრო და ორი ვერცხლი მოიპოვეს, რითაც გუნდურ ჩათვლაში იპირველეს.

ქართველი კი მაინც გახდა ევროპის ჩემპიონი, ირაკლი უზნაძემ (81კგ) თურქებს მოუპოვა ოქრო. მეორე ქართველმა, ლაშა ფიფიამ (81კგ) რუსთა ნაკრებს მეხუთე ადგილი და ჩასათვლელი ქულები შემატა.

ᲑᲐᲩᲝ ᲡᲕᲐᲜᲘᲫᲔ

ᲒᲣᲜᲓᲣᲠᲘ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

1. ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝ
2. ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ
3. ᲠᲣᲡᲔᲗᲘ
3. ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘ
5. ᲣᲙᲠᲐᲘᲜᲐ
5. ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ
7. ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ
7. ᲗᲣᲠᲥᲔᲗᲘ

დავით ქევხიშვილმა ანატოლი ლარიუკოვი გაშოტა, თუმც ოქრო კი დაუთმო

60 კგ

1. იასინ დოუმა (საფრანგეთი)
2. ელჩინ ისმაილოვი (აზერბაიჯანი)
3. ᲜᲔᲡᲢᲝᲠ ᲮᲔᲠᲒᲘᲐᲜᲘ (საქართველო)
3. ევგენი სტანევი (რუსეთი)

66 კგ

1. მიკლოშ უნგვარი (უნგრეთი)
2. ოზეფ კრნაკი (სლოვაკეთი)
3. ისლამ მაციევი (რუსეთი)
3. მუსა ნასტრუევი (უკრაინა)

73 კგ

1. ანატოლი ლარიუკოვი (ბულგარეთი)
2. ᲓᲐᲕᲘᲗ ᲥᲔᲕᲮᲘᲨᲕᲘᲚᲘ (საქართველო)
3. ჯუზეპე მადალონი (იტალია)
3. ვსელუდოს ფილიონისი (ლატვია)

81 კგ

1. ირაკლი უზნაძე (თურქეთი)
2. ალექსეი ბუდოლინი (ესტონეთი)
3. რობერტ კოვეჩიკი (პოლონეთი)
3. რობერტ მელონი (იტალია)

90 კგ

1. ვალენტინ გრეკოვი (უკრაინა)
2. სიარეი კუბარენკა (ბელარუსი)
3. ᲖᲣᲠᲐᲑ ᲖᲕᲘᲐᲓᲐᲣᲠᲘ (საქართველო)
3. მარკ ᲰᲣᲖᲜᲘᲒᲐ (ჰოლანდია)

მძიმე

1. ტამერლან ტმენოვი (რუსეთი)
2. ედუ სუარესი (პორტუგალია)
3. დენის ვან დერ გესტი (ჰოლანდია)
3. იანუშ ვოინაროვიჩი (პოლონეთი)

აბსოლუტური

1. დენის ვან დერ გესტი (ჰოლანდია)
2. ალეკსანდრ მიხაილინი (რუსეთი)
3. რუსლან შარაპოვი (ბელარუსი)
3. პედრო სუარესი (პორტუგალია)

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ᲩᲝᲒᲑᲣᲠᲗᲘ

ᲐᲮᲚᲐ ᲠᲝᲯᲔᲠᲘᲡ ᲯᲔᲠᲘᲐ

ᲡᲐᲤᲘᲜᲡ ᲡᲐᲤᲘᲜᲐᲚᲝ ᲐᲠ ᲒᲐᲛᲝᲣᲕᲘᲓᲐ



REUTERS ᲰᲐᲛᲑᲣᲠ�გᲘᲓᲐᲜ

როჯერ ფედერერმა პირველად მოიგო „მასტერსის“ ტურნირი...

ᲛᲐᲡᲢᲔᲠᲡᲘᲡ ᲡᲔᲠᲘᲐ

ᲰᲐᲛᲑᲣᲠᲒᲘ. თიხნარი
ᲡᲐᲠᲘᲪᲮᲝ 2,828 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ $

ᲛᲘᲣᲗᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐᲚᲘ

ᲛᲐᲠᲐᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ (6, რუსეთი) — ლეიტონ ჰიუიტი (1, ავსტრალია) 6:3, 6:4; ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ (11, შვეიცარია) — გუსტავო კუერტენი (2, ᲑᲠᲐᲖᲘᲚᲘᲐ) 6:0, 1:6, 6:2; ᲢᲝᲛᲘ ᲠᲝᲯᲠᲘᲓᲘ (ესპანეთი) — სტეფან კუბეკი (ᲩᲔᲮᲔᲗᲘ) 6:7 (2:7), 6:3, 6:4; ᲛᲐᲡᲘ ᲛᲘᲠᲜᲘ (ᲑᲔᲚᲐᲠᲣᲡᲘ) — ᲟᲣᲚᲘᲔᲜ ᲑᲣᲢᲘ (საფრანგეთი) 7:6 (7:4), 4:6, 6:3

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲛᲐᲠᲐᲗ ᲡᲐᲤᲘᲜᲘ — ტომი რობრედო 6:2, 4:2 (რობრედომ თამაში შეწყვიტა); ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ — მაკს მირნი 6:4, 6:4

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲠᲝᲯᲔᲠ ᲤᲔᲓᲔᲠᲔᲠᲘ 6:1, 6:3, 6:4

მერვედფინალში ირჟი ნოვაკის მარჯვედ ძლევის შემდეგ ძველებური კლასიფიკაციის სადღეისო ლიდერ ანუ საკუთარი პლანეტის პირველ ჩოგან ლეიტონ ჰიუიტს თავი აუწევია და ყინჩად უთქვამს, ეს კვირა თამაშ-თამაშ ვუმატებ და თამაში უკვე ისე გამომდის, უკეთესი აღარ შეიძლებაო. ხოლო მეორე დღეს კორტზე გასულს ახმახ რუს მარტ საფინთან ისეთი უჩოგნავია, არ უთქვამს, თორემ გულში უცილობლად გაიფიქრებდა, გუშინ რა მაყბედებდა, გავიჯგიმე და თავი დასაცინად გავიხადეო.

კარგი ბიჭია ლეიტონი და არავინ დასცინებს, მით უმეტეს, მას ისეთი შეცდომები, წაგებამდე რომ მიჰყავს ჩოგბურთელი, სხვა ყველაზე ნაკლებ მოსდის და ენამოქნილმა ჟურნალისტებმა შეუბრალებლად არ გაშოლტეს. მხოლოდ აღნიშნეს, რომ მაგარმა ბიჭმა მაგრად 3:6, 1:6 წააგო და ჰამბურგელი მასტერსტურნირის ზედასაფეხურებისკენ გზა დაულოცა ოდესღაც პირველ ჩოგან მარატ საფინს.

რაკიღა ამხელა ქვას გადავახტიო, აღტკინებულმა საფინმა უცებ გაირბინა ნახევარფინალი და ფინალში ხელის ფართედ გაშლას აპირებდა, როცა არც მთლად ბობოლა შვეიცარიელს როჯერ ფედერერს ცუდად წამოედო და წაიქცა.

ფედერერმა არანაკლებ მარჯვედ ამოირბინა ფინალში. საფინისგან ჰიუიტის ძლევის დღეს, მან მარატზე არანაკლებ მჭუხარასახელიანი კოლეგა, გუსტავო კუერტენი დაიფრინა. თან გავიხსენოთ, რომ კუერტენი თიხისქვეშაგებიან კორტზე რაგინდარა მეტოქესთან ფავორიტია და თუკი რამეს იგებს (და ბევრსაც იგებს), სწორედ თიხნარებზე. ამჯერად გუგას საყვარელმა საფარმაც არ უშველა. ფედერერმა ერთი ამოსუნთქვით ააცალა პირველ სეტი და მართალია, მეორე ადრევე წაგო, გადამწყვეტ ხელში კვლავ მიზანმიმართთულად დაბომბა კორტის მეტოქისეული ნახევარი. საფინისა არ იყოს, არც ფედერერს გასჭირვებია ნახევარფინალის გავლა. მასაც განუთესავი, ამასთან ავმოსურნე, მშვიდობიანგვარიანი და ნაკლებყოჩაღი მეტოქე მაქს მირნი ელოდა. ფედერერი 6:4, 6:4 გაუსწორდა ბელარუსს და...

„ეს იყო ჩემი საუკეთესო მატჩი ცხოვრებაში. ვფიქრობ, გამარჯვებას ვიმსახურებდი“ — ზედმეტიც არაფერი უთქვამს ფედერერს არა ნახევარ, არამედ მთავარფინალის მოგების შემდეგ.

საფინს ხანმოკლე კარიერაში მასტერსის ორი და ერთიც დიდი სლემის მთავარი პრიზი ჩაუხუტებია, ხოლო ფედერერს აქამდე არასდროს თუნდაც მოეგო მასტერსი. ზოგადსაკარიერო ზეობათა გათვალისწინებით, მცდონეთა დიდი ნაწილიც უკეთეს ჩოგბურთელად საფინს დასახელებდა, მაგრამ ამ უქმეებზე ფედერერი უკეთ ირჯებოდა და ალალადაც იმარჯვა. იგი უკეთ აწვდიდა, უკეთ იღებდა, მუხთალ, ქვეშქვეშა დარტყმებსაც სთავაზობდა მეტოქეს და მორიგეობით მარჯვენა-მარცხენა ხაზებზე ოპტიკური სიზუსტით დასმული ბურთებით ჯანიან რუსს სიქას აკლიდა. ამის გასამჯელოდ ფულად 372 ათასი დოლარი ერგო ჰამბურგული ტურნირის ბარე სამმილიონიანი საპრიზო ფონდიდან და გარდა ამისა, ჩემპიონთა რბოლაში მეორე ადგილამდე აღზევდა.

ისე, არც საფინი დარჩა ძალიან ნაწყენი. ფინალში ვერმოგებას იმავ ჩემპიონთა რბოლაში პირველ ადგილამდე აღზევებით გამოისყიდის. აი, ასე, რუსმა წააგო, მაგრამ მომგებზე წინ კი წავიდა.

REUTERS ᲠᲝᲛᲑᲘᲓᲐᲜ

სერენა უილიამსმა კი თიხნარზე პირველად გაიხარა

ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲦᲘᲐ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ

რომი. თიხნარი
ᲡᲐᲠᲘᲪᲮᲝ 1,224 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲘ

ᲛᲘᲣᲗᲘᲚᲔᲑᲘᲜᲐᲚᲘ

ᲯᲘᲜᲘᲤᲔᲠ ᲙᲐᲠᲘᲐᲢᲘ (2, ᲐᲨᲨ) — ამელი მორესმო (7, საფრანგეთი) 6:2, 3:6, 6:4; ᲯᲘᲜ ᲙᲚᲐᲘᲡᲢᲔᲠᲡᲘ (3, ᲑᲔᲚ�გᲘᲐ) — სანდრინ ტესტიუ (8, საფრანგეთი) 6:1, 6:3; სერენა უილიამსი (4, აშშ) — ანასტასია მისკინა (რუსეთი) 6:3, 6:4; ᲯᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲘᲜᲘ (5, ᲑᲔᲚ�გᲘᲐ) — ვირჯინია რუანო პასკუალი (ესპანეთი) 6:3, 6:4

ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

სერენა უილიამსი — ჯენიფერ კაპრიატი 6:2, 3:6, 7:5; ᲯᲣᲡᲢᲘᲜ ᲔᲜᲘᲜᲘ — კიმ კლაისტერსი 7:5, 6:2

ᲤᲘᲜᲐᲚᲘ

სერენა უილიამსი — ჟუსტინ ენენი 7:6 (8:6), 6:4

სერენა უილიამსი და ვინუსის დარად არ უჩივის ტიტულთა სიმცირეს. მისი ძალოვანი სხეულის შემხედვარე ეს არც არავის უკვირს, მაგრამ ამ კვირადღეს სერენამ ცხოვრებაში პირველად გაიმარჯვა... თიხისსაფარიან კორტზე და მთავარი აღსანიშნიც ესაა.

ჯანიანი სერენასგან მინიატურულად გამოჩენილი ბელგიელი ჟუსტინ ენენის ძლევის ათასობით ჩოგბურთით მოსეირე რომაელის გარდა დაესწრნენ სერენას უფროსი და ვინუსი და დედამშობელი ორენსი, რომლებიც თავიანთი იტალიაში იშვიათი შეფერილობით აშკარად გამოირჩნენ კორტის პირველ რიგებში.

„ჩემთვის ეს უდიდესი გამარჯვებაა, რადგან შევძელი და რაღაც ზღვარს გადავაბიჯე. მიხარია, რომ დღეის შემდეგ თიხნარებზე მეტი პატივისცემით შემხვდებიან“ — ამ გამარჯვებამ დიდი სერენა კიდევ მეტად გაადიდა.

გაიზარდა პატარა უილიამსის ფულადი მონაგარიც. კარიერაში მხოლოდ ტურნირებზე მონაწილეობის გასამჯელოებით ნახევჭ 6,7 მილიონს სერენამ რომაული 182 ათასიც წაამატა. ეს იყო ოცი წლის სერენას მე-14 საკარიერო გამარჯვება.

ᲕᲔᲚᲝᲠᲑᲝᲚᲐ

ᲯᲘᲠᲝ 2002

19 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲛᲔᲨᲕᲘᲓᲔ ᲔᲢᲐ�პᲘ

ᲕᲔᲠᲡᲘᲚᲘᲘᲡ ᲬᲠᲘᲣᲚᲘ ᲠᲑᲝᲚᲐ (159 კმ)

1. რიკ გერბრიუგე (ᲑᲔᲚ�გᲘᲐ, „ლოტო“) 4 საათი, 3 წუთი, 59 წამი
2. რაფაელ შვედა (გერმანია, „კუასტი“) +59
3. კრისტიან მორენი (იტალია, „ალესიო“)
4. მაქსიმილიან სკიანდრი (ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘ, „ლამპრე“)
5. ჯანი ფარესინი (იტალია, „ჯეროლ შტაინერი“)

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲠᲝ

20 ᲛᲐᲘᲡᲘ. ᲛᲔᲠᲕᲔ ᲔᲢᲐᲪᲘ

ᲙᲐᲞᲐᲜᲝᲠᲝ — ᲝᲠᲕᲘᲔᲢᲝ (257 კმ)

1. იტორ გონსალეს ხიმენესი (ესპანეთი, „კელმა“) 5 საათი, 47 წუთი, 54 წამი
2. ფრანსისკო კასაგრანდე (იტალია, „ფასა ბორტოლო“) +4
3. ჯილბერტო სიმონი (იტალია, „სეკო“)
4. ხუან მანუელ გარატე (ესპანეთი, „ლამპრე“)
5. კრისტიან მორელი (იტალია, „ალესიო“)

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲠᲝ

ᲡᲐᲔᲠᲗᲝ ᲩᲐᲗᲕᲚᲐ

1. იანეს ᲰᲔᲜᲔᲠᲘ (გერმანია, „ტელეკომი“) 41 საათი, 13 წუთი, 28 წამი
2. სტეფანო გარძელი (იტალია, „მაპეი“) + 3 წუთი, 3 წამი
3. იაროსლავ პოპოვიჩი (უკრაინა, „ლენდუკრედიტი“) + 3 წუთი, 50 წამი
4. ედი მაზოლენი (იტალია, „ტაკონი სპორტი“) + 3 წუთი, 57 წამი
5. ფრანსისკო კასაგრანდე (იტალია, „ფასა ბორტოლო“) + 4 წუთი, 08 წამი

ᲧᲕᲔᲚᲐᲡ ᲔᲠᲗᲘ ᲓᲠᲝ

REUTERS ᲠᲝᲛᲑᲘᲓᲐᲜ

ᲰᲝᲙᲔᲘ

NHL
ᲡᲢᲘᲤᲔᲚᲘᲡ ᲗᲐᲡᲘ
ᲜᲐᲮᲔᲕᲐᲠᲤᲘᲜᲐᲚᲘ

ᲓᲐᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

18 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ	1
ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ	0

ᲓᲔᲢᲠᲝᲘᲢᲘ 5:3 ᲙᲝᲚᲝᲠᲐᲓᲝ 1:1 1:1 3:1

0:1 საკიკი (3), 1:1 ᲰᲝᲚᲛᲡᲢᲠᲘᲝᲛᲘ (19), 1:2 ᲰᲔᲘᲓᲣᲙᲘ (34), 2:2 ᲰᲐᲚᲚᲘ (37), 3:2 მაკარტი (42), 4:2 მაკარტი (53), 5:2 მაკარტი (56), 5:3 ტანგეი (58)

ᲐᲦᲛᲝᲡᲐᲕᲚᲔᲗᲘ

17 ᲛᲐᲘᲡᲘ

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ	1
ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ	1

ᲙᲐᲠᲝᲚᲘᲜᲐ 2:1 ᲢᲝᲠᲝᲜᲢᲝ 0:0 0:0 1:1 1:0

1:0 ᲰᲔᲓᲘᲙᲐᲜᲘ (48), 1:1 მაკოლი (60), 2:1 ვალინი (74)

ᲠᲔᲙᲚᲐᲛᲐ
ᲡᲐᲠᲑᲘᲔᲚ-ᲨᲘ
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 94 33 80

ფაიფცა

ხუთასკუბურსანტიმეტრიანი ძრავის „ჰონდა“ რომ აყირავდება, კარგს არაფერს ელოდე. საფრანგეთის დიდი პრიზის გათამაშებისას მხოლოდ 10 წრის გავლა მოახერხა იაპონელმა დაიჯირო კატომ და მერე ლემანის ტრასას გამოეთხოვა.



REUTERS ლუზანიდან



REUTERS ინდიანაპოლისიდან

ერთვნული ბიბლიოთეკა

ხმაური ინდიანაპოლისში

ინდიანაპოლის-500 რომ სიგიჟეა, ყველას მოეხსენება. ამ რბოლათა სამშობლოში, ინდიანაპოლისის ბეტონზე უკვე გაუვლია კვალიფიკაცია სქოთ დარიო ფრანკიტის, რომელიც ახლა ცოლთან, მსახიობ ეშლი ჯადთან ერთად დგას და მოტორის ბღუილში ელის სხვათა შედეგებს. ეშლის კი ხმაური არ აწუხებს.

პრაღაში ბურთი გაგორდა

ეს ფოტო სწორედ იმ დღესაა გადაღებული პრაღის ცენტრალურ პარკში, როცა ამ პარკიდან არცთუ შორს მსოფლიოს ჩემპიონატზე ვერგასული ჩეხთა ნაკრები მსოფლიოს ჩემპიონატისთვის გახურებულ მზადებაში მყოფ იტალიის ნაკრებს ხვდებოდა და 1:0 დაამარცხა.
ბიჭი კი, ვალიაროთ, ოსტატურად ურტყამს.

REUTERS პრაღიდან



REUTERS საკრამენტოდან

შაკ, შე დედალო...

ენბიეის გახურებულ პლეი ოფში საკრამენტოელი გულშემატკივარი უკან არაფერზე დაიხევს. მისი საყვარელი „კინგზი“ თვით „ლოს ანჯელეს ლეიკერსს“ ებრძვის და აჭა, სტუმართა ლიდერიც ასე გაუთამაშებიათ, შაკილი ქალად მოურთავთ, ტუჩებშეღებილისთვის ლიფი და საწმერთული მოურგიათ. ანუ, შე ქალაჩუნაო.

კოსტია მაგარია



REUTERS ლას ვეგასიდან

მეორე ქვესაშუალო წონის სამი ქამრის მფლობელი, რუს-ავსტრალიელ-კორეელი კოსტია ძიუ კიდევ ერთხელ იცავს თავის ქამრებს სხვათა ხელყოფისაგან. ლას ვეგასის „მენდელეი ბეის“ ლონისძიებათა ცენტრის რინგზე განელი ბენ ტაკი ბევრს ეცადა, მაგრამ 12 რაუნდიანი ბრძოლის ერთხმა გამარჯვებული მაინც ჩემპიონი იყო.

სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
მთავარი რედაქტორის მოადგილე სოსო კოტორეიშვილი
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი, კახა შალამბერიძე
უცხოური ფეხბურთის რედაქცია:
რედაქტორი გიორგი დარჯანია
გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, სოლომონ გულისაშვილი, გიორგი ვაშაკიძე, ვაჟა ხუციშვილი

ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ლევან კელაურაძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
კორესპონდენტი ჭუთაისში იუზა კაციტაძე
კორესპონდენტი გერმანიაში ვანო ოქროპირიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლია ბესელია, დავით ბიბილაშვილი, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, სვეტა დევაძე, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია, მალხაზ ჭუმბურიძე
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge